ხელისუფლების ფორმირება და მუდმივი საზღვრები

A2

ორბუნებოვანი სახეები და დამოკიდებულებები

A7

ნიჭი და შემოქმედება

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 5 მაისი, 2006 წელი. №97 (1249)

ფასი 50 თეთრი

ამბები

აჭარა რევოლუციის ორი წლისთავის საზეიმოდ ემზადება

აჭარის რევოლუციის ორი წლისთავის აღსანიშნავად, ბათუმში გრანდიოზული ზეიმია დაგეგმილი. ამჯერად, ხელისუფლებასთან ერთად, ღონისძიებათა ნაწილს ბიზნესმენებიც დააფინანსებენ. ამ მიზნით შარშან ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა 30 ათასიდან 20 ათას ლარამდე მცირდება.

A2

ამბები

ბოდიში - ცხინვალში და აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი არაკორექტული განცხადებისთვის რუსი ხალხისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს. მისი განცხადებით, იგი მზად არის ბოდიში მას შემდეგ მოიხადოს, რაც საქართველო ცხინვალსა და აფხაზეთს დაიბრუნებს.

A2

სამართალი

სამარხის გაძარცვის მცდელობა

დედოფლისწყაროში „ტახტიფერდას“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოკვლეულ მასალებს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. უცნობმა პირებმა დროებით დაკონსერვებული ნაგებობების დაზიანება სცადეს.

A4

რევიუ

გზა ტირანიისაკენ...

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ ნატა მურვანიძე ჰიტლერის სამოსელით შეიმოსა და მაყურებელს წარუდგა იმისათვის, რომ „ყველამ შეძლოს ამოიცნოს ჰიტლერი, თუნდაც პატარა ჰიტლერი“.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	5/05	6/05
თბილისი	21	23
სოხუმი	20	23
გორი	19	21
ონი	13	16
ზუგდიდი	23	26
ახმეტა	21	22
სამტრედია	22	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8152
ევრო	2.2853
ბირვანქა სტერლ.	3.3353
რუბლი	0.0667

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
პროექტი	A 5
ტენდერი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

„დემოკრატიული ფრონტი“

ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე

სოფო ბუკია

ვილნიუსის კონფერენცია ტრანსატლანტიკური პერსპექტივებისა და რუსეთის კრიტიკის მთავარ ტრიბუნად იქცა. მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშენკოს მიერ ბორჯომში ხელმოწერილი დეკლარაცია, „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის“ შექმნის შესახებ, სულ უფრო დიდ საერთაშორისო მნიშვნელობასა და მეტ გულშემატკივარს იძენს.

ბორჯომში აღმოცენებული "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" იდეა. ვილნიუსში დაიხვეწა.

ვილნიუსი ორი დღის განმავლობაში ბალტიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების დედაქალაქად იქცა. ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის, უკრაინის, მოლდოვას, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ფინეთის, რუმინეთისა და საქართველოს პრეზიდენტები და მაღალი რანგის წარმომადგენლები, აგრეთვე ევროკავშირისა და ნატო-ს ლიდერები და აშშ-ს ვიცე-პრემიერი რიჩარდ (დიკ) ჩეინი - ეს ლიტვის დედაქალაქის სტუმართა სიაა, რომლებიც ვილნიუსში საერთაშორისო კონფერენციაზე - „ერთიანი ხედვა საერთო სამეზობლოსთვის“ - დასასწრებად ჩამოვიდნენ. ტრანსატლანტიკური ამოცანები ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, რეგიონში დემოკრატიის გავრცელების შემდგომი პერსპექტივები, ნატოს როლი რეგიონის დემოკრატიულ კონსოლიდაციაში - კონფერენციაზე განხილული ამ ძირითადი საკითხების პარალელურად, ვილნიუსის სამიტის ყველაზე აქტუალურ თემად რუსეთის კრიტიკა იქცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

დიქტატორთა ლიგა?

რატომ აგრძელებენ ჩინეთი და რუსეთი ავტოკრატიების მხარდაჭერას

რობერტ კაგანი
ვაშინგტონ პოსტი

მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, როცა ლიბერალიზმის იდეა დაიბადა, საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებაზე განუხრელად ახდენდა გავლენას მისი კონფლიქტი ავტორიტარიზმთან. ბრძოლამ, რომელიც ჯეიმს მედისონმა დაახასიათა, როგორც „ეპოქის უდიდესი ბრძოლა თავისუფლებასა და დესპოტიას შორის“, მთელი მე-19 საუკუნის და ნაწილობრივ მე-20 საუკუნის სახე განსაზღვრა: ლიბერალური სახელმწიფოები ერთად ებრძოდნენ ერთპიროვნული მმართველობის სხვადასხვა ფორმებს, და მათ წინააღმდეგ აწარმოებდნენ როგორც „ცხელ“, ასევე „ცივ“ ომებს.

1989 წელს, როცა „გამართლებაზე“ მეტ-ნაკლები პრეტენზიის მქონე კომუნიზმიც ჩაბარდა წარსულს, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს ბრძოლა დასრულდა.

ისე ჩანდა, თითქოს, ამიერიდან მსოფლიოში კონფლიქტების მთავარ წყაროდ დარჩებოდა რელიგიური, ეთნიკური და კულტურული ხასიათის დაპირისპირებები. ვინც ასე ფიქრობდა, 2001 წლის 11 სექტემბრისა და ისლამური რადიკალიზმის აღმასვლის შემდეგ, კიდევ უფრო დარწმუნდა თავისი მოსაზრების სისწორეში.

თუმცა, დღეს ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თანამედროვე ეპოქის ფორმირებაში, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, თვალშისაცემია ლიბერალიზმსა და ავტორიტარიზმს შორის ბრძოლის ახალი რაუნდის დაწყება. ამასთან, ავტორიტარიზმის მხარეს, ძირითადად, დგანან არა ახლო აღმოსავლეთის წვრილ-წვრილი დიქტატორები, რომელთა წინააღმდეგაც, თეორიულად, არის მიმართული ბუშის დოქტრინა, არამედ ორი ავტორიტარული ზესახელმწიფო - ჩინეთი და რუსეთი. ისინი ლიბერალიზმს უცხადებენ გამოწვევას - ახალი პარადიგმა სახელად „ტერორიზმთან ბრძოლა“ პასუხს ვერ იძლევა მასზე. თუ ეს ვინმეს აკვირვებს, მხოლოდ იმდენად, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორე მხარემ ვერ იპოვა ის გზა, რომელსაც დამკვირვებელთა უმეტესობა წინასწარმეტყველებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

სოფლის მეურნეობა

რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე?

B

საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს შორის, 1992-1993 წლებში განხორციელებული მიწის რეფორმა შეიძლება ყველაზე წარმატებულად ჩავთვალოთ. დროის ძალიან შეზღუდულ მონაკვეთში, მარტივი და ყველასთვის გასაგები წესებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დიდი ნაწილის გადაცემა გლეხებისათვის, იმ უაღრესად გაჭირვებულ პერიოდში, ბევრი ოჯახისათვის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ჩატარებული რეფორმის შედეგად 1.4 მილიონ მესაკუთრეს გადაეცა თითქმის 1 მლნ. ჰექტარი მიწა.



ვილნიუსიდან პეტერბურგამდე

კონფრონტაციის ზრდა „დიდი რვიანის“ სამიტის წინ

ვილნიუსის სამიტმა და ამ ფორუმზე გაკეთებულმა განცხადებებმა რუსეთში გაღიზიანება გამოიწვია. განსაკუთრებით მკვეთრი რეაქცია აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის რიჩარდ (დიკ) ჩეინის მიერ რუსეთის პოლიტიკის გაკრიტიკებას მოჰყვა. კრემლში მის მიმართ კრიტიკულ გამოსვლებს „დიდი რვიანის“ მომავალი სამიტისათვის ნიადაგის მომზადებად აღიქვამენ. ექსპერტები დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაციის ზრდაზე საუბრობენ.

დიმიტრი ავალიანი

ვილნიუსში გაკეთებულ განცხადებებს კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გაუკეთა. **„რუსეთი ბალტიისა და შავი ზღვის ქვეყნების სამიტზე გარჩევების ობიექტი არ უნდა იყოს. სასურველია, რუსეთი, როგორც დიდი ქვეყანა, იქ არა, ასე ვთქვათ, გარჩევის სუბიექტის ან ობიექტის როლში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის პოზიტიური ფაქტორის როლში ფიგურირებდეს,** - განაცხადა კარასინმა.

„ამერიკა ვერაფერს ასწავლის რუსეთს, იმის გათვალისწინებით, რას აკეთებს ამერიკა მის საზღვრებთან მიმდებარე ტერიტორიებზე. როდესაც ყველა, სააკაშვილიდან ჩეინიმდე, ჩვენთვის ჭკუის სწავლებას ცდილობს, ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარი ეროვნული ინტერესები უნდა დავიცვათ,“ - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ვალენტინ კუპცოვმა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი მიიჩნევს, რომ **„ვილნიუსში შეკრებილები ცდილობენ, დასავლეთის ქვეყნები „დიდი რვიანის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტისათვის მოამზადონ“**.

გაგრძელება A3 გვერდზე

სამხედრო კუთხით ნატო-სთვის მზად ვართ

მიაჩნია ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს

ნატო-ს საპარალამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის პიერ ლელუშის განცხადებით, საპარალამენტო ასამბლეა მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. **„ეს არის მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიზაციის პროცესში. ეს პოტენციურად მძლავრი არგუმენტი და დასაბუთებაა საქართველოში არსებული კონფლიქტების გადასაწყვეტად,“** - განაცხადა გუშინ პიერ ლელუშმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან დახურული შეხვედრის შემდეგ.

ლელუშის განცხადებით, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია განაგრძობს პოლიტიკურ მოლაპარაკებებს საქართველოს სახელმწიფოს ლიდერებთან.

„ჩვენ ვეწვევით აფხაზეთსა და ცხინვალს, რადგანაც ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ ადგილზე შექმნილი ვითარების გაცნობა და ხალხთან გასაუბრება უმნიშვნელოვანესია დასკვნის გამოსატანად,“ - აღნიშნა პიერ ლელუშმა.

მისი განცხადებით, ნატო-ს საპარალამენტო ასამბლეის დელეგაციას რუსული სამხედრო ბაზების მონახულება სურს, თუმცა ამისათვის ოფიციალურ ნებართვას ელოდება.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პიერ ლელუშთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას შეხვედრისას აინტერესებდა, თუ როგორ ხედავს საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტების დარეგულირების საკითხსა და დემოკრატიზაციის შეუქცევად პროცესს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისას.

გაგრძელება A2 გვერდზე

როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები ჰოლიციასა და ციხეში

ომბუდსმენის ანგარიშის ძირითადი პოსტულატები წინასწარ

საქართველოს სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში პარლამენტის წინაშე ახალი მოხსენებით წარდგება. 2005 წლის მეორე ნახევარში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაკეთებული ვრცელი ანგარიში ომბუდსმენმა პარლამენტს უკვე გაუგზავნა. 19 მაისს სოზარ სუბარის ანგარიშს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი ჩაიბარებს.

ინგა ალავიძე

ამჟამინდელ მოხსენებაში, პერიოდულობიდან გამომდინარე, ვერ მოხვდა ორი გახმაურებული ფაქტი - 27 მარტის ციხის ბუნტი და სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. თუმცა, სოზარ სუბარი დარწმუნებულია, რომ დეპუტატებს ამ ორ საქმესთან დაკავშირებით აუცილებლად ექნებათ შეკითხვები, რის გამოც, იგი ორივე საკითხზე სპეციალურ მოხსენებას გააკეთებს.

სახალხო დამცველი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წელიწადში ორჯერ გამოდის. როგორც ცნობილია, წინა ანგარიშის ჩაბარებამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. სოზარ სუბარის განცხადებით, აქტუალობას არც ამჟამინდელი მოხსენებაა მოკლებული. ანგარიშში ძირითადი ადგილი პოლიციას და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სიტუაციის ანალიზს უკავია.

პოლიცია და ადამიანის უფლებები

სახალხო დამცველის აპარატის პრიორიტეტი პოლიციის საქმიანობაზე კონტროლია.

„ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები. ცემა და წამება, რაც პოლიციისთვის, ტრადიციულად, ძიების შემადგენელი ნაწილი იყო, უკვე იშვიათობად იქცა, თუმცა კვლავ პრობლემას წარმოადგენს დაკავების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება. ხშირად პოლიცია გადამეტებით იყენებს ძალას“, - აცხადებს სოზარ სუბარი.

გაგრძელება A4 გვერდზე

აჭარა რევოლუციის ორი წლისთავის საზეიმოდ ემზადება

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

აჭარის რევოლუციის ორი წლისთავის აღსანიშნავად, ბათუმში გრანდიოზული ზეიმია დაგეგმილი. ამჯერად, ხელისუფლებასთან ერთად, ღონისძიებათა ნაწილს ბიზნესმენებიც დააფინანსებენ. ამ მიზნით შარშან ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა 30 ათასიდან 20 ათას ლარამდე მცირდება.

6 მაისს დილიდან ქალაქში საზეიმოდ მორთული ღია მანქანა ივლის და რევოლუციის ორ წლისთავს მოსახლეობას საყვირით ახარებს. ავტობუსში მსხდომი თოჯინების თეატრის მსახიობები კი ქალაქის რამდენიმე კუთხეში გაართობენ ბათუმელებს, თან დღის პროგრამასაც გამოაცხადებენ. დილის საათებში საინფორმაციო უზრუნველყოფის და გართობის მისიას დედაქალაქიდან ჩამოსული „მოძრაობის თეატრის“ მსახიობებიც გაინაწილებენ.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მინიწარმოდგენები და კონცერტები გაიმართება, ბავშვთა სტუდიები და ანსამბლები კი „ვარდების სკვერში“ მოწყობილ სცენას მოირგებენ.

ქალაქში გამოფენებიც მოეწყობა. მხატვართა გამოფენის თემატიკა მრავალფეროვანია, ფოტოგამოფენა კი მხოლოდ გოგა ჩანადირის რევოლუციურ ფოტოებს მოიცავს.

ბათუმის დარმატულ თეატრში გრანდიოზული კონცერტის გამართვა იგეგმება, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა ანსამბლები მიიღებენ. მათ შორის იქნებიან ბათუმის სახელმწიფო კაპელა, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ამ დღისთვის სპეციალურად ჩამოვა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლიც.

6 მაისის დღესასწაულს საღამოს სტადიონზე გამართული კონცერტი დაასრულებს. მონაწილეთა სია ასეთია: კახა ცისკარიძე, ლელა წურწუმია, ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე), „ნუცას სკოლელები“ და „ა-სტუდიო“ (ამ კონცერტის დასაფინანსებლად თანხა „სილქ-როუდ ჯგუფმა“ გამოყო). პარალელურად, შებინდებისას ფრანგულ შადრევანთან მოწყობილ სპეციალურ სცენაზე „მოძრაობის თეატრი“ გამართავს წარმოდგენას. ზეიმს, ტრადიციულად, ფეიერვერკი დაასრულებს.

6 მაისს ბათუმში მიხეილ საკაშვილსაც ელიან. პრეზიდენტი თავის ვოიაჟს ხულოდან დაიწყებს, შემდეგ თურქული კომპანიების მიერ დაფინანსებული ბათუმის აეროპორტის მშენებლობის გახსნას დაესწრება, სადაც თურქეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდება. გრანდიოზული კონცერტი აეროპორტშიც გაიმართება. **„კონცერტი თბილისში დაიგეგმა. ამიტომ ჩვენ არც ორგანიზაციულ და არც ფინანსურ საკითხებში არ ვერევით“**, - ამბობს ბათუმის ვიცე-მერი ნათია სურგულაძე. ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ, შესაძლოა, 6 მაისს აჭარაში ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკოც ჩამოვიდნენ.

ბოდიში - ცხინვალში და აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი არაკორექტული განცხადებებისთვის რუსი ხალხისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

მისი განცხადებით, იგი მზად არის ბოდიში მას შემდეგ მოიხადოს, რაც საქართველო ცხინვალსა და აფხაზეთს დაიბრუნებს.

ამის შესახებ ირაკლი ოქრუაშვილმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა. „ყველა ადამიანს აქვს უფლება, ბოდიში მოიხადოს ან მადლობა გადაიხადოს. მეც მზად ვარ, მოვიხადო ბოდიში მას შემდეგ, რაც დავბრუნდებით აფხაზეთსა და ცხინვალში“, - განაცხადა ოქრუაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა ეს კომენტარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების საპასუხოდ გააკეთა. რუსულ გამოცემა „ვრემია ნოვოსტეიში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძემ ირაკლი ოქრუაშვილის ნაცვლად ბოდიში მოიხადა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რომელიც ქართული ღვინის აკრძალვას და თავდაცვის მინისტრის გამონათქვამებს ეხება, ნინო ბურჯანაძემ უპასუხა, რომ იგი ოქრუაშვილის სიტყვების გამო რუსეთის მოქალაქეებს ბოდიშს უხდის. „რაც არ უნდა ნაწყენი იყო რუსული პოლიტიკის გამო, ასეთი გამონათქვამები დაუშვებელია. ჩვენმა მინისტრმა ცოტა არაკორექტულად და ემოციურად გამოხატა საკუთარი პოზიცია, რაც მას არ უნდა გაეკეთებინა. კორექტულობის ჩარჩოები ყველამ უნდა დაიცვას, რაც არ უნდა ნეგატიური იყოს ურთიერთობა“, - აცხადებს ბურჯანაძე.

ინტერპრესნიუსი

ბაგაფშს ყველაფრის თქმის უფლება აქვს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებით, აფხაზეთის ლიდერს უფლება აქვს დსთ-ში შესვლაზე ისაუბროს.

„მე ჯერ არ გავცნობივარ ბაგაფშის განცხადებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს, სახელმწიფოს და სახელმწიფო წარმონაქმნის ლიდერს აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები საჯაროდ და ამაში გასაკვირი არაფერია“, - განაცხადა კარასინმა.

როგორც გუშინ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი დსთ-ში გაწევრიანებაა. დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, აფხაზეთს დსთ-ს სრულუფლებიანი წევრობა სურს და ამ საკითხს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელობის წინაშე 2006 წლის ბოლომდე დააყენებს.

„ჩვენი კურსი უცვლელია - ეს დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოა, რომელსაც სურს, რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარება“, - განაცხადა სერგეი ბაგაფშმა.

მან დააზუსტა, რომ აფხაზი ხალხს რუსეთთან, ბელორუსთან და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან ერთად ყოფნა სურს. მისივე თქმით, აფხაზეთის რუსეთთან ასოცირებული წევრობისა და დსთ-ში გაწევრიანების საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. **„იმედი მაქვს, აფხაზეთის სურვილს გაგებით მოეკიდებიან და მხარს დაუჭერენ. დღეს, როცა ქვეყნების ერთ ნაწილს დსთ-დან გამოსვლა სურთ, ჩვენ კი - თანამეგობრობაში შესვლა, შესაძლოა, დსთ-ს სრულუფლებიანი წევრები გავხდეთ“**, - განაცხადა სერგეი ბაგაფშმა.

ინტერპრესნიუსი

რუსი სამშვიდობოები ქართველების ოჯახებში შეიჭრნენ

გალის რაიონში რუსმა სამშვიდობოებმა მორიგი კანონდარღვევა ჩაიდინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, გუშინ, 19:00 საათზე, ხუთი სამხედრო მოსამსახურე სოფელ სიდაში ჯავშანმანქანით მოძრაობდა.

ისინი ოთარ წულაიასა და მამუკა სართანიას ოჯახებში შეიჭრნენ და სასმელი მოითხოვეს. უარის მიღების შემდეგ, მათ სასტიკად სცემეს ოჯახის უფროსები, რის შემდეგაც რუსმა სამხედროებმა ორივე სახლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. დაზარალებულები მძიმე მდგომარეობაში გალის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქართველოს თავდაცვის უწყების მონაცემებით, ბოლო ერთი კვირის მანძილზე, გალის რაიონში მომხდარი ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები არათუ არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს კონფლიქტის ზონაში სტაბილურობისა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, არამედ თავად ახორციელებენ დანაშაულებრივ ქმედებებს და რეალურ საფრთხეს უქმნიან მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს.

ინტერპრესნიუსი

სამხედრო კუთხით ნატო-სთვის მზად ვართ

ჰირველი გვერდიდან

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარება ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრი ქვეყნების მთავრობებს, მხარი დაუჭირონ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი გუშინვე საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე მხარეებმა თავდაცვის უწყებაში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს. იმსჯელეს ასევე იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისთვის სჭირდება. ოქრუაშვილის განცხადებით, ნატო-ს დელეგაციამ თავდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმები დადებითად შეაფასა.

როგორც ჟურნალისტებს პირ ლელუშმა განუცხადა, იგი თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმებით კმაყოფილია. მან განსაკუთრებით აღნიშნა თავდაცვის ბიუჯეტის გაუმჯობესების, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის, მისი ნატო-სთან თავსებადობისა და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის გაუმჯობესების მნიშვნელობა.

გარდა ამისა, ლელუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ეფექტურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, მათ შორის ავღანეთსა და ერაყში. მისი თქმით, საქართველოს, ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, თავდაცვის კუთხით პრობლემა არ გააჩნია.

პირ ლელუში გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი დავით გამყრელიძე, „კონსერვატორების“ ლიდერი კობა დავითაშვილი, „რესპუბლიკელების“ ლიდერი ლევან ბერძენიშვილი და „მრეწველების“ წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი.

საპარლამენტო ოპოზიციის ყველა წარმომადგენელმა ნატო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დააფიქსირა, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას.

როგორც დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლობითი დელეგაცია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების უდიდესი გულშემატკივარია. **„მე პირადად შევსწრებივარ იმ ფაქტს, როგორ იცავდა პიერ ლელუში საქართველოს პოზიციას ნატო - რუსეთის დიალოგის დროს,“** - აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

თუმცა, გამყრელიძის განცხადებით, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას დღევანდელ შეხვედრაზე ნაკლებად აინტერესებდა საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის საკითხი. ნატო-ს საპარლამენტო დელეგაცია უფრო დაინტერესებული იყო საქართველოში დემოკრატიის განვითარების პრობლემებითა და საკითხებით.

გამყრელიძის განცხადებით, საქართველოს ალიანსში გაწევრიანება გაუჭირდება, თუ ხელისუფლებამ არ გააქტიურა დემოკრატიის რეალური დამკვიდრების პროცესის განვითარება ქვეყანაში. „ახლების“ ლიდერის თქმით, თუ საქართველოში დემოკრატია არ დამკვიდრდება, არ ჩამოყალიბდება ძლიერი თვითმმართველობა და არ ეყოლება საქართველოს დამოუკიდებელი მედია, ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბარი ზედმეტია.

ოპოზიციონერი დეპუტატის განცხადებით, უკრაინა უფრო მალე გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა არა იმიტომ, რომ საქართველოზე კარგად განვითარებული სამხედრო ძალები გააჩნია, არამედ იმიტომ, რომ უკრაინამ უკვე ჩააბარა ნატო-ში გაწევრიანებისათვის გამოცდა საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებით.

„ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის ბოიკოტით ძალიან შეწუხებულია და მათ საუბარში ისეთი ინტონაცია დავიჭირე, რომ, ვფიქრობ, შესაძლოა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა მედიატორის როლი შეასრულოს. მე ეს დამაიმედებლად მეჩვენება,“ - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას „მრეწველების“ წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

24 საათი

სტუდენტების პროტესტმა შედეგი გამოიღო

ნინო ბერელიძე

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაცვის რამდენიმე თანამშრომელი სტუდენტებთან კონფლიქტის მიზეზით გაათავისუფლეს. ეს გადაწყვეტილება სტუდენტთა საპროტესტო აქციის შემდეგ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ მიიღო.

გუშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებმა სასწავლებლის ეზოში საპროტესტო აქცია გამართეს და რექტორატს ბოიკოტი გამოუცხადეს. სტუდენტები კატეგორიულად სასწავლებლიდან დაცვის თანამშრომლების დაითხოვნას მოითხოვდნენ. სტუდენტების განცხადებით, დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ერთი თვეა აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობენ, მათ აგრესიულად ექცევიან, შეურაცხყოფას აყენებენ მათ და რამდენიმე მათგანი დაუნდობლადაც სცემეს.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის მამუკა მამულაშვილის თქმით, რამდენიმე დღის წინ დაცვის თანამშრომლებმა რამდენიმე სტუდენტი ყოველგვარი საბაბის გარეშე სცემეს. **„მათ ტანსაცმელი გახადეს და შიშველ ზურგზე ხელკეტები ურტყეს, როდესაც გამოვესარჩლეთ, ჩვენც დაუნდობლად გვირტყეს. ხშირად ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებიან და მაშინ განსაკუთრებით საშიშები და აგრესიულები არიან“**, - აცხადებს მამულაშვილი. **მისი თქმით, დაცვის თანამშრომლები შეურაცხყოფას სტუდენტ გოგონებსაც აყენებენ.**

სტუდენტების ბრალდებას დაცვის სამსახურის უფროსი შპს „პატრიოტის“ დირექტორი ირაკლი ნასარია უარყოფს. მისი განცხადებით, აგრესიულები არა დაცვის თანამშრომლები, არამედ სტუდენტები არიან, რომლებიც სტუდენტების წარმოდგენაზეც კი უარს აცხადებენ და, წინააღმდეგობას უწევენ დაცვის სამსახურს. ირაკლი ნასარიას განცხადებით, მათ შორის ჩხუბიც მართლაც მოხდა, და სტუდენტებმა დაცვის ერთერთ თანამშრომელს სცემეს.

სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დაცვის რამდენიმე თანამშრომელს გაათავისუფლებენ, უნივერსიტეტის დაცვას კი კვლავ შპს „პატრიოტი“ გააგრძელებს.

ხელისუფლების ფორმირება და მუდმივი საზღვრები

ისრაელის სახელმწიფოებრიობის 58-ე წლისთავის კვალდაკვალ მთავრობაში კოალიციის ფორმირებაც დასრულდა

ხათუნა გაბიევი

სახელმწიფოს შექმნის 58 წლის იუბილეს მასშტაბურად აღნიშნისა და ქნესეთში კოალიციის ფორმირების დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ეუდ ოლმერტმა საკუთარი პროგრამა წარადგინა. ისრაელის ისტორიაში პირველად, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი სუსტი სქესის წარმომადგენელმა დაიკავა. პარტია „კადიმა“-ს წევრი დალია იციკი პირველი ქალბატონია, რომელიც სახელმწიფოს არსებობის 58-წლიანი ისტორიის მანძილზე საკანონმდებლო ორგანოს წარუძღვება.

„ამიერიდან მე არც ერთ ფრაქციას არ მივეკუთვნები. ჩემი ამოცანაა, წარმოვადგინო ქნესეთის ყველა სეგმენტი და საზოგადოება“, - აღნიშნა იციკმა, რომელმაც პარლამენტის სპიკერის პოსტზე ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი შეცვალა.

სამუშაო პროგრამის წარდგენისას ეუდ ოლმერტმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ისრაელის მუდმივი საზღვრების დადგენის მნიშვნელობაზე, კერძოდ, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე იზოლირებული ებრაული დასახლების დემონტაჟის აუცილებლობაზე. ებრაელი მენაშენეები უფრო მსხვილ დასახლებებში უნდა გადაიყვანონ, რომელზეც ისრაელი, რასაკვირველია, კონტროლს შეინარჩუნებს.

„იუდეასა და სამარიაში (დასავლეთი სანაპირო) იზოლირებული ებრაული დასახლების შენარჩუნება საფრთხეს უქმნის მთლიანად ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაგონებაზე ჩვენს მოქალაქეებს სულში ცრემლი ეღვრებათ, ამის გაკეთება მაინც აუცილებელია - და თუ პალესტინის ადმინისტრაცია ჩვენთან არ ითანამშრომლებს, ჩვენ დამოუკიდებლად განვსაზღვრავთ ჩვენს საზღვრებს“, - განაცხადა ოლმერტმა პარლამენტში გამოსვლისას.

თანაც ოლმერტი საკუთარი პროგრამის რეალიზებას პალესტინური მხარის მონაწილეობის გარეშე აპირებს, რომლებთანაც მოლაპარაკებებს ისრაელი მხოლოდ „ტერორის ინფრასტრუქტურის“ ლიკვიდაციის პირობებით მიიჩნევს შესაძლებლად.

ზოგიერთი დასახლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საიდაც დაახლოებით 2 მილიონი პალესტინელიც ცხოვრობს, არსებულ პირობებში შეუძლებელია.

ოპოზიციური პარტიის „ლიკუდის“ ლიდერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ პრობლემის მოგვარების ასეთი გეგმის შესახებ განაცხადა - **„ჩვენ არასოდეს არ გვყოლია ხელისუფლება, რომელიც წინასწარ ამდენ დათმობაზე წავიდოდა და თანაც პასუხისმგებლობას წინასწარ აირიდებდა თავიდან“**.

„პალესტინის ავტონომიასთან მოლაპარაკებები ეს ის საფუძველი იქნებოდა, რომელიც მიგვიყვანდა სამშვიდობო შეთანხმებამდე, მაგრამ რადგან პალესტინის ხელისუფლებაში ტერორისტული ორგანიზაციაა მოსული, მათი, როგორც პარტნიორებად განხილვის შესაძლებლობა აღარ რჩება“, - აცხადებს, თავის მხრივ, ოლმერტი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პალესტინელთა მხრიდან, კერძოდ, ავტონომიის უმაღლესი წარმომადგენლის მაჰმუდ აბასის მიერ ისრაელისთვის შეთავაზებული იყო სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ეს გეგმა პალესტინაში იანვრის საპარლამენტო არჩევნებში „ჰამას“-ის გამარჯვების შემდეგ ჩაიშალა.

რაც შეეხება უშუალოდ პორტფელების გადანაწილებას ისრაელის ახალ ხელისუფლებაში, როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტო „რიანოვოსტ“-ი აღნიშნავს, პირველად ისრაელის სახელმწიფოებრიობის მანძილზე, ხელისუფლებაში ვერ მოხვდა რუსული დიასპორას წარმომადგენელი.

„ავოდა“-ს 7 წარმომადგენელი კი სხვადასხვა სამინისტროს პირველი პირი გახდა. „ავოდას“-ს წარმომადგენელს ჩააბარეს თავდაცვის უწყებაც.

მოკლედ

მსჯელობა დევნილთა პრობლემებზე

დევნილთა ინტერესებსა და პრობლემებზე იმსჯელეს გუშინ, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური დიალოგის“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, მას შემდეგ, რაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთა სტრატეგიაზე მომუშავე კომისიის პირველი შეხვედრა ჩაატარა, კავკასიური დიალოგის საბჭოს წევრები ზუგდიდსა და ბათუმში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი ძირითადი პრობლემები შეისწავლეს. გამოიკვეთა, რომ ამ ორი ქალაქში მცხოვრებ დევნილებს სურთ ხელისუფლებასთან დიალოგი და მათი პრობლემების გადაჭრაში ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა.

„კავკასიური დიალოგის“ საბჭოს წევრები არ გამორიცხავენ, რომ მთავრობას დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი აქვს, მაგრამ „ნათელია, რომ თუ ხელისუფლება არ გამართავს დიალოგს დევნილ საზოგადოებასთან, არ გაითვალისწინებს მათ ინტერესებს, ვერ მიიღებს დადებით შედეგებს“.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის კონფლიქტების დარეგულირების დარგში გიორგი ვოლსკის განცხადებით, დევნილთა პრობლემების გადაჭრა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. „ამჟამად მიმიდინარეობს დევნილთა ინტეგრაციის მიზნით ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა და ვფიქრობ, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრას შეძლებს“, - განაცხადა ვოლსკიმ. ***ინტერპრესნიუსი***

წყნეთში უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთებს ღობეები შემოხსნეს

გუშინ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციამ და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა დაბა წყნეთის ტერიტორიაზე ერთობლივი რეიდი ჩაატარეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა წყნეთში მოსახლეობის მიერ უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთებს სახელდახელოდ გაკეთებული ღობეები შემოხსნეს. მოსახლეობის უკმაყოფილების მიუხედავად, რეიდი მაინც განხორციელდება.

როგორც გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა შალვა აბუსერიძემ აღნიშნა, რეიდები 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება. „წყნეთის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების მიტაცების თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. მოსახლეობა უკანონოდ ითვისებს მიწას, რის შემდეგაც იქ უკანონო შენობა-ნაგებობებს აშენებენ. ჩვენ დღეს სახელდახელოდ გაკეთებული დროებითი ღობეების დემონტაჟი განვახორციელეთ, ხოლო იმ ტერიტორიების საქმეს, რომელთაც კაპიტალური ღობე აქვს შემოსაზღვრული, პროკურატურა განიხილავს“, - განაცხადა შალვა აბუსერიძემ. ***მედიანიუსი***

„პატრიოტის“ ჰიმნის მუსიკალური ვიდეორგოლის დასამზადებლად 85 000 ლარი დაიხარჯება.

საქართველოს პრეზიდენტის 27 აპრილის განკარგულებით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, პროგრამა „პატრიოტის“ ჰიმნის მუსიკალური ვიდეორგოლის დასამზადებლად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 85 000 ლარი გამოუყოს.

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ვინ იქნებიან ჰიმნის მუსიკის და ტექსტის ავტორები და კლიპის რეჟისორი, ასევე, სად მოხდება ვიდეორგოლის გადაღება. მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე მის უწყებას არც აღნიშნული თანხა მიუღია. ***ინტერპრესნიუსი***

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

„დემოკრატიული ფრონტი" - ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ, კონფერენციაზე გამოსვლისას, რუსეთის ხელმძღვანელობა ხელისუფლების უზურპაციაში, ქვეყნის შიგნით თავისუფლების შეზღუდვასა და მეზობელი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ენერგეტიკულ შანტაჟში დაადანაშაულა. ჩეინიმ ასევე აღნიშნა, რომ ეს საკითხები აუცილებლად განიხილება ახლო მომავალში სანკტ-პეტერბურგში დანიშნულ „დიდი რვიანის" სამიტზე, სადაც **„აშშ შეეცდება გააგებინოს პუტინს, რომ დემოკრატიზაციის გზაზე მდგარი პატარა მეზობელი სახელმწიფოები რუსეთისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ"**.

დიკ ჩეინიმ საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიმართ კეთილგანწყობა კონფერენციაზე გამოხატა.

„აუცილებელია რუსეთი ჯანსაღ დემოკრატიას დაუბრუნდეს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ზეწოლის პრაქტიკაზე უარი თქვას. თუ რუსეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგება, ის გაცილებით მეტ პატივისცემას დაიმსახურებს მეზობელი ქვეყნებისგან. რუსეთი გახდება გაცილებით ძლიერი, როგორც კი მისი მეზობლები დემოკრატიულ სუვერენულ სახელმწიფოებად იქცევიან," - დასძინა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.

დიკ ჩეინის გუშინდელი სიტყვა, რომელიც ვილნიუსის შეხვედრის მთავარ მოვლენად იქცა, თამამად შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელ თვეებში ვაშინგტონის ადმინისტრაციის მხრიდან რუსეთის მისამართით გაკეთებულ ყველაზე მწვავე გამოსვლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუშის ადმინისტრაციის „ქორი", როგორც ჩეინის ამერიკელი ჟურნალისტები უწოდებენ, ვილნიუსში აშშ-ს პრეზიდენტის პირადი თხოვნით ჩავიდა.

ვილნიუსის ტრიბუნა რუსეთზე სასაუბროდ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ლიდერებმაც გამოიყენეს. საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარ გამოსვლაში კიდევ ერთხელ დააყენა საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი და საერთო ევროპულ საფრთხეებზე ისაუბრა. **„თავისუფლების ტალღას, რომელიც თბილისიდან დაიწყო, საფრთხე ემუქრება. ვიღაც ჩუმად არის, ვიღაც ამ საფრთხეს ხელს უწყობს. თუკი პოლიტიკური ძალები მოსკოვში ჩვენს დემოკრატიულ ღირებულებებს დაანგრევენ, ყველას საერთო [illegible]. ევროპოკავძიოძი. ივეხთვის, შესაძლოა, ეს შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ. სირთულეების მიუხედავად, საქართველო ევროპული ღირებულებებისკენ მიიელტვის"**, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც გუშინ კონფერენციის დასრულების შემდეგ პირისპირ შეხვდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს.

დიკ ჩეინისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს გასცდა და საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. საუბრის დეტალები ცნობილი არ არის, თუმცა, დიკ ჩეინიმ საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიმართ განწყობა კონფერენციაზე გამოხატა და საკუთარ გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილის ციტირებაც კი მოახდინა: **„ჩვენ კვლავ გმირების ეპოქაში ვცხოვრობთ. თავისუფლებისკენ ლტოლვა შეუზღუდავია. სწორედ ამის მაგალითია გზა თბილისის თავისუფლების მოედნიდან კიევამდე, როდესაც პატრიოტებმა ხმა ამოიღეს საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ უდიდესი ვალდებულებები იკისრეს და მსოფლიოს პატივისცემა დაიმსახურეს. „ფერადი რევოლუციების" მონაწილეები ჩვენი ისტორიის გმირები არიან. მახსოვს პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები: „ჩვენ ყველაფერი ნულიდან - უხელფასობის, უმუშევრობისა და უშუქობის პირობებში დავიწყეთ". ასეთ ვითარებაში ზოგი ქვეყანა არსებობას წყვეტს. დემოკრატიული განვითარება ისტორიული პროცესია და სწორედ ამან შეცვალა სამყარო უკეთესობისკენ. რაც სამართლიანია ვილნიუსში, ის სამართლიანია თბილისში, კიევში, მოსკოვში და მინსკშიც კი. ბელორუსი ხალხი იმსახურებს იმას, რომ ახლა ჩვენს გვერდით იყოს. ევროპამ და ამერიკამ ვალდებულება იკისრა, რომ ამ ხალხს დაეხმაროს, თუმცა როდის და როგორ მოხდება ეს, მხოლოდ ბელორუსი ხალხის გადასაწყვეტია. დემოკრატიას ახალი მტერი ჰყავს. ეს რელიგიური ექსტრემიზმი და ბირთვული იარაღია. მეგობრების დახმარებით, რომელთა შორის საქართველო და უკრაინა იყო, ერაყში დიქტატურა დავამარცხეთ. მიმაჩნია, რომ კაცობრიობის ყველაზე დიდი ძალა თავისუფლების სიყვარულია და ამას წინ ვერაფერი დაუდგება"**, - განაცხადა დიკ ჩეინიმ.

მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დაეხმარება ყველა ქვეყანას, რომელიც ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ისწრაფვის.

ვილნიუსში აქტიური განხილვის საგანი გახდა გაყინული კონფლიქტების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის საკითხიც. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ აღნიშნა, რომ ევროკავშირი მომავალშიც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას სამხრეთ კავკასიის გაყინული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. **„გაყინული კონფლიქტები არ უნდა უშლიდეს ხელს დემოკრატიზაციის პროცესს,"** - აღნიშნა სოლანამ.

კონფერენცია სახელწოდებით - „ერთიანი ხედვა საერთო სამეზობლოსთვის", 1997 წლიდან იმართება, თუმცა წელს გამართული თავყრილობა მსგავსი ღონისძიებების ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითად შეიძლება ჩაითვალოს. ამჯერად ვილნიუსში გამართული კონფერენცია ანონსირებული იყო, როგორც გასული წლის 2 დეკემბერს კიევში გამართული ფორუმის - „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა" - გაგრძელება.

„დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" შექმნის იდეით უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდნენ. ამ თანამეგობრობის შესახებ დეკლარაციას ორმა პრეზიდენტმა ბორჯომში მოაწერა ხელი. აღნიშნული იდეა ბალტიის და შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონში ახალი დემოკრატიების ბლოკის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც მოწოდებულია რეგიონში დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად.

აღნიშნული ბლოკის შექმნის იდეა იმთავითვე მტრულად მიიღო რუსეთმა და, მიპატიჟების მიუხედავად, არც კიევის ფორუმში მიუღია მონაწილეობა და არც ვილნიუსის კონფერენციას დასწრებია გუშინ.

როგორც ლიტვური გაზეთი „Lietuvos zinios" წერს, ვილნიუსის ფორუმის ორგანიზატორებმა მოსაწვევი პირადად პრეზიდენტ პუტინს გაუგზავნეს. **„რუსეთის რეაქცია ამ მოწვევაზე იქნება ლაკმუსის ქაღალდი, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს რუსეთის დამოკიდებულებას პოსტსაბჭოთა მეზობლების მიმართ და, ასევე, მის დამოკიდებულებას ზოგადად დასავლეთის, ნატო-სა და ევროკავშირის მიმართ,"** - წერს გაზეთი.

რუსეთს ვილნიუსის კონფერენციაზე მხოლოდ ჟურნალისტები და პოლიტოლოგები წარმოადგენდნენ.

„რუსეთის რეაქცია იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო", - ამბობს ვილნიუსის ფორუმის დასრულების შემდეგ ცნობილი რუსი ჟურნალისტი ევგენი კისილიოვი ქართველ კოლეგებთან ინტერვიუში. **„მე მრცხვენია პუტინისა და ჩემი ქვეყნის პოზიციის გამო,"** - დასძენს კისილიოვი. **„რუსეთის ხელისუფლებამ არ იცის, როგორ უნდა მეზობლებთან ურთიერთობა... ვერ გაუგია, რომ პატარა ქვეყანა საქართველო, არ წარმოადგენს მისთვის არავითარ საფრთხეს,"** - დასძენს კისილიოვი.

როგორ უნდა იცხოვრონ მეზობლებმა? - ეს კითხვა ჟურნალისტებმა გუშინ უკრაინის პრეზიდენტსაც დაუსვეს. ვიქტორ იუშენკოს მოკლე პასუხი აქვს: **„ერთმანეთს პატივი უნდა სცენ."**

ვილნიუსიდან პეტერბურგამდე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის სიტყვების კომენტირებისას იმის შესახებ, რომ შეხვედრის არც ერთმა მონაწილემ რუსეთი მტრად არ უნდა მიიჩნიოს, მარგელოვმა აღნიშნა, რომ **„იმედია, ეს მართლაც ასეა, და ჩეინის სიტყვები არ არის მხოლოდ საფარველი რუსეთის გარშემო „სანიტარიული რკალის" შეკვრისათვის"**. მისი თქმით, **„აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის განცხადებები, თითქოს რუსეთისათვის „ახალი დემოკრატიების" კორდონთან მეზობლობა უკეთესი იქნება, სულაც არ გვარწმუნებს, იმის გათვალისწინებით, თუ რაგორი მოქნილი დამოკიდებულება აქვს აშშ-ს ადმინისტრაციას თავად დემოკრატიის ცნებასთან"**.

კარნეგის ფონდის ექსპერტი მარია ლიპმანიც მიიჩნევს, რომ კრემლის მომატებული კრიტიკა აშშ-ს მხრიდან სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის" მომავალ სამიტს უკავშირდება. მისი აზრით, ეს ერთგვარი გამართლებაა იმისა, რომ პეტერბურგში ჩასვლა „დიდი შვიდეულის" მეთაურებს მაინც მოუწევთ.

კრიტიკის მეორე მიზეზი, მისი აზრით, იმას უკავშირდება, რომ **„რუსეთი სულ უფრო თავდაჯერებულად გრძნობს თავს, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებები მსოფლიოში რუსეთის როლის შესახებ სულ უფრო თამამად ჟღერს და, პრაქტიკულად, გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით ევროპის შანტაჟამდეც კი მიდის"**. ლიპმანის აზრით, დასავლეთი, პირველ რიგში კი აშშ, „რვიანის" მომავალი სამიტის „გაფუჭებას" შეეცდებიან.

„აშშ პუტინს არ მისცემს სამიტის ტრიუმფალურად ჩატარების და იმის ხაზგასმის საშუალებას, რომ დასავლეთის ქვეყნები რუსეთის სტუმრები არიან და ყველაფერს რუსეთი განკარგავს," - აცხადებს ექსპერტი.

„ჩეინის განცხადება პუტინისთვის გაფრთხილებაა. დიკ ჩეინიმ მას აგრძნობინა, რომ თუ პუტინი ენერგომატარებლების მიწოდებას შანტაჟისათვის გამოიყენებს, მას მეზობლებთან ურთიერთობა გაურთულდება," - მიიჩნევს რუსი მიმომხილველი ტატიანა სტანოვაია. მისი აზრით, „დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე აშშ აპირებს, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკის საკითხი დასვას.

„დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის სამიტი ძალიან არახელსაყრელი ფონია „დიდი რვიანის" სამიტისათვის და ხელს არ შეუწყობს მომავალ სამიტზე რუსეთის მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგის განხილვას. ნათელია, რომ მოსკოვის გაღიზიანება ანტირუსულ ღონისძიებებში მონაწილე აშშ-სა და ევროკავშირის მიმართ გაიზრდება. კონფრონტაცია ორივე მხრიდან იზრდება და მოჯადოებულ წრეს ქმნის, რაც რუსეთის დასავლეთის ქვეყნებთან ეფექტურ თანამშრომლობას ხელს ვერ შეუწყობს," - აღნიშნავს სტანოვაია.

დიქტატორთა ლიგა?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

90-იანი წლების ბოლოს, ელცინის მმართველობის დროს რუსეთის ხელისუფლების სრული კრახის მიუხედავად, ისე ჩანდა, თითქოს, რუსეთის საერთაშორისო-პოლიტიკური ვექტორი, მთლიანობაში, დასავლეთისა და ლიბერალიზმისკენ იყო მიმართული. რაც შეეხება ჩინეთს, ჯერ კიდევ 2002 წელს მიიჩნეოდა, რომ ის შიდაპოლიტიკური ლიბერალიზაციისა და ლიბერალურ სამყაროსთან ინტეგრაციის გზით მიდიოდა. მოსწონს ეს პეკინს თუ არა, ამტკიცებდნენ სინოლოგები და პოლიტიკოსები, წარმატებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა ამ პირობის გარეშე ვერ შეძლებს ტრანსფორმირებას.

დღეს ყოველივე ამის სისწორეში ავტორებსაც კი ეპარებათ ეჭვი. დიდი ხანია შეწყდა საუბრები იმაზე, რომ რუსეთში წუთი-წუთზე დაიწყება დემოკრატიზაცია და სადაც არის, დემოკრატია დამყარდება. მოსკოვმა, როგორც ამას წინათ აღნიშნა დმიტრი ტრენინმა, „დასავლეთის ორბიტა დატოვა და თავისუფალ ფრენას შეუდგა".

ჩინეთი კი განაგრძობს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციას, მაგრამ პოლიტიკური ლიბერალიზმის გარდუვალობაზე უკვე აღარავინ საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა ჯიუტად ინარჩუნებს ერთპარტიული მმართველობის სისტემას, ქვეყნის ეკონომიკა არნახული ტემპებით ვითარდება. უკვე ლაპარაკობენ „ჩინურ მოდელზე", რომელშიც პოლიტიკური ავტორიტარიზმი ეკონომიკურ აღმავლობასთან არის შეხამებული. რუსეთის ხელმძღვანელობას ეს მოდელი მოსწონს, თუმცა, მის შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, ნავთობისა და გაზის, პრაქტიკულად, ამოუწურავ რეზერვებს ემყარება.

დღემდე ლიბერალური დასავლეთის სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ უზრუნველეყო ამ ორი ზესახელმწიფოს ინტეგრაცია ლიბერალურ სამყაროში, დაეოკებინა მათი ამბიციები და ეს სახელმწიფოები ლიბერალიზმის განვითარებისთვის უსაფრთხო სივრცედ ექცია. თუმცა, ეს სტრატეგია გარკვეულწილად გათვლილი იყო იმაზეც, რომ ეს სახელმწიფოები თანდათანობით და თანმიმდევრულად თავადაც ეცდებოდნენ ლიბერალურ საზოგადოებად გარდაქმნას.

მაგრამ, თუკი, რუსეთი და ჩინეთი ამის გაკეთებას სულაც არ ფიქრობენ და უახლოესი ათწლეულების განმავლობაში კვლავ ავტორიტარიზმის „დედაბოძად" დარჩენას აპირებენ, და თანაც მტკიცედ და აყვავებულად, მაშინ, ცხადია, მათგან არ უნდა ველოდეთ დასავლეთის იდეის სიხარულით გაზიარებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობის განვითარების ერთადერთი გზაა დემოკრატია და ავტორიტარული მმართველობის დასასრული. სავარაუდოდ, ისინი კვლავ მოიქცევიან ისე, როგორც აქამდე იქცეოდნენ. საკუთარი რეჟიმის გადარჩენის გრძელვადიანი ინტერესიდან გამომდინარე, ისინი ყველანაირად წინააღმდეგობას გაუწევენ ლიბერალიზმის მხრიდან „თავდასხმებს".

დღეს რუსეთი და ჩინეთი სწორედ ამ საქმიანობით არიან დაკავებულნი. და ამის მარტივი, მაგრამ უტყუარი მაგალითები ძალიან ბევრია. ასეთია, მაგალითად სუდანი და ირანი, სადაც ჩინეთი და რუსეთი ერთიანი ფრონტით ეწინააღმდეგებიან დასავლეთის მხრიდან სანქციების დაწესების მცდელობას. თვალსაჩინო მაგალითებად გამოდგება ბელარუსი, უზბეკეთი, ზიმბაბვე და ბირმა, სადაც დასავლელი ლიბერალების საერთო განწყობის მიუხედავად რუსეთი და ჩინეთი კვლავ აგრძელებენ დიქტატორული რეჟიმების მხარდაჭერას.

ცხადია, ყველა ეს მოქმედება შეიძლება ძალიან მარტივად ავხსნათ - ეს სახელმწიფოები საკუთარი ვიწრო ინტერესებისთვის ზრუნავენ. ჩინეთს სუდანის და ირანის ნავთობი სჭირდება; რუსეთს კი ასობით მილიონი დოლარი, რომელსაც ის იარაღისა და ბირთვული რეაქტორების გაყიდვის შედეგად მიიღებს. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ რუსეთსა და ჩინეთში მიღებული გადაწყვეტილებების მიღმა იმალება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალო ანგარება. ის ფაქტი, რომ ეს სახელმწიფოები დიქტატორულ რეჟიმებს ლიბერალური დასავლეთისგან იცავენ, მათ ფუნდამენტურ ინტერესს - ავტორიტარული ქვეყნების ინტერესს ააშკარავებს.

ამ ინტერესების გაგება, თითქოს ძალინ მარტივია. ვთქვათ, დავუბრუნდეთ სანქციების საკითხს. როგორც ჩინეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში განმარტავს, „როდესაც საუბარი ეხება სანქციებს, იქნება ეს სუდანთან დაკავშირებით, ან სხვა შემთხვევაში, ჩვენ პრინციპული ხასიათის სირთულეების წინაშე ვდგებით". მართლაც სირთულეები პრინციპული ხასიათისაა, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჩინეთის წინააღმდეგ 17 წლის წინ ლიბერალური მსოფლიოს მიერ შემოღებული სანქციები დღესაც მოქმედებს. ჩინეთს სურს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ საერთოდ დაანებოს თავი ყველანაირ სანქციებზე საუბარსაც კი ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ. იგივე სურს რუსეთსაც. როგორც პაველ ბაევი ამბობს, რუსეთი მართლა სუდანის გამო კი არ ეწინააღმდეგება სანქციების შემოღებას ამ ქვეყნის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ „ზოგადად მიმდინარეობს ბრძოლა სანქციების წინააღმდეგ, რათა საერთოდ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გაერო-ს ამ ინსტრუმენტის მოქმედება".

რუსეთი და ჩინეთი ვერ ეგუებიან იმ ფაქტსაც, რომ ლიბერალური დასავლეთი მთელს მსოფლიოში ლიბერალური პოლიტიკური სისტემების გავრცელებას ცდილობს. განსაკუთრებით, მათ ეს არ მოსწონთ, როდესაც საქმე ეხება იმ რეგიონებს, რომელთაც მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. მათ საკმაოდ მტრული რეაქცია შეაგებეს, უკრაინას, საქართველოსა და ყირგიზეთში მიმდინარე „ფერადი რევოლუციების" წყებას, რაც სავსებით გასაგებია. დასავლელი ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ამ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ ქარიშხლებს ნახტომისებური ხასიათი ჰქონდათ, თუმცა ეს იყო ევოლუციის ბუნებრივი გამოვლინება, რომელიც ლიბერალიზმამდე და დემოკრატიამდე მივა.

თუმცა, რუსეთსა და ჩინეთში ამ მოვლენებს ბუნებრივად არ თვლიან, ხედავენ მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებებს, რომლებიც დასავლეთის მხარდაჭერით, პლანეტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილებში, მისი (დასავლეთის) გავლენის გაზრდის მიზნით ხორციელდება.

ნუთუ, ისინი მართლა ასე მტყუანები არიან? განა არ შეიძლებოდა, რომ უკრაინის წარმატებული ლიბერალიზაცია, რომელიც დასავლეთის რჩევითა და მხარდაჭერით დაიწყო, სხვა არაფერი ყოფილიყო, თუ არა ამ ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში შეყვანის პრელუდია, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, - დასავლეთის ლიბერალური ჰეგემონიის ექსპანსიის გაგრძელება? როგორც ტრენინი „უკრაინისთვის კრემლის ბრძოლა"-ში აღნიშნავს, „კრემლი მთელი სერიოზულობით ემზადება". მოსკოვს ასევე კარგად ესმის, რომ თუ ალექსანდრ ლუკაშენკო ბელარუსში ძალაუფლებას დაკარგავს, ადვილი შესაძლებელია, მინსკიც „უკრაინულ-ატლანტიკურ გზას დაადგეს".

ისევე, როგორც ლიბერალიზმსა და ავტოკრატიას შორის კონფლიქტის წინა წლებში, ორივე მხარე ახლაც აცნობიერებს თავის სტრატეგიულ და იდეოლოგიურ ინტერესებს, როგორც ერთ მთლიანობას. ამიტომ, გასაგებია ჩინელების შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, შეერთებულ შტატებთან კონფრონტაციის შემთხვევაში, იქნება თუ არა მისთვის ხელმისაწვდომი ნავთობის მარაგები. შესაბამისად, პეკინი ცდილობს ურთიერთობების გაუმჯობესებას სუდანთან და ანგოლასთან, რომლებსაც ლიბერალური დასავლეთი კარგი თვალით არ უყურებს; ჰუგო ჩავესის ვენესუელასთან; აგრეთვე ბირმის ხელისუფლებასთან, - ამ ქვეყნის პორტების გამოყენების მიზნით. ჩინეთი გაერო-ში მუდმივად იბრძვის გაერო-ში ხმის მისაღებად, ცდილობს გაამყაროს თავისი პოზიციები ტაივანისა და იაპონიის წინააღმდეგ, რისთვისაც თავს ევლება ისეთ ლიდერებს, როგორიც არის ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, - კიდევ ერთი დიქტატორი, რომლის დანახვაც კი არ უნდათ დასავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ მარკ ლეონარდის მსგავსი ინტერვენციონიზმის ზოგიერთი ევროპელი მიმდევარი ჩინეთის მისამართით კრიტიკულად საუბრობს, ზედმეტი არ იქნებოდა, დაგვესვა კითხვა, თუ რატომ უნდა მოქმედებდეს ჩინეთი სხვაგვარად. განა, ერთი ავტორიტარული სახელმწიფო განზე გადადებს თავის ინტერესებს და მხარს დაუჭერს დასავლეთს მეორე ავტორიტარული სახელმწიფოს გაკიცხვაში?

ყოველივე იმაში თვალსაჩინოა შავი იუმორი, რომლის დაფასებაც მოუწევთ ევროპელებს. საქმე ის არის, რომ ჩინეთი და რუსეთი უსაზღვრო ერთგულებას იჩენენ საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის მიმართ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ქმედება მოწონებული უნდა იყოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ. ამასთან, ჩინეთი და რუსეთი საერთაშორისო ლიბერალიზმს მიზანდასახულად არ აძლევენ საშუალებას, შეასრულოს თავისი მეორე პრინციპული ამოცანა: დაცული იყოს პიროვნების უფლებები, თუნდაც ეს ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდეს. ასე რომ, ვიდრე ამერიკელები და ევროპელები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გულმოდგინედ იღვწოდნენ ახალი ლიბერალური „ნორმების" შესაქმნელად, რამაც მათ საშუალება მისცა, ჩარეულიყვნენ კოსოვოს, რუანდისა და სუდანის მოვლენებში, რუსეთი და ჩინეთი, სარგებლობდნენ რა ვეტოს უფლებით, ყოველმხრივ ეწინააღმდეგობდნენ ამგვარი ნორმების ევოლუციას. ასეთი კონფლიქტები, სავარაუდოდ, მომავალშიც იქნება.

ჩვენი სამყარო საკმაოდ რთულია და საეჭვოა, რომ ორი მტრული ბანაკის, - ლიბერალიზმისა და ავტორიტარიზმის, - დაშორიშორება მარტივად მოხდეს. რუსეთი და ჩინეთი ბუნებრივ მოკავშირეებს არ წარმოადგენენ, ამასთან, ორივეს სჭირდება ლიბერალური დასავლეთის ბაზარზე გასვლა. ორივეს აქვს ინტერესები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების ინტერესებს ემთხვევა. თუმცა, რადგან ჩინეთიცა და რუსეთიც ავტორიტარული სახელმწიფოები არიან, მათ სხვა ინტერესებიც გააჩნიათ, - საერთო რომგორც ორივე მათგანისთვის, ისე დანარჩენი ავტორიტარული ქვეყნებისთვის. ყველა მათგანი ალყამეორტყმული ციხის მდგომარეობაშია: ჩვენი ეპოქა ხომ ლიბერალიზმის გავრცელების ეპოქას წარმოადგენს. ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამის საპასუხოდ, მსოფლიოში გაჩნდება, ვთქვათ, „დიქტატორების ლიგა", რომელსაც მოსკოვი და პეკინი ყველანაირად დაუჭერენ მხარს და დაიცავენ. საქმე ის არის, რა საპასუხო სვლას გააკეთებენ აშშ და ევროპა. სამწუხაროდ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ „ალ ქაიდა" იქცეს თანამედროვე ლიბერალიზმის, მართალია არა ერთადერთ, მაგრამ არა ყველაზე სერიოზულ გამოწვევად.

ამბები A2

მოკლედ

სამარხის გაძარცვის მცდელობა

დედოფლისწყაროში „ტახტიფერდას“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოკვლეულ მასალებს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. უცნობმა პირებმა დროებით დაკონსერვებული ნაგებობების დაზიანება სცადეს.

დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის გაერთიანებული სამსახურის უფროსის ზაზა ფიროსმანაშვილის განცხადებით, ბოროტმოქმედებმა დაკონსერვებული ნაგებობის დაზიანება იმ მიზეზით სცადეს, რომ მათ იქ ძვირფასეულობა ეგულებოდათ.

„ტახტიფერდაში“ არქეოლოგიური გათხრები, უკვე მესამე წელია მიმდინარეობს. აქ 4 ათასი წლის წინანდელი ადამიანთა ნაკვალევია აღმოჩენილი. გათხრების შედეგად არაერთი ისტორიული მასალაა ამოღებული - ბრინჯაოს ფარი, ხმალი და ჯაჭვის მუზარადი, ასევე - ქალის სამკაულები, ნახშირი, ადამიანის ძვლები და თიხის ულამაზესი ნიმუშები. ეს იმის მანიშნებელია, რომ „ტახტიფერდა“ კიდევ უამრავ საიდუმლოებას ახდის ფარდას და, როგორც არქეოლოგები აღნიშნავდნენ, შესაძლოა, აღმოჩენილმა ნიმუშებმა საერთოდ შეცვალოს საქართველოს ისტორია. თუმცა, ამ დღეებში არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა - ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა თვითნებური გათხრები დაიწყეს. როგორც ჩანს, ისინი სიმდიდრეს ან ძვირფას ნივთებს ეძებდნენ“, - ამბობს ზაზა ფიროსმანაშვილი და დასძენს, რომ ტერიტორია, რომელიც არქეოლოგიის საბადოს წარმოადგენს, დაუცველია, რის გამოც, შესაძლოა, ინციდენტი კვლავ განმეორდეს.

„ტახტიფერდას“ გათხრები, სავარაუდოდ, მაისიდან განახლდება და მთელ ზაფხულს გასტანს. სპეციალისტები აქ ყორღანული სამარხების აღმოჩენასაც ელიან. ზაზა ფიროსმანაშვილის მოსაზრებით, მოსახლეობაში ამ ინფორმაციამ გაჟონა და, სავარაუდოდ, მძარცველებმაც იმიტომ მიაკითხეს სამარხს.

მომხდარი ფაქტის შესახებ დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული დეპარტამენტის გაერთიანებული სამსახურის უფროსმა ადგილობრივ პოლიციას უკვე აცნობა. თუმცა, დამნაშავეები ჯერ არ გამოუვლენიათ. **24 საათი**

იურიდიული კლინიკა სააპელაციო სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლოში იურიდიული კლინიკა შეიქმნა.

როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, იურიდიულ კლინიკაში იუსტიციის 28 მაგისტრი სამი ძირითადი მიმართულებით - სისხლის, სამოქალაქო და სახელმწიფო სამართალში აიმაღლებს კვალიფიკაციას.

იურისტები სპეციალურმა კომისიამ კონკურსის შედეგად შეარჩია. პრეტენდენტები 15-კვირიან სასწავლო ვადაში მონაწილეობას მიიღებენ კონკრეტული საქმისა და პროცესის მომზადებაში და სასამართლო ეთიკის საკითხებს გაეცნობიან.

იურიდიული კლინიკის კოორდინატორის, მოსამართლე მაია ივანიძის განცხადებით, წარმატებულ მაგისტრს საშუალება მიეცემა, სტაჟირება ევროპის გამორჩეული უნივერსიტეტების იურიდიულ კლინიკებში გაიაროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში იურიდიული კლინიკა ამავე სასამართლოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის „ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის“ მხარდაჭერით შეიქმნა. **24 საათი**

ლიკვიდირებულია 40-მდე ეჭვმიტანილი

ძალოვანების მიერ სპეცოპერაციების დროს ეჭვმიტანილთა ლიკვიდაციის ფაქტების გახშირება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდება. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, სანაპიროზე, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალების შესწავლას იურიდიულ საკითხთა კომიტეტი გეგმავს.

„მაინტერესებს, როგორ აპირებს კომტეტი ამ საკითხზე მუშაობას. გადაწყვეტილი გვაქვს, ჩვენი კომიტეტის წევრებმაც მიიღონ მონაწილეობა მუშაობის პროცესში“, - აცხადებს პარლამენტის ადმიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, რომ, ზოგადად, ლიკვიდაციის გახშირების ტენდენციებზე კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელოს.

„სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსაც მოვიწვევთ. ვანო მერაბიშვილს აუცილებლად მივმართავ და იმედი გვაქვს, რომ რიგით თანამშრომლებს არ გამოგზავნის ამ საკითხების განსახილველად“, - აცხადებს თევდორაძე.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წლის დასაწყისიდან დღემდე სპეცოპერაციების დროს, დაახლოებით, 40-მდე ეჭვმიტანილია ლიკვიდირებული, რასაც ციხის მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ბუნტის დროს მოკლული შვიდი პატიმარიც ემატება.

ცოტა ხანში სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი სხდომაზე გაფართოებული ფორმატით განიხილავს.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, გაფართოებულ სხდომაზე მიიწვევენ საელჩოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. დაგეგმილია კომიტეტზე ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მოწვევაც.

როგროც ელენე თევდორაძე ამბობს, საუბარი იქნება, ასევე, თბილისის მეხუთე საპყრობილეში მომხდარ ბუნტთან დაკავშირებითაც.

„ჩემი ინფორმაციით, გამოძიება მხოლოდ ერთი კუთხით მიმდინარეობს; კერძოდ, ბუნტში პატიმრების მონაწილეობის კუთხით და გამოძიება სამართალდამცველთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების გამოყენების თვალსაზრისით არ მიმდინარეობს. ძალის გამოყენება გარეთ, სადაც მე ვიმყოფებოდი, არ მომხდარა. ჩემთვის დღემდე უცნობია, რა მოხდა შიგნით, საპყრობილეში“, - აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეუთო-ს მისიის წარმომადგენლის ინტერესი

აჭარის ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელის თამაზ ბაკურიძის საქმით ინტერესდება ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი საქართველოში გიორგი ტულუში.

თამაზ ბაკურიძე გუშინწინ ბათუმის საპყრობილეში მოინახულეს - გიორგი ტულუშმა, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა.

როგორც თამაზ ბაკურიძის ადვოკატი ნინო კიკალიშვილი აცხადებს, სტუმრებმა მოისმინეს ინფორმაცია იმ საპროცესო დარღვევების შესახებ, რომლებსაც პირველი ინსტანციის - ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჰქონდა ადგილი. ბაკურიძეს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

შეხვედრისას გიორგი ტულუშმა აღნიშნა, რომ ეუთო-ს მისიის სათავო ოფისის მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა დაცვის სამსახური აქტიურ ინტერესს იჩენს თამაზ ბაკურიძის საქმესთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ბაკურიძის ადვოკატმა ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც უკვე დასრულდა მოწმეების დაკითხვა, რომელთა ჩვენებების მიხედვითაც, ბაკურიძის ბრალეულობა არ დასტურდება. **პრაიმ-ნიუსი**

ნარკოტიკის გადაზიდვის უჩვეულო ხერხი

სამართალდამცველებმა გუშინ ირაკლი მამალაძე დააკავეს, რომელიც, როგორც გაირკვა, ნარკოტიკს გაწვრთნილი მტრედის საშუალებით გზავნიდა. პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილი მტრედის მეშვეობით ახდენდა ნარკოტიკული ნივთიერების გადაზიდვას შემდგომი რეალიზაციისთვის.

მტრედს, რომელიც ირაკლი მამალაძეს დაკავებისას ხელში ჰყავდა, ნარკოტიკული ნივთიერება ფეხზე ჰქონდა შებმული. პოლიციის მტკიცებით, მამალაძეს ჩხრეკისას „ჰეროინი“ აღმოაჩნდა. **ინტერპრესნიუსი**

ფინანსური პოლიცია „ალტაში“

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ კომპიუტერული ფირმა „ალტას“ შემოწმება დაიწყო.

შპს „ალტას“ ცენტრალური ოფისი ყაზბეგის გამზირზე მდებარეობს, კომპიუტერული ტექნიკის მაღაზია - საბურთალოს ქუჩაზე, საწყობი კი მათ ტერმინალ „ლილო 1“-ში აქვთ.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები „ალტას“ სამივე ობიექტში ერთდროულად შევიდნენ და დალუქეს. ამ ეტაპზე დაწყებულია ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით დაიწყო, რაც საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

გამოძიება მითვისება-გაფლანგვაზე

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ თბილისის N3 საშუალო სკოლის ხელმძღვანელების წინააღმდეგ მითვისების ბრალდებით წინასწარი გამოძიება დაიწყო.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, სასწავლებლის ხელმძღვანელობა სკოლის ბალანსზე რიცხული ქონების მითვისებაშია ეჭვმიტანილი. ფინანსურმა პოლიციამ სკოლის საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია დაიწყო, რაც მითვისებული და გაფლანგული თანხის ოდენობას განსაზღვრავს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც მითვისებას ან გაფლანგვას გულისხმობს.

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ, ასევე, მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობის საქმეზეც. საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია დაწყებულია. **ინტერპრესნიუსი**

როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები პოლიციასა და ციხეში

პირველი გვერდიდან

ანგარიშში ძირითადი ადგილი პოლიციას და ციხეში არსებული სიტუაციის ანალიზს უკავია.

სახალხო დამცველის მონაცემებით, სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურასა და შს სამინისტროში გაიგზავნა მიმართვები, რომელშიც საუბარია 392 დაკავებული პირის უფლებების დარღვევაზე. აქედან 146 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანება, მათგან 64-მა დაზიანება მიიღო დაკავებისას, ხოლო 26 პრეტენზიას აცხადებდა პოლიციელთა მხრიდან მათზე განხორციელებულ ფიზიკურ ზეწოლაზე. მიმართვების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო 29 დაკავებულის უფლებების დარღვევაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 7 საქმის გამოძიება, 22 საქმე შეწყდა ფაქტის დაუდასტურებლობის გამო, 16 დაკავებულის უფლებების დარღვევის შესახებ მონიტორინგის საბჭოს მიერ შედგენილი ოქმები პროკურატურამ ბრალდების საქმეებზე დასართავად გადაუგზავნა სასამართლოს. დღევანდელი მონაცემებით, არც ერთ მათგანზე არ არის გამოტანილი კერძო განჩინება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის 9 თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების 3 დაწესებულებებში შეყვანილი პატიმრებიდან დაზიანებები აღენიშნებოდა 604 პირს, რომელთაგან 196 აცხადებდა, რომ დაზიანებები მიიღო დაკავების პროცესში და წინასწარი დაკავების ადგილებში. ასეთი გახლავთ სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც ომბუდსმენი პარლამენტს გააცნობს.

ფაქტები სასტიკ მოპყრობაზე

სახალხო დამცველის ანგარიშში მრავლადაა მოყვანილი პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები - ცემა, წამება, სასტიკი მოპყრობა, უკანონო დაკავება და სხვა.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ზაალ აკობიას საქმე. 2005 წლის 18 აპრილს ზუგდიდში, საკუთარ სახლში დააკავეს ზაალ აკობია და კედიას ქუჩაზე არსებულ სპეციალური დანიშნულების პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ზაალ აკობიას განცხადებით:

„პირებს, რომლებმაც დამაკავეს, ეკეთათ ნიღბები. მათ დაკავებისას ცემა დამიწყეს, გააგრძელეს გზაში და შემდეგ ოფისშიც. სანამ მცემდნენ და მირტყამდნენ, პირში ნაჭერი ჩამიტენეს, რათა არ მეყვირა. შემდეგ პირში ჩამიდეს იარაღის ლულა და სიკვდილით მემუქრებოდნენ, თუკი აღიარებას ხელს არ მოვაწერდი. ისინი მაშინებდნენ იმით, რომ ახალი საქმის ინსცენირებას მოახდენდნენ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებდი ამ საქმიდან თავის დაღწევას“. ზაალ აკობია ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო, არ ჩაუდენია დანაშაული, რომლის აღიარებასაც სთხოვდნენ - ჯემალ ნარმანიას მკვლელობა. დაკავების საღამოს იგი გადაიყვანეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ პოლიციაში. მასთან ერთად დააკავეს, ასევე, ვახტანგ გუჩუა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა როინ პეტელავამ ვახტანგ გუჩუას და ზაალ აკობიას სხეულებზე სისხლჩაქცევები და ნაკაწრები აღმოაჩინა.

აკობია და გუჩუა რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს და თანაც წაყენებული მძიმე ბრალდებები - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება, მოეხსნათ.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ზუგდიდის პროკურატურას და ზაალ აკობიასა და ვახტანგ გუჩუას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყება მოითხოვა. 2005 წლის 3 ოქტომბერს ზუგდიდის პროკურატურამ წინასწარი გამოძიება დაიწყო და 1 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის განყოფილების სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი წარმომადგენელი დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. მოგვიანებით, დააკავეს დანაშაულში ბრალდებული კიდევ სამი პოლიციელი.

„უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, პირები, რომელთა მიმართაც პოლიციელებმა ფიზიკურ ძალადობა და სასტიკი მოპყრობის სხვა მეთოდები გამოიყენეს, ცვლიან თავიანთ ჩვენებებს, უარყოფენ მომხდარ ფაქტებს და აცხადებენ, რომ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ, რაც გამოწვეულია შიშით, რომ ძიების პროცესში არ დაუმძიმონ მდგომარეობა. არსებული სიტუაცია სამართალდამცველებისათვის, ასევე, ფსიქოლოგიურ ზეწოლის იარაღს წარმოადგენს“, - აცხადებს სოზარ სუბარი.

ვალერი გელაშვილის საქმე ომბუდსმენის რეკომენდაციით

სოზარ სუბარის ანგარიშში კიდევ ერთი საქმე, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია, ვალერი გელაშვილის საქმეა. საუბარია 2005 წლის 15 ივლისს, დღის 2 საათზე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან „თეთრი სახლის“ სიახლოვეს მომხდარ ინციდენტზე, როდესაც ხაშურის რაიონის მაყორიტარ დეპუტატზე ვალერი გელაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. თავდასხმის შედეგად მძიმედ დაშავდა ვალერი გელაშვილი. მას ორივე ყბა მოტეხილი ჰქონდა და აღენიშნებოდა სახის მძიმე დაზიანება. ოფიციალურად ის არის ცნობილი, რომ „ოპელ-ომეგას“ მარკის ორი ავტომობილი პარლამენტარის მანქანას წინ გადაუდგა. თავდამსხმელებმა თან წაიღეს გელაშვილის მეგობრის ხელჩანთა და გელაშვილის პირადი საბუთები. მიუხედავად იმისა, რომ თავად დაზარალებული და მისი თანაპარტიელები გამორიცხავენ ყაჩაღობის ფაქტს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა ლევან ბეროძემ მომხდარი ფაქტიდან ერთ საათში, რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გამოძალვას. გამოძიება სწორედ ამ ვერსიაზე აგრძელებს მუშაობას.

„თუმცა, ალბათ ბევრმა ნახა ის კადრები, სადაც დაფიქსირებულია, რომ საავადმყოფოში მყოფ ვალერი გელაშვილს მსხვილი ოქროს ჯაჭვი ეკეთა, რაც ყაჩაღობის ვერსიას საეჭვოს ხდის“, - აცხადებს სოზარ სუბარი, რომლის ინფორმაციითაც, 14 ივნისს გელაშვილი მეუღლის მანქანით მოძრაობდა, რადგან იმ დილით მისი დაჯავშნული ავტომობილი არ დაიქოქა. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, 13 ივნისს გელაშვილი პატრულმა გააჩერა და შეამოწმა, რამდენი კაცი იყო მის პირად დაცვაში და რა იარაღი ჰქონდათ დაცვის თანამშრომლებს. დაზარალებულმა განაცხადა, რომ ყველაფერი სპეცსამსახურის ნამუშევარი იყო. იგი მომხდარს თავის სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებს უკავშირებს. მისი თქმით, მან ერთ-ერთ თავდამსხმელში შს-ს მეშვიდე განყოფილების ოპერატიული თანამშრომელი ამოიცნო.

„იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც ვალერი გელაშვილმა ამ ფაქტამდე ხელისუფლების მისამართით გააკეთა, ჩნდება ეჭვი, რომ თავდასხმა ორგანიზებული იყო თავად ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ დანაშაული მოხდა დღისით, შუაგულ ქალაქში და დღემდე ვერ ხერხდება მისი გამოძიება. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, გამოიძიოს ნებისმიერი მსგავსი დანაშაული, მით უმეტეს, როცა საქმე ეხებოდა პარლამენტის წევრს, რომელსაც იცავდა იმუნიტეტი. სამართალდამცველმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ თავდასხმის დროულად გამოძიებისთვის“, - ასეთია ომბუდსმენის რეკომენდაცია.

„კანონიერი ქურდები“ რეფორმის წინააღმდეგ

თავის ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატმა გვერდი ვერ აუარა იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც გასულ წელს და მიმდინარე წლის დასაწყისში პენიტენციურ სისტემაში მოხდა.

„ამ სისტემაში იყო სამი ძირითადი პრობლემა - ტოტალური კორუფცია, ნარკოტიკების შეუზღუდავი და აბსოლუტურად კონტროლირებადი გასაღება - ერთდროულად ადმინისტრაციისა და კრიმინალების მხრიდან და მესამე - „კანონიერი ქურდების“ მიერ ციხეში მიმდინარე პროცესების სრული კონტროლი; მეტიც, გარეთ მიმდინარე მოვლენების კონტროლი ხდებოდა ციხიდან. „კანონიერი ქურდები“ ციხის შიგნით „მართლმსაჯულებასაც“ აღასრულებდნენ - ნებისმიერი პატიმარი ვალდებული იყო, ყოველთვიურად გაეღო ხარკი, ე.წ. „ობშიაკი“, ხოლო ვინც არ გადაიხდიდა, სასტიკად ისჯებოდა. იყო შემთხვევები, როცა გარკვეული ქმედებისთვის, რაც ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წესების დარღვევად მიიჩნევა, დამრღვევები სასტიკად, ზოგჯერ სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ“, - აცხადებს სოზარ სუბარი, რომლის ინფორმაციითაც, „შავი სამყაროს“ წარმომადგენელთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის შედეგებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაცია მალავდა, შლიდა დანაშაულის კვალს. ომბუდსმენს ასეთი ფაქტების არსებობის დამადასტურებელი მაგალითიც მოჰყავს - მსჯავრდებულ ცინციბაძის გარდაცვალების ფაქტი. 2005 წლის 30 სექტემბერს ცინციბაძე ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ჩამოხრჩობილი იპოვეს. ოფიციალურ ვერსიად, მართალია, თვითმკვლელობა გამოცხადდა, თუმცა, ხარგრაც ომბუდსმენი აცხადებს, საქმეში არსებობს საეჭვო დეტალები, გარდაცვლილის ახლობლები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ცინციბაძე სწორედ „კანონიერი ქურდების“ დაკვეთით მოკლეს.

სოზარ სუბარი სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებას დიდ წარმატებად მიიჩნევს და აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

„დაიწყო რეალური და ძალიან მკაცრი ბრძოლა კორუფციასთან, ნარკოტიკების გავრცელებასთან. ჯერ - „კანონიერი ქურდები“, შემდეგ კი მათთან ყველაზე ახლოს მდგომი პირები, ე.წ. „მაყურებლები“ ცალკე, N7 საპყრობილეში მოათავსეს“, - ასეთია სოზარ სუბარის დასკვნა.

ომბუდსმენის ანალიზით, პენიტენციურ სისტემაში დაწყებულ სარეფორმო პროცესს კრიმინალური სამყაროს მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა. ამის დასტურად, სოზარ სუბარი რუსთავის N1 კოლონიაში მომხდარ ინციდენტს, 2005 წლის ბოლოსა და 2006 წლის დასაწყისში განვითარებულ ბუნტს იხსენებს.

„გავრცელებული ინფორმაციები, რომ დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა არღვევს ადამიანის უფლებებს, სცემს და აწამებს პატიმრებს, ლახავს მათ ღირსებას, არის შემადგენელი ნაწილი იმ სტრატეგიისა, რომელიც ქურდულმა სამყარომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ძველი გავლენის შესანარჩუნებლად აირჩია. კონკრეტული ფაქტების გადამოწმებისას ამ სტრატეგიის არსებობაში არაერთხელ დავრწმუნდი“, - აცხადებს სოზარ სუბარი.

თუმცა, ომბუდსმენი თავის ანგარიშში გვერდს ვერ უვლის ფაქტს, რომ სასჯალეღსრულების სისტემაში წესრიგის დამყარებისა და კანონის უზენაესობის დაცვის პრინციპის გატარებას, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს ადამიანის უფლებების დარღვევები, ისეთი შეზღუდვები, რომლებიც კანონთან წინააღმდეგობაშია. საუბარია პატიმრების ცემაზე, სასტიკ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე.

„ამის შესახებ ჩვენ არაერთი ინფორმაცია გვაქვს. თუმცა, ყველაფრის დოკუმენტურად დადასტურება ვერ ხერხდება, რადგან პატიმრების ნაწილი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს“, - აცხადებს სახალხო დამცველი.

ქუთაისის ციხეში მომხდარი ბუნტისას დაზიანება მიიღო 100-ზე მეტმა პირმა. ნაცემი იყო გაცილებით მეტი, მაგრამ ზოგს დაზიანება არ აღენიშნებოდა, ზოგმა კი უარი თქვა მათ დაფიქსირებაზე. სახალხო დამცველის ინფორმაციით, იგივე მოხდა ბათუმის საპყრობილეში 2006 წლის 24 იანვარს ჩატარებული ჩხრეკა-დათვალიერებისას, როცა დაზიანება მიიღო საკმაოდ ბევრმა პატიმარმა. თუმცა, უმრავლესობას ეს ექიმთან არ განუცხადებია.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ლევან მარუაშვილი და ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორის მოადგილე ირაკლი კუჭუხიძე. პატიმართა განცხადებით, 2006 წლის 6 თებერვალს შეიარაღებულმა და ნასვამმა ლევან მარუაშვილმა და ირაკლი კუჭუხიძემ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების საპატიმრო ნაწილის შემოვლა ღამის საათებში დაიწყეს, ისინი პატიმრებს საკნის კარებზე მუჯლუგუნის ცემით აღვიძებდნენ და პატიმრებს, რომლებმაც მზაობრზე პროტესტი გამოთქვეს, სასტიკად გაუსწორდნენ. ამ ინციდენტისას არაერთმა პატიმარმა მიიღო ფიზიკური დაზიანება. თუმცა, მათ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს უარი უთხრეს ახსნა-განმარტების მიცემაზე.

სოზარ სუბარი გენერალურ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართავს, გამოიძიონ ბათუმისა და ქუთაისის საპყრობილეში მომხდარი ინციდენტები და პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები. გარდა ამისა, სახალხო დამცველი გენერალურ პროკურატურას პატიმარ გოჩა ფაცურიას ცემის ფაქტის გამოძიებასაც თხოვს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ომბუდსმენის ინფორმაციით, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასტიკად ნაცემი ფაცურია დუმილის უფლებას იყენებს.

„შემიძლია, დავადასტურო, რომ ფაცურია სასტიკად იყო ნაცემი - მის სხეულზე, თითქმის არ იყო დარჩენილი ადგილი, სადაც არ ჰქონდა სისხლჩაქცევები და ხელკეტებითა თუ სხვა ბლაგვი საგნებით მიყენებული დაზიანებები“, - ამბობს სოზარ სუბარი, რომელსაც მეორე მსჯავრდებულის დავით ზარნაძის ცემაში ეჭვი ეპარება. პატიმრის განმარტებით, მას სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსმა ბაჩო ახალაიამ და თანამშრომლებმა - გოგა ონიანმა და სხვებმა, სასტიკად სცემეს. ზარნაძის თქმით, მას სცემდნენ პისტოლეტის ტარით და სხვა საგნებით.

„ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ ზარნაძის განცხადება იმ კამპანიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიცაა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გათავისუფლება. თუმცა, განცხადება შესასწავლად მაინც გადავუგზავნეთ გენერალურ პროკურატურას“, - ასეთია სახალხო დამცველის პოზიცია.

გარდა დასახელებული საკითხებისა, ომბუდსმენის ანგარიშში სასჯელაღსრულების სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის დროს აღრიცხული სხვა კანონდარღვევებიც მოხვდა. ქვეყნის ომბუდსმენი აღნიარებს, რომ პენიტენციურ სისტემაში ხშირად ირღვევა ადვოკატების პატიმრებთან შეხვედრის უფლება, ადმინისტრაციის მხრიდან კვლავ ხდება ძალის გადამეტება და პრობლემები იქმნება ამანათების შეგზავნის თვალსაზრისითაც.

პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების გამო, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს გენერალურ პროკურატურას და მოითხოვს:

„საპყრობილეში ჩატარებული სპეცოპერაციისას პატიმართა მიმართ გამოყენებული ძალის, ცემის, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტზე დაიწყოს წინასწარი გამოძიება; დაიწყოს წინასწარი გამოძიება იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ამოღებული აკრძალული ნივთები, რომლებიც პატიმრების პირად ნივთებთან ერთად უნდა ინახებოდეს, არის თუ არა აღნუსხული და დართული მათ პირად ნივთებს და გაირკვეს, სად წავიდა ჩხრეკების შედეგად ამოღებული ის ნივთები, რომლებიც აკრძალული არ იყო; დაიწყოს წინასწარი გამოძიება 2006 წლის 26 იანვარსა და 6 თებერვალს ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სპეციდანიშნულების რაზმის თანამშრომლების მიერ პატიმრების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ თანახმად, პატიმრებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ შეუზღუდავი რაოდენობით ამანათები, ასევე, გზავნილები წონით თვეში არაუმეტეს 30 კილოგრამისა და ამ წონაში არ უნდა შედიოდეს პირველადი მოხმარების ნივთები, თეთრეული და ტანისამოსი; მოწესრიგდეს ოთახები ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებისათვის და არ შეიზღუდოს პატიმრების უფლება, ისარგებლონ პაემანით დადგენილი ოდენობითა და წესით“, - ეს ნაწილია იმ რეკომენდაციისა, რომელსაც სოზარ სუბარი გენერალურ პროკურატურას აძლევს და რომელში ჩამოთვლილი მუხლების შესრულებასაც სახალხო დამცველი კატეგორიულად მოითხოვს.

ომბუდსმენი რეკომენდაციას იძლევა პოლიციის მიერ დაკავებულთა წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრის კუთხითაც და გენერალურ პროკურატურას მისი აპარატის მიერ მოკვლეული ყველა ფაქტის გამოძიებას სთხოვს.

საქართველოს სახალხო დამცველის ვრცელ ანგარიშს, რომლის ფრაგმენტებიც ახლა შემოგთავაზეთ, პარლამენტი თვის ბოლოსთვის მოისმენს, მანამდე კი ომბუდსმენის ანგარიშს პარლამენტის კომიტეტებში განიხილავენ.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქეროსინლები არ განიხილება).

ყველა განმცხადებელს ცალკე თბილისში მეზობელ ქვეყნებში გაგზავნილ საფოსტო ანაზღაურებას და შემდეგ მისაწერებს:

1. მკითხველი "ახმეტელის თეატრი" (ცალკანი);
2. მკითხველი "მარგანიშვილი";
3. მკითხველი "თავისუფლების მოედანი";
4. მკითხველი "წერეთელი";
5. მკითხველი "სამგორი II";
6. მკითხველი "ვარკეთილი";
7. მკითხველი "გიორგიწმ III".

(ყოფილ მკითხველი "გელათი");

8. მკითხველი "ვაზისუბნის მოედანი I";
9. მკითხველი "დიდუბე";
10. ვაჟიანიშვილის 45 "სოფმენის" შენობის ხელ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხეი დასმული შეკითხვით, შეძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

www.liberty.ge

თავისუფლება

N 16

5 მაისი, პარასკევი

თავისუფლების ინსტიტუტის საგაზეთო გამოცემა

საჩივრების არსებულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღესათვის უნივერსიტეტებში არსებული საჩივრების სისტემა სრულიად გაუმართავია. აფხისტრაციული ტიპის საჩივრებზე რეაგირების მოხდენისას უმაღლესი სასწავლებლები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი დებულებებით. თუმცა სრულიად მოულოდნელია დისციპლინური გადაცდომისა და აკადემიური ტიპის საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესი; არ არის განსაზღვრული საქმისწარმოების პროცედურები და მოქმედის დაცვის უფექტური მექანიზმები.

პრობლემის წარმოქმნის მთმობელში უკმაყოფილების გამოხატვის ბერობრებული ფორმაა ფაკულტეტის დეკანატისადმი მიმართვა, თუმცა საჩივარია თუ განცხადებაზე რეაგირება, როგორც წესი, დეკანატის თანამშრომლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ეს კი მნიშვნელოვან აქტორებს უნივერსიტეტის მხრიდან წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების მოლოდინს, რაც, თავის მხრივ, იწვევს უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვისაგან თავის შეკავებას და, საბოლოო ჯამში, წარმოქმნილი პრობლემის გადაუჭრელობას. ასევე სრულიად მოშლილია მომჩივნის, სტუდენტის ან სხვა დაინტერესებული პირის დაცვის შექანიზმი. ამის შედეგია ის ავრცელი და არაკეთილგანწყობა, რასაც სტუდენტები უკმაყოფილების საჯაროდ დაფიქსირებისა და საჩივრის წარდგენის სანაცვლოდ ღებულებენ.

ძირითადი პრინციპები

საჩივრების ეფექტური სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ნამოქმედი პრობლემის არადრომატული მოგვარების მხარდაჭერა;
- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა და საჯაროობა;
- საჩივრების პროცედურების სამართლე, იოლად გასაგები და გამოსაყენებელი ხასიათი;
- მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპის ფარგლებში საჩივრის სწრაფი განხილვა/გადაწყვეტა და საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებული პირების დროული ინფორმირება;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გადაწყვეტა;
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნისა და გატარებული დისციპლინური ღონისძიებების კონფიდენციალურობა;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების ამომწურავი შესწავლა და პროპორციული რეაგირება, სათანადო ზომების მიღება;
- საჩივრების ალრიცხვა და მონიტორინგი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინფორმირებულობა.

ხელმისაწვდომობა და საჯაროობა

უნივერსიტეტში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სავნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიძიოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, უნივერსიტეტში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ფროლი რწმენის მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. ამისათვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომჩივნების, ასევე (არსებობის შემთხვევაში) მოწმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობა, გაიარონ კონსულტაცია უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებთან. ამგვარი კონსულტაცია მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა ჩაითვალოს ფორმალური საქმისწარმოების დანყებად. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის ნევრებს შორის უნივერსიტეტში მუშაობის ან სწავლის დაწყებისას;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას.

პრობლემის პასუხრაგალური მოგვარება

უნივერსიტეტი არ არის საგამოძიებო დანესებულება. საჩივრების სისტემის არსებობა და მის საფუძველზე გარკვეული გამოძიების ჩატარება უნივერსიტეტის მიერ თავისი საგანმანათლებლო მოსახურების გაუმჯობესების ეხახურება. მესაბამისად, უნივერსიტეტის, ისევე როგორც სტუდენტისა და სხვა დაინტერესებული პირების, ინტერესებში შედის წარმოქმნილი პრობლემის დროული მოგვარება ოფიციალური პროცედურების გამოყენების გარეშე. ფორმალური საჩივრის წარდგენამდე სტუდენტი ან სხვა დაინტერესებული პირი ვალდებულია, შეეცადოს წარმოქმნილი პრობლემის მოგვარება არაფორმალური გზით. მან სადაო საკითხზე პასუხისმგებელ პირს უნდა მიმართოს. ამის შეუძლებლობის ან მიმართვის უშედეგობის შემთხვევაში საკითხის გაჩერება უნდა მოხდეს ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, დეკანთან ან მის მოადგილეებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები პრობლემის სწრაფი გადაწრისათვის.

საჩივრების არაფორმალური პროცედურები უზრუნველყოფს პრობლემის სწრაფ მოგვარებას, თუმცა თუ სტუდენტი ან სხვა დაინტერესებული პირი უკმაყოფილო იქნება არაფორმალური გზით მიღნეული შედეგით, მას უფლება აქვს, გამოიყენოს ფორმალური საჩივრის წარდგენის უფლება. ის უნდა დაეყრდნოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმალურ პროცედურებს საჩივრის ან განცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ფორმალური პროცედურები

ოფიციალური საჩივრის ან განცხადების წარდგენამდე სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან, ამოწურონ პრობლემის არაფორმალურად მოგვარების შესაძლებლობები ან წარმოადგინონ არაფორმალური პროცესის გამოყენებისგან თავის არიდების გონივრული საფუძველი. გონივრული საფუძველი შეიძლება იყოს მემთხვევა, როდესაც პრობლემა განსაკუთრებულად მძიმე ხასიათისაა და ღანაშაულზე მეტად დაყოვნებამ შეიძლება ნიანი მიაყენოს პირს კანონიერ ინტერესებს, ასევე ფაკულტეტის ხელმძღვანელობის უარი საკითხის არაფორმალურ განხილვაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია პრობაბირ ფორმალური პროცედურებისადმი მიმართვა. ფორმალური საჩივარი უნდა დაუნერდეს არაფორმალურ პროცედურებს, თუ არ არის ამომწურული პრობლემატური საკითხის არაფორმალური გზით მოგვარების შესაძლებლობა.

ძირითადი პრინციპები

საჩივრების ფეექტური სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ნამოქმედი პრობლემის არადრომატული მოგვარების ხელშეწყობა;
- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა და საჯაროობა;
- საჩივრების პროცედურების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გადაწყვეტა და საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებული პირების დროული ინფორმირება;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების სრული და ეფექტური განხილვა/გადაწყვეტა და საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებული პირების დროული ინფორმირება;
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნისა და გატარებული დისციპლინური ღონისძიებების კონფიდენციალურობა;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების ამომწურავი შესწავლა და პროპორციული რეაგირება, სათანადო ზომების მიღება;
- საჩივრების ალრიცხვა და მონიტორინგი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინფორმირებულობა.

ხელმისაწვდომობა და საჯაროობა

უნივერსიტეტში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სავნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიძიოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, უნივერსიტეტში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ფროლი რწმენის მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. ამისათვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომჩივნების, ასევე (არსებობის შემთხვევაში) მოწმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობა, გაიარონ კონსულტაცია უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებთან. ამგვარი კონსულტაცია მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა ჩაითვალოს ფორმალური საქმისწარმოების დანყებად. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის ნევრებს შორის უნივერსიტეტში მუშაობის ან სწავლის დაწყებისას;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას.

პრობლემის პასუხრაგალური მოგვარება

უნივერსიტეტი არ არის საგამოძიებო დანესებულება. საჩივრების სისტემის არსებობა და მის საფუძველზე გარკვეული გამოძიების ჩატარება უნივერსიტეტის მიერ თავისი საგანმანათლებლო მოსახურების გაუმჯობესების ეხახურება. მესაბამისად, უნივერსიტეტის, ისევე როგორც სტუდენტისა და სხვა დაინტერესებული პირების, ინტერესებში შედის წარმოქმნილი პრობლემის დროული მოგვარება ოფიციალური პროცედურების გამოყენების გარეშე. ფორმალური საჩივრის წარდგენამდე სტუდენტი ან სხვა დაინტერესებული პირი ვალდებულია, შეეცადოს წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების არაფორმალური გზით. მან სადაო საკითხზე პასუხისმგებელ პირს უნდა მიმართოს. ამის შეუძლებლობის ან მიმართვის უშედეგობის შემთხვევაში საკითხის გაჩერება უნდა მოხდეს ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, დეკანთან ან მის მოადგილეებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები პრობლემის სწრაფი გადაწრისათვის.

ფორმალური პროცედურები

ოფიციალური საჩივრის ან განცხადების წარდგენამდე სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან, ამოწურონ პრობლემის არაფორმალურად მოგვარების შესაძლებლობები ან წარმოადგინონ არაფორმალური პროცესის გამოყენებისგან თავის არიდების გონივრული საფუძველი. გონივრული საფუძველი შეიძლება იყოს მემთხვევა, როდესაც პრობლემა განსაკუთრებულად მძიმე ხასიათისაა და ღანაშაულზე მეტად დაყოვნებამ შეიძლება ნიანი მიაყენოს პირს კანონიერ ინტერესებს, ასევე ფაკულტეტის ხელმძღვანელობის უარი საკითხის არაფორმალურ განხილვაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია პრობაბირ ფორმალური პროცედურებისადმი მიმართვა. ფორმალური საჩივარი უნდა დაუნერდეს არაფორმალურ პროცედურებს, თუ არ არის ამომწურული პრობლემატური საკითხის არაფორმალური გზით მოგვარების შესაძლებლობა.

ძირითადი პრინციპები

საჩივრების ფეექტური სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ნამოქმედი პრობლემის არადრომატული მოგვარების ხელშეწყობა;
- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა და საჯაროობა;
- საჩივრების პროცედურების სამართლე, იოლად გასაგები და გამოსაყენებელი ხასიათი;
- მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპის ფარგლებში საჩივრის სწრაფი განხილვა/გადაწყვეტა და საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებული პირების დროული ინფორმირება;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გადაწყვეტა;
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნისა და გატარებული დისციპლინური ღონისძიებების კონფიდენციალურობა;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების ამომწურავი შესწავლა და პროპორციული რეაგირება, სათანადო ზომების მიღება;
- საჩივრების ალრიცხვა და მონიტორინგი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინფორმირებულობა.

ხელმისაწვდომობა და საჯაროობა

უნივერსიტეტში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სავნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიძიოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, უნივერსიტეტში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ფროლი რწმენის მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. ამისათვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომჩივნების, ასევე (არსებობის შემთხვევაში) მოწმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობა, გაიარონ კონსულტაცია უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებთან. ამგვარი კონსულტაცია მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა ჩაითვალოს ფორმალური საქმისწარმოების დანყებად. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის ნევრებს შორის უნივერსიტეტში მუშაობის ან სწავლის დაწყებისას;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას.

პრობლემის პასუხრაგალური მოგვარება

უნივერსიტეტი არ არის საგამოძიებო დანესებულება. საჩივრების სისტემის არსებობა და მის საფუძველზე გარკვეული გამოძიების ჩატარება უნივერსიტეტის მიერ თავისი საგანმანათლებლო მოსახურების გაუმჯობესების ეხახურება. მესაბამისად, უნივერსიტეტის, ისევე როგორც სტუდენტისა და სხვა დაინტერესებული პირების, ინტერესებში შედის წარმოქმნილი პრობლემის დროული მოგვარება ოფიციალური პროცედურების გამოყენების გარეშე. ფორმალური საჩივრის წარდგენამდე სტუდენტი ან სხვა დაინტერესებული პირი ვალდებულია, შეეცადოს წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების არაფორმალური გზით. მან სადაო საკითხზე პასუხისმგებელ პირს უნდა მიმართოს. ამის შეუძლებლობის ან მიმართვის უშედეგობის შემთხვევაში საკითხის გაჩერება უნდა მოხდეს ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, დეკანთან ან მის მოადგილეებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები პრობლემის სწრაფი გადაწრისათვის.

ფორმალური პროცედურები

ოფიციალური საჩივრის ან განცხადების წარდგენამდე სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან, ამოწურონ პრობლემის არაფორმალურად მოგვარების შესაძლებლობები ან წარმოადგინონ არაფორმალური პროცესის გამოყენებისგან თავის არიდების გონივრული საფუძველი. გონივრული საფუძველი შეიძლება იყოს მემთხვევა, როდესაც პრობლემა განსაკუთრებულად მძიმე ხასიათისაა და ღანაშაულზე მეტად დაყოვნებამ შეიძლება ნიანი მიაყენოს პირს კანონიერ ინტერესებს, ასევე ფაკულტეტის ხელმძღვანელობის უარი საკითხის არაფორმალურ განხილვაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია პრობაბირ ფორმალური პროცედურებისადმი მიმართვა. ფორმალური საჩივარი უნდა დაუნერდეს არაფორმალურ პროცედურებს, თუ არ არის ამომწურული პრობლემატური საკითხის არაფორმალური გზით მოგვარების შესაძლებლობა.

ძირითადი პრინციპები

საჩივრების ფეექტური სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ნამოქმედი პრობლემის არადრომატული მოგვარების ხელშეწყობა;
- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა და საჯაროობა;
- საჩივრების პროცედურების სამართლე, იოლად გასაგები და გამოსაყენებელი ხასიათი;
- მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპის ფარგლებში საჩივრის სწრაფი განხილვა/გადაწყვეტა და საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებული პირების დროული ინფორმირება;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გადაწყვეტა;
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნისა და გატარებული დისციპლინური ღონისძიებების კონფიდენციალურობა;
- საჩივრით ნამოჭრილი საკითხების ამომწურავი შესწავლა და პროპორციული რეაგირება, სათანადო ზომების მიღება;
- საჩივრების ალრიცხვა და მონიტორინგი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინფორმირებულობა.

ხელმისაწვდომობა და საჯაროობა

უნივერსიტეტში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სავნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიძიოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, უნივერსიტეტში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ფროლი რწმენის მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. ამისათვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომჩივნების, ასევე (არსებობის შემთხვევაში) მოწმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობა, გაიარონ კონსულტაცია უნივერსიტეტის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირებთან. ამგვარი კონსულტაცია მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა ჩაითვალოს ფორმალური საქმისწარმოების დანყებად. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის ნევრებს შორის უნივერსიტეტში მუშაობის ან სწავლის დაწყებისას;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას.

საჩივრის სტადიები

ფორმალური საქმისწარმოების ინიცირების უფლებამოსილება მხოლოდ იმ პიროვნებას უნდა გააჩნდეს, რომლის კანონიერ ინტერესზე გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტი, უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრის ქმედება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრს არ აქვს უფლება, წარადგინოს საჩივარი მის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობის უფლება

მომჩივანს აქვს უფლება, საჩივართან დაკავშირებულ ნებისმიერ განხილვაზე თუ შეხვედრაზე გამოცხადდეს კანონიერი წარმომადგენლის ან დამცველის თანხლებით, რომელიც აღქმული იქნება წარმომადგენლობის განხორციელების უფლებამოსილებით.

ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა

ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის პრინციპი გულისხმობს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების უფლებას, მათ წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის ან განცხადების განხილვა მოხდეს სამართლიანი და რეგულარული პროცედურების საფუძველზე. უნივერსიტეტი ვალდებულია, დეტალურად განიხილოს წარმოდგენილი საჩივრებისა და განცხადებების განხილვა/გამოძიებასა და გადაწყვეტის პროცედურები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი თვითნებური ქმედება.

ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის პრინციპი ალრეთვე მოითხოვს, რომ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საჩივრების პროცედურებით განსაზღვრული იყოს სამსწარმოებაში მონაწილე მხარეების პროცედურული დაცვის საშუალებები, კერძოდ:

- საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება მოკლებული ორგანოს წინაშე;
- წაყენებული მტკიცებულებების წარმოდგენისა და მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გაცნობის უფლება.

სწრაფი საქმისწარმოების უზრუნველყოფა

საჩივრები რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად უნდა იქნეს განხილული, ხოლო სადაო საკითხები – ასევე სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტილი. ამისათვის მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ფორმალური საქმისწარმოების თითოეული ეტაპის კონკრეტული და რეალური დროის ფარგლები. ამავე დროს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჩივრების სისტემის მობილურობა. კერძოდ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კომპლექსური და პრობლემატური საჩივრების აღქართ შესაძლებლობაც, როდესაც შესაძლოა აუცილებელი გახდეს დამატებითი გამოძიების ჩატარება. ფორმალური საქმისწარმოების პროცესი შეიძლება პირობითად 4 ძირითად ეტაპად დაიყოს:

- საჩივრისა და განცხადების წარდგენა;
- საჩივრისა და განცხადების მიღება განსახილველად;
- საჩივრისა და განცხადების განხილვა;
- გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება.

მტკიცების ტვირთი და სტანდარტი

საჩივარში წარმოდგენილი გარემოებების მტკიცების ტვირთი პრალდების მხარეს ეკისრება. მოპასუხე ვალდებულია, ითანამშრომლოს საჩივრის განმხილველ ორგანოსთან და წარმოადგინოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, თუნდა არ არის, ვალდებული თავი იმართლოს, საჩივარი მეიძლება მხოლოდ იმ მემთხვევაში დაკმაყოფილდეს, თუ მომჩივანი დამაჯერებლად შეძლებს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტის დამტკიცებას.

გადაწყვეტილების მიღება საჩივარზე

საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესებითა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. დაუშვებელია, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იქნეს მიღებული ის მტკიცებულებები, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი მომჩივნის ან მოპასუხისთვის.

საჩივრების კომიტეტმა შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება:

- საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- საჩივრის ნანილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

მომჩივნის დაცვის უზრუნველყოფა და უსაფუძვლო საჩივრები

საჩივრების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კეთილსინდისიერი მომჩივნისა და განმცხადებლის დაცვას ყოველგვარი შურისძიების ან უკანონო ზემოქმედებისგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ იმ საჩივრის ავტორი, რომელიც არ დაკმაყოფილდა, პირადი განზრახვით მოქმედებდა, მის მიმართ შეიძლება განხორციელდეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები.

საჩივარზე უარის თქმა

საჩივრის ან განცხადების წარმდგენ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. უარი საჩივარზე წერილობით უნდა გაფორმდეს. ზეპირი მოსმენისას დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, უარი საჩივარზე ზეპირადაც განაცხადოს.

საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჩივრის განუხილველობით შეიძლება მძიმე ზიანი მიადგეს უნივერსიტეტის ლეგიტიმურ საგანმანათლებლო ინტერესს.

უნივერსიტეტის იურისდიქცია

უნივერსიტეტში საჩივრებისა და განცხადებების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები არ არიან აღჭურვილი წმინდნელოვანი სამოძიებო საგამოძიებო ნებისმიერობით და სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებისათვის აუცილებელი უფარ-წევებით. შესაბამისად, უნივერსიტეტის იურისდიქციას სცილდება საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრების მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი ნესით დასჯადი ქმედების გამოძიება. ყოველი ამგვარი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის სამართალდამცავ ორგანოებს.

უნივერსიტეტი აგრეთვე ეურ განიხილავს საჩივარს, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება დავის იმავე საგანზე;
- სასამართლო განბილავს დავას იმავე მხარეს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველთან;
- არსებობს უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დავის იმავე მხარეს შორის, იმავე საგანზე და საფუძვლით;
- გასული უნივერსიტეტის მინაგანაწესით, ქცევის კოდექსით ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჩივრის ან განცხადების წარდგენის ვადა;
- საჩივარი ან განცხადება შეგანესილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საჩივრის ფორმა

ფორმალური საჩივარი ან განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმის, შედგენილი სახელმწიფო, ქართულ, ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ან განცხადება უცხო ენაზე შედგენილი, მომჩივანმა ან განმცხადებელი ვალდებულია, ფროს წარდგენულ მოსაკვეთან წარმოდგენილ მისი თარგმანი. წერილობითი საჩივარი ან განცხადება ფორმალური საქმისწარმოების დანყების საფუძველი და უნდა შეიცავდეს არსებული პრობლემის ზუსტ და მკაფიო აღნერილობას, ისევე როგორც სხვა დეტალებს საჩივრის წარდგენის თარიღის, მისი ავტორის სახელისა და გვარის ნაჩვენებას და ხელმოწერას. ფორმალური საჩივრის ფორმა, ასევე მითითებები მისი შინაარსის შესახებ ფართოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- საჩივრის ან განცხადების ავტორის სახელი, გვარი და მისამართი;
- იმ პირი ან დანესებულება, რომელსაც შეეხება საჩივარი ან განცხადება;
- საჩივრით ან განცხადებით გაცხადებული უფლების ან კანონიერი ინტერესის, უნივერსიტეტის წესდების ან ქცევის კოდექსის დარღვევის მკაფიო აღნერილობა;
- ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ზუსტი სახელწოდება;
- საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები;
- მოწმეთა ვინაობა (არსებობის შემთხვევაში);
- მოთხოვნა, იმ ზომების მოკლე ჩამონათვალი, რომელთა მიღებასაც მოითხოვს მომჩივანი ან განმცხადებელი;
- (არსებობის შემთხვევაში) იმ პირის ვინაობა, რომელმაც თანხმობა განაცხადა მომჩივნის ან განმცხადებლის უფლებებისა და ინტერესების წარმოდგენაზე;
- საჩივრის ან განცხადების წარდგენის თარიღი;
- ხელმოწერა.

საჩივრების სისტემის მონიტორინგი და პროცედურების გადასინჯვა

საჩივრების სისტემის მონიტორინგი უზრუნველყოფს არაფეექტური პროცედურებისა და ხარვეზების გამოვლენისა და გამოსწორების მესაძლებლობას. უნივერსიტეტმა უნდა ანარმოოს საჩივრების განხილვის მიმდინარეობის, საჩივართან დაკავშირებული მუხედრობისა და შეთანხმებების ალრიცხვა. საჩივრის განხილვის საბოლოო შედეგი თან უნდა დაერთოს საქმის მასალებს. უნივერსიტეტმა შეგამხედველობა უნდა გაუნიოს საჩივრების განხილვის პროცედურების ეკრიცხვა შესრულებასა და ეფექტურობას, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი ცვლილებები.

გამოსცემს:
მაღალზე მახინგორდაული, ლევან ჩიქობავი, ქეთი ჩიქობავი
მაისელებლობა თანამშრომელი
თბილისი 0108, ჭავჭავაძის, 23, ტელ.: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საჩივრების სისტემის შემუშავება და დამკვიდრება უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ძირითადი დანიშნულება სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფაა. ამის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ისეთი სამუშაო და სასნავლო გარემოს არსებობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის მიერ გაცხადებულ მიზნებსა და ღირებულებებთან. საჩივრების ეფექტური სისტემა უნივერსიტეტის მართვისა და მისი საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია. უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის უფლება, საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტის უფლებამოსილ ორგანოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, მნიშვნელოვანია საჩივრების სისტემა ითვალისწინებდეს როგორც მომჩივნის, ისე მოპასუხის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, საჩივრით ინიცირებული საქმისწარმოების სწრაფი და ობიექტური განხილვა/გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელ პროცედურებს.

მართლაში მოპარობა დისციპლინური საქმისწარმოების მონაწილეთა მიმართ. უნივერსიტეტს ნებისმიერი ნაბიჯი სტუდენტის, პროფესორ-მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლის ღონისძიება და თავისუფლების პატივისცემას უნდა ეყრდნობოდეს. ამ მიზნით კანონი უზრუნველყოფს მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის ეფექტურ მექანიზმებს. დისციპლინური დევნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და, წესით, სამართლიანი პროცედურის საფუძველზე. უნივერსიტეტი ვალდებულია, დეტალურად განიხილოს ქეცვის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისგებას. ამ მიზნით უნივერსიტეტი შეიმუშავებს ეთიკის კოდექსს, რომელიც შეიძლება გარკვეულ მეზღუდვებს ანწესებდეს სტუდენტის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ქცევაზე.

დისციპლინური დევნის ობიექტს უფლება აქვს, წერილობით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ და ისარგებლოს ეკრთელი ეკრთი ეკრთი ეკრთ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

ლოტი N1 ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების (ლ. ასათიანის ქუჩა N5, მ. აბაშიძის ქუჩა N6, ახმეტელის ქუჩა N1, ჯავახიშვილია ქუჩა N65, ოძელაშვილის ქუჩა N11ა) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

ლოტი N2 ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების (მაიაკოვსკის ქუჩა N55/22, ხიმშიაშვილის ქუჩა N13, სვიშევსკის ქუჩა N211) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

ლოტი N3 ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების (თამარის დასახლება N17, ლეონიძის ქუჩა N63, თამარის გამზირი N43, ჯავახიშვილის ქუჩა N74) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 მაისიდან 2006 წლის 30 მაისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 30 მაისის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია სამი გამარჯვებულის გამოვლენა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 17 მაისს 1200სთ-ზე აცხადებს საჯარო აუქციონს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოში მდებარე საკარმიდამო ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლს.

საკარმიდამო ნაკვეთი შემოღობილია მონოლითური რკინაბეტონის გალავნით, რომელიც გადახურულია კრამიტით, გალავნის სიმაღლე აღემატება ზოგან 3 მეტრს ან 5 მეტრს. გალავანს აქვს ორი, რკინისაგან შეკრული ჩარჩოიანი, ალაყაფის კარი. მიწის ნაკვეთი შეადგენს 5400 კვ.მ. სახლი ორსართულიანია, მანსარდით და სარდაფით. სახლის ფართი დაახლოებით 1500 კვ.მ. ეზოში არის დამხმარე ნაგებობები საქვაბისათვის, მასში დამონტაჟებული უცხოური წარმოების დანადგარებით. ეზოში არის ასევე საცურაო აუზის რკინა ბეტონის კონსტრუქცია მოპირკეთების გარეშე და სპორტული მოედნის "კორტების" დაუმთავრებელი ნაგებობა.

სახლი გადახურულია სპილენძის ფირფიტებით (ფურცლოვანი). კედლები შელესილია, იატაკები მოჭიმული. ჭერში და კედლებზე დამონტაჟებულია ელექტრო გაყვანილობა, ჩამონტაჟებულია მეტალოპლასტმასის ფანჯრები. იატაკში დამონტაჟებულია გათბობის გაყვანილობა, რომელიც მიერთებულია საქვაბესთან. სახლში ჩასატარებელია, სადურგლო, მოსაპირკეთებელი და სხვა სახის სამუშაოები. სახლის მშენებლობა დამთავრებულია 70%-ით.

აუქციონზე გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 1140000 (ერთი მილიონ ასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ვაჭრობის ბიჯი განსაზღვრულია 10 000 (ათი ათასი) ლარით. აუქციონში მონაწილეობის მსურველებს ქონების დათვალიერება შეუძლიათ "საფინანსო სააგენტოსთან" შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და საჯარო აუქციონის პირობების თაობაზე მსურველს შეუძლია მიიღოს "საფინანსო სააგენტოში".

აუქციონი გაიმართება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N70. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 2006 წლის 16 მაისის 1700 საათამდე განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" (ქ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ი. აბაშიძის 70)

განმცხადებელმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 10 000 (ათი ათასი) ლარი - "საგარანტიო თანხა" და წარმოადგინოს "საფინანსო სააგენტოში" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, "საგარანტიო თანხა" მყიდველს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

საკონტაქტო პირი: ბეჟან შარაშიძე, ეკატერინე წიკლაური.

ტელ. 25-34-21, 25-34-22

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 22 მაისს 1200სთ-ზე აცხადებს განმეორებით საჯარო აუქციონს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს გარდაბნის რაიონის სოფ. წავკისში მდებარე საცხოვრებელ სახლს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. ნაკვეთი შემოკავებულია რკინა-ბეტონის ფილებით და რკინის მოაჯირით. ეზოში მდებარეობს საცურაო აუზი. სახლი ორსართულიანია, საერთო ფართით დაახლოებით 200 კვ.მ. და სარდაფით. სახლს აქვს რკინის კარები, ლითონის დამცავი შეღობვა (ჟალუზები), მეტალოპლასტმასის შუშაბანდი და ფანჯრები. სახლის სარდაფი შიდა კიბით უკავშირდება სახლის პირველ სართულს, სადაც მდებარეობს შესასვლელი, დერეფანი, სამზარეულო, საძინებელი და დიდი საერთო ოთახი ბუხრით, რომელიც ასავალი შიდა ხვეული კიბით უკავშირდება სახლის მეორე სართულს. მეორე სართულზე მდებარეობს სამი საძინელე ოთახი სველი წერტილებით და ერთი ღია ე.წ. "ანტრესოლი".

აუქციონზე გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 160000 (ასსამოცი ათას) ლარს. ბიჯი განსაზღვრულია 5000 (ხუთი ათასი) ლარით. აუქციონში მონაწილეობის მსურველებს ქონების დათვალიერება შეუძლიათ "საფინანსო სააგენტოსთან" შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და საჯარო აუქციონის პირობების თაობაზე მსურველს შეუძლია მიიღოს "საფინანსო სააგენტოში".

აუქციონი გაიმართება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N70. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 2006 წლის 19 მაისს 1700 საათამდე განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" (ქ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ი. აბაშიძის 70)

განმცხადებელმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 10 000 (ათი ათასი) ლარი - "საგარანტიო თანხა" და წარმოადგინოს "საფინანსო სააგენტოში" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, "საგარანტიო თანხა" მყიდველს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

საკონტაქტო პირი: ბეჟან შარაშიძე, ეკატერინე წიკლაური.

ტელ. 25-34-21, 25-34-22

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სს საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მირ გამოცხადებულ ტენდერში სატელეკომუნიკაციო ჭის სახურავებისა და ბეტონის საფარების შესასყიდად

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ თი ბი სი ბანკი 220101850 ანგ. .28467066 სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ს/კოდი 203837875 სატენდერო მოსაკრებელი

სავალუტო ანგარიში: USD TRANSFER
INTERMEDIARY: CITIBANK N.A.
111Wall str.,New York, N.Y. 10043
SWIFT : CITIUS33
ABA:021000089
TBC BANK`s Correspodent Account:#36127097
BENEFICIARY`S BANC: TBC BANK MARJANISHVILI BRANCH
7, K. Marjanishvili Str. 0102, Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCBGE22
Ben`S Account: 136070675
NAME OF BENEFICIARY: UNITED TELECOM OF GEORGIA

სატენდერო წინადადებების გახსნა Nნაცვლად 10 მაისის 14 საათისა მოხდება **12 მაისს 16 საათსა და 30 წუთზე,** , წინამძღვრიშვილის N95AAმ

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესასყიდად** ერთ ლოტად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

№	დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	პერსონალური კომპიუტერი 1	Intel P4 3.0, LGA 775socket, Chipset Intel 945, system bus support 533/800/1066 MHz, 1xParallel, 1xCom, LAN 10/100 Maps, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, RAM 2 x 256 MB DDR 533, FDD 1.44, HDD 160GB SATA 7200rpm(NCQ and 3GBit), CD-DVD RW, NVIDIA GeForce 7300LE 256MB True Memory, Optical Mouse, Keyboard, MONITOR 17" LCD 17" 12ms, 500:1, 300cd/m2, Warranty 3 years	50	ქ.თბილისი, წ.მ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2
2	პერსონალური კომპიუტერი 2	AMD Athlon 64 3500+, Socket 939, dual channel technology,4x USB 2.0 rear, 2x USB 2.0 in front, , 1xParallel, 1xCom, LAN 1Gbps, RAM 2GB (4x512MB), FDD 1.44, HDD 250GB SATA 7200rpm, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, CD-DVD RW, NVIDIA GeForce 7300LE 256MB True Memory, Optical Mouse, Keyboard, Monitor 17" LCD resolution 1280x1024, Pixel Pitch 0.264 mm, Contrast typical 1500 : 1, Horizontal 178°, Vertical 178°;1 x analog, 1 x DVI-D digital, TCO 03; Warranty 3 year	10	
3	პერსონალური კომპიუტერი 3	AMD Athlon 64 X2 3800+, 2000MHz PSB, 512 KBx2 SLC, socket 939, dual core, dual channel technology,4x USB 2.0 rear, 2x USB 2.0 in front, , 1xParallel, 1xCom, LAN 1Gbps, RAM 2GB (4x512MB), FDD 1.44, HDD 250GB SATA 7200rpm, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, CD-DVD RW, ATI FireGL™ V5100 Video 3D 128 MB 256bit PCI-EXPRESS, Optical Mouse, Keyboard, Monitor 20" LCD resolution 1600x1200, Contrast typical 900 : 1, Horizontal 178° Vertical 178°, 1 x analog, 1 x DVI-D digital, TCO 03; Warranty 3 year	2	
4	ნოუთბუკი	Processor: Intel® Core™ Duo T2500 (Dual 2.0GHz) Second level cache 2048 Front side bus (FSB) 667 MHz; Memory: DDR2-667 SDRAM, 667 MHz 2GB; HDD: 80 GB S-ATA 150 (5400 rpm); Display: 15.4-inch TFT WSXGA+ / 1680 x 1050 pixel; Video: ATI Mobility™ Radeon® X1400 graphics 128MB GDDR3 V-RAM; Connectivity: WLAN Intel 3945 a\b\g, 56K V.92 modem, built-in 10/100/1000 Mbps LAN, Bluetooth V2.0 (with separate antenna), IEEE1394, Infrared link (Fast IrDA 1.1, 4 Mbps); CD/DVD: DVD+/- RW Dual layer (+R) Multiformat DVD writer with double layer support; Interface: Type I/II PC Card slot, Memory card slot (SD), 4 x USB 2.0, S-Video out (TV-out), 2nd Battery, BT Mouse rechargeable, Carrying Case; < 2.6 kg Warranty 3 year	3	
5	პრინტერი ლაზერული	LASERJET, A4, 14ppm, 5000p/month, paper unit 150sh, RAM 2 MB, USB 2.0	40	
6	ფაქსის აპარატი	Thermal Fax	40	
7	უწყვეტი კვების წყარო	UPS 650 VA	67	
8	ქსელური მოწყობილობა	HUB 16x1GB port	1	
9	პრინტერი ჭავლური	COLOR INKJET A4/A3, 660dpi black,1200dpi color, 14ppm black,11ppm color 5000p/month, RAM 8 Mb, LPT, USB 2.0	1	
10	ასლგადამღები აპარატი	A4/A3, 16 ppm, paper unit 500sh, manual feeder, with 2 x toner	30	
11	კლავიატურა	PS/2 Keyboard	20	
12	თაგვი	PS/2 Optical Mouse	20	
13	ფლეშ-მეხსიერება	USB Flash Drive 1GB	25	
14	მულტი ფუნქციონალური მოწყობილობა	All in one, A4, 20 ppm, 1200x600 dpi 250 sheet A4 paper cassette, 20 copies per minute with 600 dpi, scanner with resolution 1200x2400 dpi	4	

2. კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების სრული მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2 თვე, ეტაპობრივად, ყოველი მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 29 მაისიდან 30 მაისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ და წესდების ასლი;

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმე;

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ტექნიკის საგარანტიო პირობების დეტალურ განსაზღვრებას, ხელმოწერილს და ბეჭდით დამოწმებულს მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ.

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 30 მაისამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:
მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 30 მაისს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
გიორგი უშვერიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

სააგენტოს სატენდერო კომისია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 16 მაისს 12ეესთ-ზე აცხადებს საჯარო აუქციონს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ და რეალიზაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს - ალუმინის მადნის "ბოქსიტს", რომელიც განთავსებულია რკინიგზის სადგურ "ველის" ტერიტორიაზე და მისი მოცულობა შეადგენს მაქსიმუმ 5005 ტონას.

"ბოქსიტში" AL_2O_3 შემადგენლობა სინჯების მიხედვით იცვლება 51,40-52,2%, Sio_2 3,70-4,30%, Fe_2O_3 11,70-14,20%-ის ფარგლებში.

აუქციონზე გამოტანილი ქონების - ალუმინის მადნის "ბოქსიტის" საწყისი ფასი მუდმივ მასამდე გამომშრალი ნაყარი მოცულობითი მასის ერთ ტონაზე შეადგენს 17,70 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

აუქციონი გაიმართება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N70. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 2006 წლის 15 მაისის 1700 საათამდე განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი ი. აბაშიძის 70).

განმცხადებელმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 10 000 ლარი - "საგარანტიო თანხა" და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "საგარანტიო თანხა" მყიდველს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

აუქციონის შედეგების დამტკიცების შემდეგ გამარჯვებულთან გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აუქციონში გამარჯვებულმა მყიდველმა ერთი თვის ვადაში უნდა გადაიხადოს მთლიანი თანხა და უზრუნველყოს ქონების მიღება, რომლის საბოლოო მოცულობა დადგინდება ქონების გადაცემის დროს (მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას).

აუქციონზე გასაყიდი ქონების ნახვა და გამარჯვებულთან გასაფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების გაცნობა შესაძლებელია სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და საჯარო აუქციონის პირობების თაობაზე მსურველს შეუძლია მიიღოს "საფინანსო სააგენტოში".

საკონტაქტო პირი: ბეჟან შარაშიძე, ეკატერინე წიკლაური.
ტელ. 25-34-21
25-34-22

აქცენტი

ორბუნებოვანი სახეები და დამოკიდებულებები

ციტატები საეკლესიო ხელოვნების ძიებაში

სოფო კილასონია

უკვე თითქმის 15 წელი იქნება, რაც მთელს საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში ახალი ეკლესიები მომრავლდა. მათი არქიტექტურული ღირებულებების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, თუმცა აქამდე არ შევხებივართ ახალი ეკლესიების თანამდევ მოვლენას, მათ მოხატულობებს, რომლის ნიმუშები ალბათ ყველას გვინახავს და მეტ-ნაკლები ინტერესით, ალბათ, დავკვირვებივართ და გარკვეული მოსაზრებებიც გამოგვიხატავს.

საეკლესიო ხელოვნება მხოლოდ ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობით როდი შემოიფარგლება, თუმცა ეს ორი მიმართულება პირველ რიგში უნდა განვიხილოთ იმ ნიშნებს შორის, რომლითაც მართლმადიდებლობა და არა მხოლოდ ის, საკუთარ მრევლთან ვიზუალურ კავშირს ამყარებს. საეკლესიო ხელოვნება ხელოვნებაა, რომელიც გარკვეული კანონიკისა და დოგმების ფარგლებში ვითარდებოდა და ძალზე მარტივად რომ ვთქვათ, ცვლილებებსაც განიცდიდა. რომ არა, ერთი მხრივ, მყარი ცოდნა და განცდა იმისა, რასთან ჰქონდათ საქმე და რაოდენ დიდ მნიშვნელობას ატარებდა ტაძარში არსებული გამოსახულება და მეორე მხრივ, რომ არ ჰქონოდათ ძალა ახლით ეთქვათ მარადიული, სრულქმნილი არსი სარწმუნოებისა, მაშინ, შორს რომ არ წავიდეთ, ისევ საქართველოს მასშტაბით არ იქნებოდა ის ნაირფეროვნება მხატვრული მიდგომებისა, სკოლებისა, რომლითაც ჩვენი შუა საუკუნეების ხელოვნება ამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქრისტიანული კულტურისთვის. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ბიზანტიის „პროვინციები“ არათუ კონსტანტინეპოლურ ასლებს არ ქმნიდნენ, მეტიც მხოლოდ ძირითადის, კანონიკურობის გათვალისწინებით ქმნიდნენ გარკვეულ ალტერნატივასაც კი საეკლესიო ხელოვნებაში, რომლის წყალობითაც ქრისტიანულმა ხელოვნებამ ზოგადად საუკუნეების განმავლობაში სტილისა და მხატვრული ტენდენციების თვალსაზრისით უზარმაზარი სპექტრი შექმნა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენსას და ადგილობრივს. თავი დავანებოთ დროის მსვლელობასა და საუკუნეების თვლას. უბრალოდ, ისტორიის მიერ შემონახულ ნიმუშებს გადავხედოთ და მარტივად მივხვდებით, რომ შტამპი და ასლებისადმი ტრფობა არასდროს ყოფილა მიღებული ქართველი ოსტატებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრები ხშირად ბერებიც იყვნენ, მათი დამოკიდებულება საქმისადმი არც სწორხაზოვნად ახშობდა საკუთარ „მეს“ ანუ სუბიექტურს და არც იმ ობიექტურს აკნინებდა, რომლის მღაღადებელიც უნდა გამხდარიყო მისი ხელოვნება. დღეს საქმე სხვაგვარადაა, თუმცა ნამდვილად არ ვაპირებთ ამ სხვაგვარობას ცალმხრივად, ანუ გამოკვეთილად ნეგატიურად შევხედოთ.

რამდენიმე ათეული წლის წინ ქართულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ თქვა, რომ ყველაფერი ხელახლა უნდა დაწყებულიყო და დღეს სწორედაც ამ საწყის ეტაპზე ვართ. ამ დასაწყისს კი ყველგან ვგრძნობთ, ჩვენი ერის ახლანდელ წარმატებებშიცა და წარუმატებლობებში. მაგრამ ალბათ სწორედ ამ საწყის ეტაპზე, ამ ერთგვარი გაახლების დროს უნდა გამოვიჩინოთ ის გონიერება და პასუხისმგებლობა, რომელიც აშენებულს, მოხატულს, ნაშრომსა და ნაღვაწს უბრალო უპასუხისმგებლო მოქმედებად არ დატოვებს ამ ჩვენი დროის ქაოსში და რეალურ შედეგად, წარმატებად აქცევს.

ის, რომ მოხატულობა, რომელიც ტაძარში გვხვდება, არც უბრალო სურათებია და არც უბრალოდ სქემები, რომლებიც ტაძრიდან ტაძარში მეორდება, ამას დავა არ სჭირდება, მაგრამ მეორე საკითხია, ვინ როგორ იაზრებს დაკისრებულ ვალდებულებებს, ანდა ვის რამდენად შესწევს ძალა, ნიჭი და ცოდნა ამ მეტად რთული მისიის შესასრულებლად? თუ ახალ მოხატულობებს გადავხედავთ, ხშირ შემთხვევაში დიდად სახარბიელო პასუხებამდე ვერ მივალთ.

რესტავრატორი და თავადაც მხატვარი, ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი **დავით გაგოშიძე**, რომელსაც წლების განმავლობაში ქართული ტაძრების მოხატულობათა რესტავრაციაზე მუშაობს და, როგორც ამბობს, ყველაფერი უნახავს, რაც გაგვაჩნია ამ მიმართულებით, თავად საეკლესიო მხატვრობის შექმნას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ამბობს, რომ ამის სურვილი არ აქვს. სურვილი არ არის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი შედევრი უნახავს და ამის შემდეგ რთულია ახალი შექმნას, მშრალი ასლის გაკეთება კი, ჩანს, არც ისე ეხალისება ხელოვანს. ბატონი დავითი იმასაც აღნიშნავს, რომ წარსულთან ხიდის გადება აუცილებელია და შესაძლოა ეს ხერხი ერთადერთი გზა იყოს სიცარიელის ამოსავსებად, თანაც ასლი არც ისე რთული გასაკეთებელია თურმე:

აღდგომის მთავარანგელოზი. ყინწვისი, XIII საუკუნის დასაწყისი.

- თუ მაგალითისთვის თევდორეს მხატვრობას ავიღებთ, ერთი შეხედვით მეტად მარტივია მისი სქემაცა და თითქოს მეთოდიც, ამას ნებისმიერი, ხატვის ელემენტარული პრინციპების მცოდნე ადამიანიც გააკეთებს, მაგრამ შეუძლებელია თევდორეს ასლი ამბობდეს იმას, რასაც მისი ორიგინალი.

- ბუნებრივია, რომ იკარგება ბევრი, ალბათ პრაქტიკულად ყველაფერი და ამგვარად, ახალი მოხატულობა შეიძლება არაფრის მთქმელი გახდეს.

- რა თქმა უნდა, არის ამის საფრთხე და საერთოდ, აქ დამოკიდებულების პრობლემაა - რამდენად კეთილსინდისიერია შემსრულებელი ერთადერთი ლაბადით და ხვდება კრუპს. ჰიტლერი მოკუნტული წვება მაგიდაზე. მათი დიალოგი ასე ვითარდება, - ისინი დახვრეტის დეტალებზე საუბრობენ და სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე პირველად გიჩნდება სინანული მის მიმართ. ის თავს იმართლებს საკუთარი გადაწყვეტილების გამო და გრძნობ, ძალიან ცოტა ხანს, მაგრამ მაინც, რომ რემის მიმართ გამოტანილი განაჩენი აწუხებდა. ის იმ მელოდიას იხსენებს, რომელსაც მეგობრები მღეროდნენ... მაგრამ სულ მალე ის იმ კიბის საფეხურზე კრუპთან ერთად ადის, საიდანაც სპექტაკლის დასაწყისში მოგვევლინა და იქ იდება მათ შორის ყველაზე დიდი გარიგება, ისინი ხელს ჩამოართმევენ ახალი ქარიშხლის დაწყებისათვის.

აქ დაიწყო დიდი გზა ტრანიისაკენ... ამ გზაზე მეგობრები არ არსებობენ...

სპექტაკლი დასრულდა... სპექტაკლი დაიბადა.

პრემიერის შემდეგ

პრემიერის დასასრულს მაყურებელი ერთხმად საუბრობდა სპექტაკლის წარმატებაზე, რეჟისორისა და დამდგმელი გუნდის საკითხი არ დგას. მათ გამოსახულება არსებითად არ იციან. იქ არ ხდება წირვა, საიდუმლოება, იქ ლოცულობენ და ისმენენ ქადაგებას. ეს ნებისმიერ ოთახში შეიძლება ჩავატაროთ. რჩება კათოლიკური სამყარო, ანგლიკანურ-ლუთერანული და მართმადიდებლური. დასავლეთში არქიტექტურას უშველა იმან, რომ გოთური არქიტექტურა კარკასულია და თანამედროვე არქიტექტურა ამ მოდელებს პირდაპირ იღებს. ეს კი ტრადიციასაც ებმის და ახალი იერსახეც აქვს. სახვით ხელოვნებაში არის ფრიად დრამატული მდგომარეობა. ერთი მხრივ არის საჩვენებელი, დიდი დაკვეთები, როცა იწვევენ ცნობილ ოსტატებს, დავუშვათ მურს გააკეთებინებენ მადონას, ანდა შაგალს ვიტრაჟებს. მაგრამ სინამდვილეში მასობრივი ხელოვნება, რომელიც ემსახურება ეკლესიას - ეს არის მუდმივი განმეორება, მეჩვიდმეტე საუკუნის გასაშუალოებული ბაროკო, ცოტა გვიანდელი გოთური ელემენტებით. სამწუხაროდ, იმას, რაც ეკლესიისთვის კეთდება, ხშირ შემთხვევაში მხატვრული ღირსება არ აქვს.

სამართმადიდებლოშიც მუდმივი მიბრუნებაა რაღაც ნიმუშებისადმი. საბერძნეთში ამოსავალი არის ათონური მხატვრობა, რუსეთში XV-XVI საუკუნეების ხატწერის გადამღერება ჰქვია.

ჩვენთან 80-იანი წლების დასაწყისში იყო პატრიარქის სურვილი, რომ შექმნილიყო ახალი საეკლესიო ხელოვნება...

- როგორი იყო ხელოვანთა პასუხი ამ ინიციატივაზე?

- კატასტროფული. იხატებოდა ხატები და შემდეგ ირკვეოდა, რომ ეს იყო სურათები. პირველი პრეცენდენტებიც კი მეტად წარუმატებლად დასრულდა. ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება, რომ რაკი ასეა საქმე, დავეყრდნოთ ძველ გამოცდილებას. ეს თავისთავად გამართლებულია, თუკი გამოცდილება არსებობს, მაგრამ საინტერესოა, რა ვიგულისხმეთ ამ გამოცდილების გამოყენებაში...

ბატონი დიმიტრის აზრით, ტრადიციებთან მიბრუნება თუ გვსურს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ტრადიციაში იყო აბსოლუტურად სხვა რამ, სწორედ ის, რისი გააზრებაც არის პირველ რიგში საჭირო. ის რომ არავითარი სავალდებულო ფორმები არ არსებობს:

- თუ დღეს ჩვენ ტრადიციასთან დაბრუნებას რაღაც სავალდებულო ფორმების გადმოღებას ვგულისხმობთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ არავითარი სავალდებულო ფორმები არ არსებობდა. მაშინ ტრადიცია ნიშნავდა ჭეშმარიტების გარკვეული გაგების ერთგულებას. იყო ტრადიციული შუასაუკუნეების გაგებით - ნიშნავს, რომ იყო ერთგული მრწამსის. როგორ გამოთქვამ შენ ამ მრწამს შენი საქმეა... თქვენ რომ წაიკითხოთ მართმადიდებლური საეკლესიო ხელოვნების ნიშნები, ე.წ. დედნები აღმოაჩენთ, რომ იქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, როგორი უნდა იყოს ნახატი. საუბარია მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა დაიხატოს.

აუცილებელი ნიშნები, რომელიც ფრესკასა თუ ხატში უნდა არსებობდეს, რათა იგი კანონიკურად ჩაითვალოს, მხოლოდ ბიბლიური სიუჟეტისა და მისი პერსონაჟის ცნობადობისთვის არსებობს. ეს პირობები სულაც არ არის დოგმა, რომლის ფარგლებშიც მხატვარს „სუნთქვა“ არ შეუძლია.

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად არის ერთი, რომელსაც ჩემი რესპონდენტი განსაკუთრებულად აღნიშნავს და რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე მთავარია იმ დამოკიდებულებაში, რომელიც არა უბრალოდ ახალ საეკლესიო სახეებს შექმნის, არამედ მხატვრული თვალსაზრისით ღირებულსაც. მხატვრული თვალსაზრისით კი დღესდღეობით ამ საქმეს ცოტა ვინმე თუ უყურებს. ეს არის ორბუნებოვანი გააზრება საეკლესიო მხატვრობისა, როგორც დამკვეთის, ისე შემსრულებლის მიერ. სად გადის საზღვარი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის ამ ხელოვნებაში? საზღვარი არც არსებობს. ბატონი დიმიტრის აზრით, აქ ამ ორი ცნების ნაზავი უნდა მოხდეს. ისე წარმოჩინდეს არსობრივი, ზოგადი, რომ არც ინდივიდუალური დაიკარგოს, თუმცა ამგვარი გააზრება მარტივი არ არის და ისე, როგორც ჩემი რესპონდენტი, მეც დავიტოვებ იმედს, რომ ამგვარი წარმატება დროის საკითხია და ახლად აშენებულ ეკლესიებში არსებული მხატვრობა მხოლოდ ფორმალურ სახეს არ დასჯერდება და ბევრად მეტი იქნება მისი როლიცა და მისით მიღწეული შთაბეჭდილება, როგორც დღევანდელობაში, ისე მომავლისთვისაც.

რეცენზია

გზა ტრანიისაკენ...

ნანა ჭრელაშვილი

პრემიერამდე

80-90-ან წლებში ახალი თეატრის შექმნა დიდი რისკი და თითქმის გმირობის ტოლფასი იყო. მაგრამ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა დედაქალაქის ძველ, სამეფო უბანში ახალი თეატრი და სახელიც შესაბამისი დაენათლა „სამეფო უბნის თეატრი“. მას შემდეგ, ვინც იქ შეაბიჯებს, უჩნდება განცდა, რომ ერთდროულად ორ დროში - წარსულსა და აწმყოში აღმოჩნდა. დახვეწილი გემოვნება, ესთეტიკა, პროფესიონალიზმი და თეატრისადმი უზადო სიყვარული ჩანს თითოეულ კუთხე-კუნჭულში. აქ კაპელდინერის ღიმილიდან დაწყებული და ისევ მისი ღიმილით დამთავრებული, გრძნობ, რომ ქართული თეატრი კვლავაც დიდი ტრადიციების გამგრძელებელია. თეატრი ხომ არც მარტო სპექტაკლია, არც მარტო მსახიობები, და არც...აქ შენობა, დასი, რეპერტუარი ტექნიკური პერსონალი ყველაფერი სინთეზურადაა თავმოყრილი და მრავალფეროვან, საინტერესო პალიტრას ქმნის. ბევრი ახალი თეატრი მხოლოდ თანამედროვე სიახლეებზეა აქცენტირებული და ალბათ, ამიტომაც გამორჩეულ და განსაკუთრებულ ხიბლს ატარებს „სამეფო უბნის თეატრი“.

წინასაპრემიერო ვნებათაღელვა ყველგან ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ 2 მაისის წინ მაინც განსაკუთრებული და გამორჩეული იყო როგორც დასისთვის, ასევე მაყურებლისთვის. თეატრისგან თამამ ექსპერიმენტს ელოდნენ. რეჟისორ დათო მღებრიშვილს იაპონელი დრამატურგის იუკიო მისიმას პიესა „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“ ქართულ სცენაზე პირველად უნდა გაეჟღერებინა: ჰიტლერის გმირს განასახიერებს ახალგაზრდა მსახიობი ქალი ნატა მურვანიძე. სპექტაკლამდე რეჟისორმა არჩევანი მისთვის წველი სიტყვაძუნწობით, მაგრამ გულწრფელობით ახსნა: **„პიესა რომ წავიკითხე, მივხვდი, - არ შემეძლო არ დამედგა. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჰიტლერს ქალი ითამაშებდა და ეს იქნებოდა ნატა!“** მის წინადადებაზე მსახიობს არც უფიქრია, ისე დათანხმდა და რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ ის ჰიტლერის სამოსელით შეიმოსა და მაყურებელს წარუდგა იმისათვის, რომ **„ყველამ შეძლოს ამოიცნოს ჰიტლერი, თუნდაც პატარა ჰიტლერი“.**

პრემიერა

დარბაზში მაყურებელს ინტიმური გარემო დახვდა. თუმანიშვილისეულ, უფარდო სცენაზე ორიგინალური სცენოგრაფია მესამე ზარამდე თავისი გავლენის ქვეშ გაქცევს და გიბიძგებს ჩაწვდე და ამოხსნა მეტაფორები, რომელიც გზას გიხსნის მიუახლოვდე სადადგმო ჯგუფის მთავარ სათქმელს. პარტერი შემცირებულია და სცენასთან ერთ სივრცეშია გამთლიანებული, ძირითადად შავ-თეთრი ფერები დომინირებს, რასაც ზოლად გასდევს წითელი - სისხლის სიმბოლო. განსაკუთრებულ ასოციაციებს იწვევს რკინის რუხი კიბე, რომელზეც მსოფლიოს უდიდესი ტირანი დაბიჯებს და გზად, მის ნაკვალევზე რჩებიან თეთრი სამოსით შემოსილი უთავო მანეკენები, მათი გამართული დგომა უდრეკ ხასიათზე მეტყველებს. ასეთები ტირანიის მტრები არიან და ისინი ლოგიკურად ასრულებენ სიცოცხლეს. მხატვარს ზუსტად გაუთვლია, რომ მათ, ვისაც ჯერ კიდევ თავი შერჩენია, გატეხილები და წელში მოხრილები არიან. ახლგაზრდა მხატვარმა ანა ნინუამ ზუსტად გაახმოვანა რეჟისორის ჩანაფიქრი. ამ მძიმე, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტად გათვლილ გარემოში შემოაბიჯეს ამბის მთავარმა გმირებმა: ახალგაზრდა ჰიტლერმა (ნატა მურვანიძე), მისმა მეგობრებმა ერნესტ რემმა (ნიკა თავაძე) და გრეგორ შტრასერმა (ლევან ყოჩიაშვილი), ასევე გუსტავ კრუპმა (რევაზ თავართქილაძე). ეს ერთადერთი სცენაა, სადაც ისინი ერთად არიან. სპექტაკლის მსვლელობის განმავლობაში ამბავი დიალოგებით ვითარდება. ჰიტლერი და რემი, ჰიტლერი და შტრასერი, რემი და შტრასერი, ჰიტლერი და კრუპი. ყველა სცენა ზუსტადაა გათვლილი, მინიმალური მუსიკისა და მოქმედების მიუხედავად, სპექტაკლი დინამიურია, უწყვეტი ჯაჭვითაა შეკრული. საზოგადოებისთვის ახალი ამბავი, უცხო დეტალები ახალ მუსიკას ქმნის, ეს ტირანიის მუსიკაა - დაუნდობელიც და საცოდავიც. სპექტაკლში გათამაშებული ამბავი არა ერთი ტირანიის, არამედ ზოგადად ამ დამანგრეველი ფენომენის პრობლემაზეა აგებული. როდის იღვიძებს ადამიანის ფსიქიკაში დალექილი, დამალული აგრესია და საიდან იწყება მისი გამოხატვა?! ჰიტლერმა ეს ყველაზე ერთგული ძველი მეგობრების დახვრეტით დაიწყო. ცივი, უსქესო, ცინიკოსი, საშიში და ერთდროულად საცოდავი ჰიტლერი - ასეთია ნატა მურვანიძის გმირი. მან გასაოცარი ნიჭიერებით გამოძერწა ახალი განსხვავებული სახე და მაყურებელი დაარწმუნა, რომ რეჟისორის ჩანაფიქრი არ იყო მხოლოდ ავანტიურაზე გათვლილი. ზუსტად დახატა ნიკა თავაძემ რემი - გულუბრყვილობამდე ერთგული, მეტიც, ფანატიზმამდე შეყვარებული მეგობარი, ძლიერი ჯარისკაცი, სამ მილიონინანი არმიის ხელმძღვანელი, მასში არსებობს გაუცნობიერებელი ეჭვი ჰიტლერის მიმართ, მაგრამ ამის აღიარება მას არ სურს. ეს განცდა რამდენიმეჯერ წამიერად გაკრთება ჰიტლერთან საუზმობის დასასრულს და შტრასერთან საუბრის დროს, მაგრამ „მე ჰიტლერს არ ვუღალატებ“ მყარი აღმოჩნდა, მას სჯეროდა ან არ უნდოდა მისი ღალატის დაჯერება. საპირისპირო მტკიცე ხასიათისაა ლევან ყოჩიაშვილის შტრასერი, ის გონებით განსჯის რეალობას, მასში ერთდროულად ჩანს არსებულთან ბრძოლის ჟინი და მოახლოებული დამარცხების შიშიც. ურთულესი ამოცანა აქვს კრუპის გმირის შემსრულებელს რეზო თავართქილაძეს - გამჭრიახი, გაიძვერა, რომელიც ხელმძღვანელით ზუსტად იცნობს ადოლფის ფენომენს, მან ყველაზე უკეთ იცის მასთან მისასვლელი გზები. მსახიობმა შესანიშნავად წარმოადგინა ფინანსისტის ურთულესი როლი.

ჰიტლერი - ნატა მურვანიძე. შტრასერი - ლევან ყოჩიაშვილი.

თითოეული დიალოგი ცალკე სპექტაკლია თავისი სიღრმითა და აწყობილი ურთიერთობებით. გამორჩეული ემოცია კი ფინალურმა სცენამ გამოიწვია. სცენაზე მხატვარს ორი შავლაბადიანი, თავმოკვეთილი მანეკენი შემოჰყავს, რემი და შტრასერი ასობით ადამიანთან ერთად დახვრეტილები არიან. ჰიტლერი სცენაზე ჩნდება შავებში ჩაცმული და ტანზე მოხურული გამარჯვებაზე. თუმცა არსებობდა განსხვავებული, საპირისპირო ასოციაციებიც - სპექტაკლი პოლიტიკურია თუ პირიქით?..

გოჩა კაპანაძე - რეჟისორი: „გარდა იმისა, რომ ძალიან მომწონს პიესა, ბევრი ასოციაციები გამიჩნდა სპექტაკლის მსვლელობის დროს. ის, რაც ჩვენი ქვეყნის წარსულში მოხდა - რევოლუციები, დაჯგუფებები, შეთანხმებები, კულისებს მიღმა შეხვედრები - თითქოს ისევ განმეორდა. ძალიან ემოციური იყო ფინალური სცენა, როდესაც მოხუცი ფინანსისტი, რომელმაც დააფინანსა ჰიტლერის მთელი მოძრაობა, ხელს ართმევს მას და თითქოს თანხმდებიან ახალი ქვეყნის „მშენებლობაში“. ეს ძალიან სიმბოლური იყო და მომაგონდა ჩვენი ცხოვრების ახლო წარსულის ისტორია. არ გავუღიზიანებივარ იმ ფაქტს, რომ ჰიტლერი ქალმა ითამაშა. შესანიშნავია ნატო. რეჟისორისა და მხატვრის დამსახურებაა, რომ აქცენტი არ გაკეთდა გმირის გარეგნულ შტრიხებზე. შარშან ლონდონში ვნახე შესანიშნავი სპექტაკლი „რიჩარდ III“, სადაც რიჩარდს ქალი თამაშობდა. თამაშობდა არა კაცს, არამედ ძალაუფლების მოყვარულ ადამიანს. ეს თვისება ხომ ქალსაც აქვს. ასევეა აქაც, ეს არის ყოველგვარ ნაციონალობას მოკლებული, უსქესო გმირი. ეს არის ერთ-ერთი საინტერესო სპექტაკლი... და არა ქართული, სადაც არ არის ფოკუსები და არის მსჯელობა, ფიქრი. დიდი მადლობა დამდგმელ ჯგუფს“.

გიორგი ჩართოლანი - თეატრმცოდნე: „ვიდრე სპექტაკლს ვნახავდი, ვფიქრობდი, რომ ქალი ჰიტლერი იყო ერთგვარი სკანდალური ნაბიჯი, ახლა ვფიქრობ, რომ რეჟისორმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჰიტლერის ფენომენი არ ექვემდებარება ქალისა და მამაკაცის სქესს. იგი არის ყველაში და სპექტაკლის მთავარი სათქმელი ის არის, რომ ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ თავში აღმოაჩინოს ჰიტლერი. ამიტომაც ჯდება ჰიტლერი ჩვენს გვერდით პარტერში. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არ აღმოუჩენია თავის თავში ჰიტლერი და ამით არ გამქრალა მისი ფენომენი. ალბათ არც ახლა აღმოაჩენს, მაგრამ სპექტაკლის მთავარი მიზანი ის არის, რომ მიგვითითოს - კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ამაზე. ამიტომაც ვემხრობი ვერსიას, რომ მას არ ჰქონდეს სქესი. საბედნიეროდ, ეს არ არის პოლიტიკური სპექტაკლი. ჰიტლერი საზოგადოებაში იბადება და არა პოლიტიკურ წრეებში“.

მერაბ თავაძე - მსახიობი, „სამეფო უბნის თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი: „პიესის არჩევისას არ მივსდევ კომერციულ გათვლებს. დათოს შემოთავაზებული პიესა ჯდებოდა თეატრის რეპერტუარში. პიესა მართლაც ძალიან საინტერესოა და თანაც რეჟისორის მიერ შემოთავაზებული გეგმა - ჰიტლერი ქალს ეთამაშა - თავისთავად ავანტიურული იყო. ჩვენი მიზანი იყო მხატვრულობის თვალსაზრისით მაღალი დონესთვის მიგვეღწია და ასეც მოხდა. დღეს მითხრეს, რომ ჩვენს თეატრს განმანათლებლის ფუნქციაც აკისრია. კარგია, რომ ახალი თაობა ნახავს და მიხვდება, რა მოაქვს ფაშიზმს და დიქტატურას“.

მედეა ჩახავა - მსახიობი: „ძალიან დიდი ნამუშევარია, სერიოზული ჩანაფიქრია და ამიტომ კიდევ რამდენჯერმე უნდა ვნახო, რომ ჩემი მოსაზრება გითხრათ. ის ფაქტი, რომ ქალი მუშაობს, თავისთავად თამამი ნაბიჯია. მუშაობის პროცესში მე ნატოსთან ვცხოვრობდი და ვხედავდი მის თავგანწირულ მუშაობას. მე გრძელი და საინტერესო შემოქმედებითი გზა გავიარე, მაგრამ ნატო ყოველთვის მაოცებს თავისი ყველა პროფესიული და შინაგანი თვისებით. ვულოცავ და ვუსურვებ, რომ მის შრომას შესაბამისი შედეგი გამოეღოს“.

მაკა მახარაძე - მსახიობი: „მე ობიექტური ვერ ვიქნები. გაოგნებული ვიყავი, ნატომ თამამი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ვფიქრობ გამართლებული. ალბათ, პრემიერაზე ძნელიც არის შეფასება. მაგრამ ქართველი მაყურებელი ძირითადად პრემიერაზე დადის და დასკვნასაც ამის მიხედვით აკეთებს“.

5 მაისი

თეატრი

თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი
„მაკულატურა & დღეს ორშაბათია“
რეჟისორები: დავით დოიაშვილი და გურანდა იაშვილი
დასაწყისი: 19.00 სთ

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
„ხვალ შობაა“
რეჟისორი დავით საყვარელიძე
დასაწყისი: 19.00 სთ

თეატრალური სარდაფი
„ლიფტიორი“
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწაყისი: 19.00 სთ

სამეფო უბნის თეატრი
„ჩემი მეგობარი ჰიტლერი“
რეჟისორი: დავით მღებრიშვილი
დასაწყისი: 19:00 სთ

გალერეა

„ჰობი“
ეკა ცინდელანის პერსონალური გამოფენა;
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

„კოპალა“
ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა

„ქარვასლა“
ბორის რომანოვსკის გამოფენა

„ორიენტი“
თანემედროვე ტიხრული მინანქარი

მოკლედ

ჩვენი დროის არაგველები

გაზეთი „არაგველები“ ბიზნესმენების მხარდაჭერით მაისში გამოსცემს ილუსტრირებულ წიგნს „ჩვენი დროის არაგველები“.

როგორც გაზეთის რედაქტორმა მანანა ჯარიაშვილმა განაცხადა, წიგნი მე-19-20 საუკუნეების გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებს გააცნობს და კრწანისის ბრძოლაში დაღუპული 300 არაგველის შესახებ მოუთხრობს მკითხველს. წიგნი 500 ეგზემპლარად გამოიცემა და 30 ლარი ეღირება.

„მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“

უახლოეს მომავალში დასრულდება გადაღება რეზო ჩხეიძის დრამატული ჟანრის ფილმისა „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“.

ფილმის მთავარი თემა პატრიოტიზმია. მასში მოთხრობილია ახალგაზრდა ადამიანის შეჭირვებული ყოფა. „ფილმის ქართულ ენაზე დასრულების შედეგ მოხდება დუბლირება რუსულ ენაზე, ხოლო ბოლოს მომზადდება ხუთსერიიანი ვერსია რუსული სატელევიზიო არხისთვის „კულტურა“,- აღნიშნა რეჟისორმა.

მთავარ როლებში არიან ახალგაზრდა მსახიობები თორნიკე მზიავა, ანა ამირეჯიბი. ასევე მონაწილეობენ ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი და რუსი მსახიობი ლუდმილა შუკშინა.

გადაღებები მიმდინარეობდა თბილისში, იერუსალიმში, ეგვიპტეში, კერძოდ, საჰარის უდაბნოში და თურქეთში.

გამოფენა კინოხელოვნების დღისთვის

15 მაისს, კინოხელოვნების დღის აღსანიშნავად, გალერეა „კოპალაში“ იხსნება გამოფენა. როგორც გალერეის ხელოვნებათმცოდნემ ქეთი ბენდელიანმა აღნიშნა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართული კინოსტუდიის არქივიდან ამოღებული მასალები. „ეს იქნება ფოტოები, აფიშები და ყველა ის მასალა, რომელიც ქართულ კინოხელოვნებას უკავშირდება“, -აღნიშნა ბენდელიანმა.

გამოფენა 20 მაისს დაიხურება.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება

6 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების პრეზენტაცია.

ეს საზოგადოება მიზნად ისახავს ქართული ბალეტის განვითარების ხელშეწყობას. მისი დამფუძნებლები არიან მარიელა ტეფტი, მეიდა მაკლარენი, ინა პატარკაციშვილი, ლილი ხაუფი და ირინა ხომერიკი, ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორი დავით საყვარელიძე.

ნიჭი და შემოქმედება

მზევინარ ხუციშვილი

„სილამაზეა... მშვენიერებაა... სადაც ნიჭია, ვერაფერს იტყვით“... შეფასებები მრავლად იყო გალერეა „ვერნისაჟში“, სადაც 2 მაისს ქალბატონ მანანა ძოძუაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. თვითნასწავლმა შემოქმედმა ორმოცდაათამდე ნამუშევარი წარმოადგინა.

პროფესიით ექიმი, მეან-გინეკოლოგი სოხუმის სამშობიაროში მუშაობდა. ხატვა 2000 წლიდან დაიწყო. როგორც თვითონ ამბობს, „უცბად ამ ქვეყანაზე არაფერი ხდება, არც ცარიელ ადგილზე ჩნდება რამე. ის ემოციები, განცდები, რასაც თვალი და გონება აღიქვამს, დაილექა და სურვილი გამიჩნდა გადმომეცა. აი, მაშინ დავიწყე ხატვა და ვეღარ ვჩერდები.“

პირველი გამოფენა მეგობრების დახმარებით 2000 წელს მოაწყო, შემოქმედების დაწყებიდან ექვს თვეში. ამას მოჰყვა მოსკოვში ვიზიტი და ზურაბ წერეთელთან სტუმრობა. მერე იყო მოსკოვის პერსონალური გამოფენა, რომელზეც სამოცამდე ნამუშევარი ჩაიტანა. ოცი მათგანი გაიყიდა. შემდეგ მოსკოვში გამოიცა კატალოგი, რომელშიც მისი ორი ნამუშევარია შევიდა. სწორედ მაშინ გახდა საერთაშორისო ფონდისა და რუსეთის მხატვართა კავშირის წევრი.

- ქალბატონო მანანა, თქვენი შემოქმედების ძირითადი თემა...

- ჩემთვის მთავარია შევქმნა ის, რაც ჩემს წარმოსახვაშია. ძირითადად მაინც ფანტაზიით ვხატავ. ჩემს ნამუშევრებში ჩადებულია ჩემი განცდა, ემოცია. თუ როგორ არის შესრულებული, ამას საზოგადოება განსაზღვრავს. ამ შემოქმედებით პატარა სამოთხე მოვიწყვე. ეს ჩემი სულიერი სამყაროა, რომელიც ძალიან მიყვარს.

- ფერები? როგორ არჩევთ მათ?

- მე მგონი, ყველა ფერს ვხმაროб. თუმცა ყოველთვის ვცდილობ, დადებითი ენერგია ჩავდო, რომ ნახატი თბილი გამოვიდეს.

შამილის დედა.

■ ■ ■

ნამუშევრებით მიღებულ სიამოვნებას და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბატონი სერგო ჩახოიანი: „თითოეული ნახატი გრძნობითა და სიყვარულით არის შესრულებული, თანაც დიდი სიყვარულით. სიყვარულის გარეშე ხომ არაფერი არ კეთდება“.

ემოციის გამოხატვაზე არც ბატონ რეზო ადამიას უთქვამს უარი: „საერთოდ ვიცი, რომ ექიმები ხატავენ, მაგრამ თუ მანანა ძოძუაშვილი ასეთი კარგი მხატვარი იყო, არ მეგონა. ამ ნამუშევრებით ვგრძნობ, რომ ის არაჩვეულებრივი შემოქმედია, რომ აუცილებელი არ არის აკადემია დაამთავრო. მთავარია გქონდეს ნიჭი და სიყვარული. იმედი მაქვს, რომ მომავალში ის ბევრ საინტერესო გამოფენას შემოგვთავაზებს“.

გამოფენა „ვერნისაჟში“ 10 მაისამდე გაგრძელდება.

Gorillaz ახალი წევრით

ვირტუალური ჯგუფი Gorillaz მალე ხუთწევრიანი გახდება. 9-16 წლის ბავშვებს გაზეთ „გარდიანის“ ფესტივალის ფარგლებში Gorillaz ახალ წევრს შეაქმნევინებენ. გამარჯვებული პატარები 4 ივნისს ჯგუფის პროდიუსერს ენდრიუ რუმენს და ანიმატორებს შეხვდებიან და დეტალებსაც შემდეგ დაგეგმავენ.

დეტალები არც ამ წუთისთვისაა ცნობილი. პროექტის ავტორები აცხადებენ: „ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ახალი პერსონაჟი. არც სპეციალური წესები შეგვიმუშავებია. ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია ბავშვების ფანტაზიის უნარზე“.

ფიქრობენ, რომ მეხუთე წევრით Gorillaz კიდევ უფრო წარმატებული გახდება. მუსიკოს დეიმონ ალბერნისა და ილუსტრატორ ჯეიმი ჰიულეტის ვირტუალური ჯგუფი აქამდე ოთხი ბიჭისგან შედგებოდა: მარდოკ ნიკოლსი, 2D, ნუდლი და რასელ ჰობსი. ამ ოთხეულმა მოკლე დროში მოახერხა პოპულარობის მოპოვება და EMI-ს ყველაზე წარმატებული ჯგუფის სტატუსიც მოიპოვა, ჩანაწერების გაყიდვებისა და ცოცხალი კონცერტების გათვალისწინებით.

„გარდიანის“ ფესტივალი კი მეხუთე წელია იმართება. ბავშვებს, რომლებიც უსმენენ Gorillaz-ს და სურთ, რომ სუპერპოპულარული ვირტუალური ჯგუფის მეხუთე წევრი დახატონ, ფესტივალის საიტზე პოულობენ დამატებით ინფორმაციას: www.hayfestival.com.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

ცენტრ პოინტ ჯგუფი

იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.
განვადება უპროცენტოა.
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.

www.interes.ge

სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!
გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.
გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია
ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ოფიციალური ვიზიტებისა და სტუმრების მომსახურების შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტი №1	ბანკეტებისა და ოფიციალური სადილების გამართვა (ევროპული და ქართული კერძები, სვადასხვა სახის სასმელები)	250 პერსონამდე	მიწოდების ადგილი ქ. თბილისი
ლოტი №2	სხვადასხვა სემინარისა და კონფერენციის მომსახურება (ყავა, ჩაი, ნამცხვარი, მინერალური წყლები, შესვენებებზე მცირე სადილი)	30 პერსონამდე	მიწოდების ადგილი ქ. თბილისი

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველებსა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის საახაზინო კოდი № 302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში № 200122900. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კოდი 1512.

3. სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კანდელეკისა ქ. 12. ტელ: 37-63-84, 37-07-59.

4. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურდიულ პირთათვის:

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან). უცხო ქვეყნის მოქალაქების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებროივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 25 მაისს 14 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელეკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. სატენდერო აპარატი. ტელ: 37-63-84, 37-07-59.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 25 მაისს 14 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომაისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 37-63-84, 37-07-59.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ბენდუქიძის კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან

სად წავიდა 240 მილიონი?

B2

ბერეზოვსკი ბრაზილიური ავიაკომპანიის შესყიდვას აპირებს

B3

არაბი შეიხი Roberto Cavalli-ის ბრენდს ყიდულობს

B4

სოფლის მეურნეობა

რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

თეიმურაზ ღოლობერიძე

საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს შორის, 1992-1993 წლებში განხორციელებული მიწის რეფორმა შეიძლება ყველაზე წარმატებულად ჩავთვალოთ. დროის ძალიან შეზღუდულ მონაკვეთში, მარტივი და ყველასთვის გასაგები წესებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დიდი ნაწილის გადაცემა გლეხებისათვის, იმ უალრესად გაჭირვებულ პერიოდში, ბევრი ოჯახისათვის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ჩატარებული რეფორმის შედეგად 1.4 მილიონ მესაკუთრეს გადაეცა თითქმის 1 მლნ. ჰექტარი მიწა.

■ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის აგრარული სექტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყველა აღიარებს, სოფლის მეურნეობის პრობლემები ამჟამად აქტუალურ თემად არ ითვლება.

■ არსებული მდგომარეობა უმძიმესია - ჩვენი გლეხობა, უმეტესად, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ხოლო ქვეყნის მიერ მოხმარებული სურსათის თითქმის ნახევარი ("Earth Trends"-ის მონაცემებით 46 პროცენტი) იმპორტირებულ საქონელზე მოდის.



B2

უმდიდრესი ოცნების მართვა

Toyota-ს სწრაფვა პირველობისაკენ

გოგა ქიმუცაძე

იაპონური საავტომობილო კომპანია Toyota (Toyota Motor Corporation, Toyota Jidosha KK), რომელიც თავის პროდუქციას Toyota-ს და Daihatsu-ს მარკით უშვებს და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფ "ტოიოტას" შემადგენლობაში შედის, მსოფლიოს უმდიდრესი და ერთ-ერთი უმსხვილესი ავტომწარმოებელი გახლავთ. ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში იგი მეთორმეტე ადგილზეა და თავისი ფინანსური მონაცემების მიხედვით ყველა სხვა საავტომობილო კომპანიას ბევრად უსწრებს.

Toyota-ს ქარხნებში კონვეიერიდან ყოველ 6 წამში ერთი ავტომობილი ჩამოდის. წელს კომპანია 8850000 ავტომობილს გამოუშვებს, მსოფლიო ბაზრის 11,2 პროცენტს გააკონტროლებს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ "ჯენერალ მოტორსს" ჩამორჩება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკულ გიგანტს გარკვეული ფინანსური პრობლემები აქვს, Toyota კი სულ უფრო წინ მიდის - "სუბარუს" აქციები შეიძინა და მალე ახალ ქარხნებს გახსნის ინდოეთსა და რუსეთში, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ცოტა ხანში იგი ამ კომპონენტშიც მსოფლიოში პირველი გახდება.

Toyota-ს არასოდეს რცხვენოდა ამერიკელი და ევროპელი ავტომწარმოებლების გამოგონებების კოპირება. დღეს მსოფლიო იაპონელებისაგან ბიზნესის მართვის გამოცდილების გადმოღებას ცდილობს.

B3

იმპორტირებული საიუველირო ნაწარმის დიდი ნაწილი განუბაჟებელია

იუველირები საბაჟო კოდექსის გამარტივებას ითხოვენ

ეთერ მამულაშვილი

მართალია, საბაჟო კონტროლი გასულ წლებთან შედარებით ერთი ორად არის გამკაცრებული და კონტრაბანდული პროდუქცია თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული, მაგრამ საიუველირო ნაწარმი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის "გათეთრებასაც" საბაჟო დეპარტამენტი დღემდე ვერ ახერხებს.

■ დღეს სახელმწიფო ოქროს არ ყიდის, როგორც ეს მეზობელ თურქეთში ან სხვა სახელმწიფოებში ხდება, ამიტომაც ადგილობრივი ბაზარი თითქმის მთლიანად იმპორტირებული ნაწარმით არის გაჯერებული.

■ როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები აცხადებენ, სარეალიზაციოდ შემოტანილი საიუველირო ნაწარმის სრული კონტროლი შეუძლებელია.

B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1 ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3977
1 აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0100
1 არაბული დირხამი	AED	0,4942
1 აშშ დოლარი	USD	1,8150
1000 ბელორუსიული მანათი	BYR	0,8440
1 ბულგალური ლევი	BGL	1,1728
1 დანიური კრონი	DKK	0,3076
1 ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3155
1 ევრო	EUR	2,2930
10 ესტონური კრონი	EEK	1,4659
1000 თურქმენული მანათი	TMM	0,3490
1 თურქული ლირა	TRY	1,3775
100 იაპონური იენი	JPY	0,1602
1 ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,3345
1000 ირანული რიალი	IRR	0,1986
10 ისლანდიური კრონი	ISK	0,2440
1 ისრაელის სეკელი	ILS	0,4046
1 კანადური დოლარი	CAD	1,6402
1 ლატვური ლატი	LVL	3,2469
10 ლიტვური ლიტი	LTL	6,6038
10 მოლდოვური ლეი	MDL	1,3994
1 ნორვეგიული კრონი	NOK	0,2950
1 პოლონური ზლოტი	PLZ	0,5996
10000 რუმინული ლეი	ROL	0,6098
1 რუსული რუბლი	RUB	0,0668
1 სინგაპურული დოლარი	SGD	1,1529
100 სომხური დრამი	AMD	0,4074
1 ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5647
1000 უზბეკური სომი	UZS	1,4875
10 უკრაინული გრივნა	UAG	3,6293
100 უნგრული ფორინტი	HUF	0,8744
1 ქუვეითური დოლარი	KWD	6,2155
10 ყაზახური ტენგე	KZT	0,1460
10 ყირგიზული სომი	KGS	0,4438
1 შვედური კრონი	SEK	0,2461
1 შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4681
1 ჩეხური კრონი	CZK	0,0809
1 ჩინური იუანი	CNY	0,2266
1 ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2341

ლარის კურსის დინამიკა



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შიშობს, რომ საწვავის გაძვირება ინფლაციის დამატებით რისკებს წარმოშობს

ნავთობპროდუქტების, ელექტროენერგიისა და გაზის გაძვირებამ ქვეყანაში ინფლაციის დამატებითი რისკები წარმოშვა. ამის შესახებ განცხადება დღეს, პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გააკეთა. როგორც გოცირიძემ განაცხადა, სამწუხარია ის ფაქტიც, რომ ყოველივე ამის ფონზე იზრდება ბიუჯეტის დეფიციტი და მცირდება მთავრობის ნაშთი სადეპოზიტო ანგარიშზე. "2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი, სადაც გათვალისწინებულია დეფიციტის გაზრდა, მიმოქცევაში ფულის დამატებითი მასის გაშვებას ნიშნავს და ეს საფრთხეს წარმოადგენს. ეროვნულ ბანკს არ გააჩნია საკმარისი ინსტრუმენტები მიმოქცევაში ზედმეტად გაშვებული თანხების ამოსაღებად. ეროვნული ბანკის მიერ ინსტრუმენტების გამოყენება კომერციული ბანკების სესხების ზრდას გამოიწვევს, რაც, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო უარყოფით შედეგებს მოგვცემს," - განაცხადა გოცირიძემ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მთავრობას სთხოვს, ხარჯვითი პოლიტიკა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით განახორციელოს, რათა არ მოხდეს პრივატიზაციიდან შემოსული თანხების გაუთავისწინებელი ემისია. "ინფლაციური პროცესების განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ დაიხარჯება პრივატიზაციიდან შემოსული თანხები. წელს ინფლაცია ჩვენთვის სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წლის ბოლოს ინფლაციური მაჩვენებელი ერთნიშნა ციფრს არ გადააჭარბებს," - განაცხადა გოცირიძემ. მისი თქმით, 2005 წლის აპრილიდან 2006 წლის აპრილამდე, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი 6 პროცენტს შეადგენს, შარშან 2005 წლის მაჩვენებელი კი 6,2 პროცენტი იყო. **ინტერპრესნიუსი**

ფინანსთა მინისტრი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არ ეთანხმება

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის შენიშვნას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა ქვეყანაში ინფლაციური პროცესების სტიმულირებას არ გამოიწვევს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ალექსიშვილმა განუცხადა, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2,6 პროცენტიდან, 3,1 პროცენტამდე გაიზრდება. "მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დეფიციტის ეს მაჩვენებელი საერთაშორისო ნორმებს აკმაყოფილებს, ამიტომ ყოველივე ეს ინფლაციურ პროცესებს არ გამოიწვევს და ამის საფრთხე არ არსებობს," - განაცხადა ალექსიშვილმა. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრო პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების მიმოქცევაში გაშვებას ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით ახორციელებს, ამიტომ მისთვის გაუგებარია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე დღეს გამოთქმული შენიშვნა. ამჟამად მთავრობის დეპოზიტებზე 130 მილიონი ლარია აკუმულირებული, რომლის ხარჯვაც ყოველთვიური შეთანხმების საფუძველზე ეროვნულ ბანკთან ერთად ხორციელდება. 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, დეფიციტის დაფინანსების წყაროს სახით აისახება 72 მილიონი ლარი, რომელიც 2006 წლის ბიუჯეტს გარდამავალი ნაშთის სახით 2005 წლის ბიუჯეტიდან გადმოყვა. **ინტერპრესნიუსი**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ეროვნული ბანკის ანგარიში მოისმინა

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის მუშაობის ანგარიში მოისმინა. ანგარიში დეპუტატების წინაშე ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ წარადგინა. მისი თქმით, ბანკმა უმთავრეს ამოცანას, რაც ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაში გამოიხატება, წარმატებით გაართვა თავი.

გოცირიძის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის 9-პროცენტიანი ზრდის პირობებში, ეროვნული ბანკისა და მთავრობის კოორდინირებული მუშაობის შედეგად ინფლაციამ 6,2 პროცენტი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე 1,3 პროცენტით ნაკლებია. **ჯი-ეიჩ-ენი**

გოცირიძე "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანის წინააღმდეგია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში" ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში შავი ფულის გათეთრების საფრთხე შეიქმნება. როგორც გოცირიძემ დღეს პარლამენტში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, მთავრობის მიერ პარლამენტში განსახილველად წარდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს მთელი რიგი შენიშვნები გააჩნია. კერძოდ, ეროვნული ბანკი მთავრობას არ ეთანხმება კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის საკითხთან დაკავშირებით.

"კომერციული ბანკი არ არის უნივერმაღი, იგი სხვის ქონებას განკარგავს, ამიტომ, არ შეიძლება ყველას ჰქონდეს ბანკის აქციების შეძენის უფლება," - განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, საქართველოს ეროვნულ ბანკს წინასწარ უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შესყიდვის თაობაზე და ამის შესახებ წინასწარი თანხმობა უნდა გასცეს.

ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შესყიდვის მსურველმა, შესყიდვამდე ეროვნული ბანკისგან წინასწარი წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს.

მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტში კი გათვალისწინებულია, რომ მსურველს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშეც შეეძლება.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია, ორი თვის განმავლობაში შეამოწმოს წილის შემსყიდველის საქმიანობა და თუ აღმოაჩინა, რომ იგი შემჩნეულია ფულის გათეთრებაში, ან სხვა აკრძალულ საქმიანობაში, უფლება აქვს, შეუჩეროს ხმის უფლება.

როგორც "ინტერპრესნიუსისთვის" დღეს გახდა ცნობილი, "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც მოამზადა, რომლის გაუთვალისწინებლობა, შესაძლოა, ფონდის პროგრამის შეჩერების საფუძველი გახდეს. **ინტერპრესნიუს-ბიზნესი**

სოფლის მეურნეობა

პირველი გვერდიდან

მხოლოდ მიწის რეფორმის განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისთვის საკმარისი ნამდვილად არ აღმოჩნდა. წარმატებული პირველი ნაბიჯის შემდეგ აუცილებელი იყო შემდგომი ნაბიჯების გადადგმა - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვა აგრარული წარმოების საშუალებების, მათ შორის, ტრაქტორების, კომბაინების, ფერმებისა და გადამამუშავებელი საწარმოების სწრაფი და გამჭვირვალე პრივატიზაცია, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ა. შ. სამწუხაროდ, არც ერთი ეს ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთების ფერმერებზე გადაცემა, ძირითადად, 1993 წელს დამთავრდა, მიწის ბაზრის თუნდაც ჩანასახოვანი ფორმით ჩამოყალიბებას შემდგომი 8 წელიწადი დასჭირდა. შევარდნაძის მმართველობის ბოლო 10 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პრობლემების მიმართ სახელმწიფოს სირაქლემას პოზიცია ეკავა. ამ ხნის განმავლობაში არ განხორციელებულა არც ერთი, თუნდაც, ნეგატიური შედეგების მქონე რეფორმა ან სერიოზული სახელმწიფო პროგრამა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ამ მიმართებით (იმედია, ჯერჯერობით) ბევრი არაფერი შეცვლილა, თუმცა ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მაინც იქნა გადადგმული: პირველი, მთავრობამ მოახერხა რურალური რეგიონების (ვინაიდან ამ ტერმინის ქართული შესატყვისი ვერ მოვნახე, აქ და შემდგომ ეს ტერმინი ურბანულის საპირისპიროს ნიშნავს. ევროკავშირში მიღებული განმარტებით ქალაქები და დაბები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად კომპაქტურად ცხოვრობს 500-ზე მეტი ადამიანი, რომელთა ნახევარი მაინც დაკავებულია ინდუსტრიაში და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნაში, შეადგენენ ურბანულ რეგიონებს, ხოლო ყველა სხვა დასახლება - რურალურს. ნიშანდობლივია, რომ ასეთი განმარტებით საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა პატარა ქალაქი სინამდვილეში რურალურ დასახლებას წარმოადგენს, რადგან მათი მოსახლეობის დიდი უმეტესობა სოფლის მეურნეობით საზრდოობს) ელექტროენერგიით მომარაგების მეტ-ნაკლებად მოწესრიგება. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება რურალური რეგიონების განვითარებისა და ქალაქში მიგრაციის შეჩერების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, ეს ნაბიჯი სერიოზულ წინსვლად უნდა შეფასდეს; მეორე, სახელმწიფომ მიწის მცირე მესაკუთრეებისთვის გააუქმა მიწის გადასახადი.

არავინ კამათობს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობას საქართველოსთვის ყოველთვის ჰქონდა, და მომავალშიც ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა. მეორე მხრივ, არსებული მდგომარეობა უმძიმესია - ჩვენი გლეხობა, უმეტესად, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ხოლო ქვეყნის მიერ მოხმარებული სურსათის თითქმის ნახევარი ("Earth Trends"-ის მონაცემებით 46 პროცენტი) იმპორტირებულ საქონელზე მოდის. ეკონომიკურ ასპექტებს რომ თავი დავანებოთ, ასეთი მდგომარეობა ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისითაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ასეთ პირობებში მხოლოდ მიწის გადასახადის გაუქმება ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას. რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ამჟამად სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, რომელიც, პრაქტიკულად, მთლიანადაა ამოვარდნილი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის აგრარული სექტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყველა აღიარებს, სოფლის მეურნეობის პრობლემები ამჟამად აქტუალურ თემად არ ითვლება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ პრობლემებს და სასწაულის მოლოდინში ვართ - ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გვგონია, რომ ერთხელაც (მდიდარი აგრარული ტრადიციების, ქართველი ხალხის განსაკუთრებული ნიჭიერების ან რაიმე სხვა მიზეზის გამო) საქართველოს სოფლის მეურნეობა ყველა პრობლემას დაძლევს, ჩვენი გლეხები გამდიდრდებიან, ჩვენი დახლებიდან იმპორტული საქონელი გაქრება და ა. შ. იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც არის სიტუაციის ანალიზის მცდელობა, მსჯელობა პირველივე ნაბიჯზე მთავრდება სტანდარტული დასკვნით - "გადამამუშავებელი მრეწველობა არ გვაქვს, ამის ბრალია ყველაფერი."

სამწუხაროდ, ეს დასკვნა არა მხოლოდ ზედაპირული, არამედ, უბრალოდ, მცდარია. საკმაოდ წარმატებული გადამამუშავებელი (როგორც მინიმუმ, დამფასოებელი მაინც) მრეწველობა საქართველოში არსებობს, რომელიც წარმატებით გადაამუშავებს და აფასოებს იმპორტირებულ შაქარს, კარაქს, წიწიბურას და ა. შ. პრობლემა ის კი არ არის, რომ ჩვენ გადამამუშავებელი მრეწველობა არ გვაქვს, არამედ ის, რომ ჩვენს გადამამუშავებელ და დამფასოებელ მრეწველობას, ისევე როგორც პოტენციურ ინვესტორებს, არ აინტერესებთ ადგილობრივი პროდუქცია (გარდა ყურძნისა) და მთლიანად იმპორტირებულ პროდუქციაზე არიან ორიენტირებული. უმძიმეს კრიზისში მყოფი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი, ხარისხი, მიწოდების ფორმა და სხვა მახასიათებლები არ არის მიმზიდველი პოტენციური გადამამუშავებლებისთვის და, შესაბამისად, ამ პრობლემის სათავეებიც, მეტწილად, აგრარულ სექტორში უნდა ვეძიოთ.

სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ საქართველოს აგრარული რეფორმების, პრაქტიკულად, არანაირი გამოცდილება არ აქვს. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების დეტალური ანალიზი, რამაც საშუალება უნდა მოგვცეს, რაც შეიძლება ქმედითი და შედეგიანი გავხადოთ ჩვენი რეფორმები. ჩვენ შევეცდებით, შემოგთავაზოთ ლიტვისა და ავსტრიის სოფლის მეურნეობის ანალიზი და ამ ჭრილში განვიხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში გასატარებელი რეფორმები და მათი შესაძლო შედეგები.

ეს ორი სახელმწიფო შემთხვევით არ აგვირჩევია. ლიტვას ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ყველაზე კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვს. გარდა ამისა, ეს ქვეყანა მოსახლეობით (3,6 მლნ.), ფართობითა (64 000 კმ2) და სოფლის მოსახლეობის მაღალი მაჩვენებლით (1,5 მლნ.) ძალიან ჰგავს საქართველოს. დაბოლოს, რაც მთავარია, აქტიური რეფორმები სოფლის მეურნეობაში ლიტვამ ზუსტად 15 წლის წინ, 1991 წელს დაიწყო და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ლიტვის, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილების შესწავლას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოს სოფლის მეურნეობაში რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებისათვის.

მეორე ქვეყანა - ავსტრია ასევე არ არის შემთხვევით შერჩეული. ავსტრია ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა და მისი შესწავლა საინტერესოა თუნდაც იმისთვის, რომ ცხადად გვესმოდეს, თუ რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. გარდა ამისა, ავსტრიას აქვს ისტორიულად ძალიან კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა. ეს მაშინ, როდესაც, ისევე როგორც საქართველოში, ავსტრიაშიც სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი ფართი ქვეყნის ტერიტორიის მცირე ნაწილს შეადგენს. ავსტრიის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 16,9 პროცენტია, ხოლო საქართველოსთვის - 15,3 პროცენტი. ამ მხრივ, ორივე ქვეყანა "მცირე მიწიანია", და ავსტრიის სოფლის მეურნეობის ანალიზმა შეიძლება ცხადად გვიჩვენოს, თუ რა შედეგებს შეიძლება ელოდეს საქართველო აგრარულ სექტორში სწორი რეფორმების გატარების შემთხვევაში.

"24 საათი ბიზნესი" მომავალი კვირიდან შემოგთავაზებთ ლიტვისა და ავსტრიის სოფლის მეურნეობის ანალიზს და შევეცდებით, პარალელები გავავლოთ ქართულ სინამდვილესთან. მომავალ ნომერში განვიხილავთ ავსტრიის, ლიტვისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად პარამეტრებს და აგრარული რეფორმის საკვანძო ეტაპებს ლიტვაში (1991-1994).

სად წავიდა 240 მილიონი?

მარიამ ჯაჭვაძე

რამდენიმე დღეში პარლამენტი 2005 წლის ბიუჯეტის შესრულებას უყრის კენჭს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატთა უმრავლესობა გასული წლის ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ კანონს დადებითად შეაფასებს და მის შესრულებასაც მხარს დაუჭერს. სამაგიეროდ, შარშანდელი ბიუჯეტით სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტები, განსაკუთრებით - ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. სად წავიდა 240 მილიონი ლარი? - ამ კითხვაზე პასუხს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ერთ-ერთი ის არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გასულ წელს ბიუჯეტის აქტიურ მონიტორინგს აწარმოებდა. როგორც ცენტრის ექსპერტები ამბობენ, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი ძალიან დაბლი იყო. **"მთელ რიგ შემთხვევებში საჭირო ინფორმაციას არასათანადო გზებით და დაგვიანებით ვიღებდით,"** - ამბობს ამ ცენტრის ეკონომიკური ექსპერტი რეზო საყევარიშვილი.

თუმცა, მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილმა საბიუჯეტო, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზებმა და დარღვევებმა ინფორმაციის გაუმჭვირვალობა უკანა პლანზე გადასწია.

კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულება და წლის განმავლობაში მასში ოთხჯერ შეტანილი ცვლილება სიამაყის საგნად ჰქონდა ქცეული, ევრაზიის ფონდი ყოველივე ამას უცოდინარობას ან პიარისთვის წინასწარ გამიზნულ ქმედებად აფასებს. **"ბიუჯეტი თავიდანვე არარელურად დაიგეგმა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვიანებით, მისი გადაჭარბებით ჩვენს ხელისუფლებას საზოგადოების წინაშე ეამაყა, ეს საბჭოური გადმონაშთია, რაც, ამავდროულად, კორუფციის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ასეთ დროს "ზედმეტად" შემოსული თანხები ბუნდოვნად იხარჯება და მისი გაკონტროლება ძალიან რთულია,"** - ეს განცხადება გუშინ ევრაზიის ფონდის დირექტორმა ქეთი ხუციშვილმა სასტუმრო "მერიოტში" გააკეთა, როცა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა გასული წლის ბიუჯეტის მონიტორინგის პრეზენტაცია ჩაატარა.

ქეთი ხუციშვილის ამ მოსაზრებას ცენტრი, მისი ექსპერტები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეთანხმებიან.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი საბოლოოდ 2 მილიარდ 498 მილიონი ლარით განსაზღვრა. წლის ბოლოს გეგმა 104 პროცენტით შესრულდა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - 110 მილიონით გადაჭარბების ფონზე შარშან ხარჯების თითქმის 8 პროცენტი დაუფინანსებელი დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლების მატების მიუხედავად, ხარჯვითი პოლიტიკა მისი ადეკვატური არ ყოფილა.

"24 საათის" კითხვაზე, თუ რატომ მოხდა გადაჭარბებული შემოსავლების ფონზე ხარჯების ნაწილში ასეთი გარღვევა, ცენტრის ექსპერტი რეზო საყევარიშვილი პასუხობს: **"ამის გარკვევას ჩვენც შევეცადეთ, თუმცა კონკრეტული და არგუმენტირებული პასუხი ვერც ერთი უწყებისგან ვერ მივიღეთ."**

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, 2005 წელს, ძირითადად, დაუფინანსებელი დარჩა ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის სამინისტროების, ენერგორეაბილიტაციის ხარჯები. გარღვევამ ხარჯვით ნაწილში სულ 224 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის დაფარვა, ცენტრის ექსპერტების თქმით, მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა მოხდეს ან ეს ხარჯები საერთოდ აღარ უნდა იქნას გაწეული.

"შარშან გაწეული ხარჯების სოლიდური ნაწილი, დაახლოებით 10 პროცენტი ე.წ. "სხვა ხარჯების" კატეგორიაზე მოდის, რომელიც ძალიან გაუმჭვირვალეა და, ტრადიციულად, კორუფციის საკმაოდ მაღალი ალბათობის შემცველი. 240 მილიონი ლარის ხარჯვის შესახებ, პრაქტიკულად, ბიუჯეტში არანაირი ინფორმაცია არ ჩანს და ვერც ჩვენ მოვიპოვეთ. ამას გარდა, შარშან დახარჯული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის მიზანმიმართულობა და აუცილებლობა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას," - აღნიშნა რეზო საყევარიშვილმა.

მისივე თქმით, ამ მუხლით ("სხვა ხარჯები" - ნაკლებად გამჭვირვალე) შარშან ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის პირველი თვეების განმავლობაშიც იგივე ტენდენციები შეინიშნება, **"ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა სერიოზული ხარვეზებით იგეგმება და ხორციელდება, რაც უკვე შეუქცევადი მანკიერი პრაქტიკის სახეს იღებს,"** - ნათქვამია ცენტრის მიერ მომზადებულ სპეციალურ ბროშურაში.

სსბ-ზე 535 ათასი ლარის ღირებულების აქცია გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ხუთშაბათს გამართულ, რიგით 34(619)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 12 კომპანიის აქციები, რომელთაგან გარიგება დაიდო 4 კომპანიის აქციებზე - საქართველოს ბანკი (GEB), უნივერმაღი "თბილისი" (UTB), "გაერთიანებული ქართული ბანკი" (UGB) და "სამგორი" (SAMG). როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ბირჟიდან აცნობეს, დადებული გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 27, ჯამური მოცულობა - 252,796 ფ/ქ, ხოლო ჯამური ღირებულება - 535,227.90 ლარი. **პრაიმ-ნიუსი**

ბენდუქიძის კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან

აშშ-ს ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრი ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას ეჭქვქვეშ აყენებს. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის კოორდინირებით მომზადდა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კონტროლს დაქვემდებარებული საბანკო გადარიცხვის მოცულობის 30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ამასთანავე, კონტროლის გარეშე რჩება საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ გადარიცხული თანხები. ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელებისას ოპერაციის მწარმოებელი პირის იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, თუ თანხა 6 000 ლარს აღემატება. ესაძის განმარტებით, საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ პოლიტიკას, რაც შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაზე იყო ორიენტირებული და რაც ქვეყნის მთავრობამ საერთაშორისო ვალდებულებებით იკისრა. ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა ცენტრმა საკუთარი შენიშვნები საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგინა. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

სემეკ-მა ელექტროენერგიის ტარიფის განხილვა მომავალი კვირისათვის გადადო

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფის განსაზღვრის საკითხი მომავალი კვირისათვის გადადო. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს სემეკ-იდან აცნობეს, ახალი ტარიფის დამტკიცების პროცედურა კომისიას 5 მაისს უნდა დაეწყო, თუმცა ტექნიკური საკითხების შეუთანხმებლობის მიზეზით, პროცედურა 11 მაისისთვის გადიდო. სემეკ-ს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფში კუთვნილი წილების გაზრდის მოთხოვნით თბილისის ელექტროგამანაწილებელმა კომპანია "თელასმა" და რეგიონულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა მიმართეს. საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებით, თბილისში დენის ტარიფი 1 კილოვატსაათზე, სავარაუდოდ, 12,18 თეთრიდან 15 თეთრამდე, ხოლო რეგიონებში 8,5 თეთრიდან 14 თეთრამდე გაზრდება. ასევე მოსალოდნელია დენის სოფეხურებრივი ტარიფის შემოღებაც. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

"იუნიბანკი" იპოთეკური პორტფელის გაფართოებას გეგმავს

"იუნიბანკი" ერევანში გახსნილ ახალ ფილიალში იპოთეკური მომსახურების ცენტრს გახსნის. ამის შესახებ სომხური საინფორმაციო სააგენტო "ნოიან ტაპანის" ინფორმაციით, ბანკის ხელმძღვანელმა გაგიკ ზაკარიანმა განაცხადა. მისი განმარტებით, ბანკის ფილიალი ერევანის მოსახლეობას იპოთეკურ კრედიტებს დაჩქარებული წესით შესთავაზებს. მისი განმარტებით, "იუნიბანკის" იპოთეკური პორტფელი ამჟამად 5 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, ხოლო 2006 წლის ბოლომდე ის 20 მლნ დოლარამდე გაიზრდება. "იუნიბანკის" წარმომადგენელთა განცხადებით, ბანკი კლიენტებს 10-წლიან იპოთეკურ კრედიტებს სთავაზობს 16-პროცენტიანი წლიური განაკვეთით, უძრავი ქონების ღირებულების 30 პროცენტის წინასწარი გადახდის პირობით. ბანკი მომავალში ამ პირობების კლიენტების სასარგებლოდ გაუმჯობესებას გეგმავს. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

BMW-მ რეკორდი მოხსნა

გერმანულმა საავტომობილო კონცერნმა BMW-მ გაყიდვისა და მოგების თვალსაზრისით რეკორდი მოხსნა. 2006 წლის პირველ ნახევარში, საავტომობილო კომპანიამ 332 923 ავტომობილი გაყიდა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 12%-ით მეტია. კომპანიის საერთო მოგება კი დაახლოებით 53%-ით გაიზარდა და ამ ეტაპზე 1,3 მილიარდ ევროს შეადგენს. ამასთან, Rolls-royce-ის საავიაციო განყოფილებამ, რომელიც კომპანია BMW-ს საკუთრებაშია, მოგების თვალსაზრისით, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. კომპანიის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მმიმდინარე წლის ბოლოსთვის კომპანიის მოგება ოთხ მილიარდ ევრომდე გაიზრდება.

ბერეზოვსკი ბრაზილიური ავიაკომპანიის შესყიდვას აპირებს

ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი

ერთ-ერთი უმსხვილესი ბრაზილიური ავიაკომპანიის Viacao Aerea Rio-Grandense "Varig"-ის შესყიდვას აპირებს. ავიაკომპანიის წარმომადგენელმა "Wall Street Journal Online"-თავ-ნ საუბრისას განაცხადა, რომ ბერეზოვსკიმ გასულ კვირას Varig მოინახულა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობაც შეისწავლა. ამის შემდეგ კი მან ბრაზილიური ავიაკომპანიის შესყიდვის შესახებ უკვე ოფიციალური განცხადება გააკეთა. კომპანია Varig-ს, ბოლო წლების მანძილზე სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. მისი ვალი დაახლოებით 8 მილიარდ ბრაზილიურ რეალს (3,9 დოლარს) შეადგენს. ბერეზოვსკის გარდა ავიაკომპანიას შესყიდვის სხვა მსურველებიც ყავს. ერთ-ერთი მათგანი კომპანიის ხელმძღვანელობას 400 მილიონ დოლარს სთავაზობს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე კომპანიის რესტრუქტურიზაციის გეგმებზე მსჯელობა მიმდინარეობს. Varig ერთ-ერთი უმსხვილესი ბრაზილიური საერთაშორისო ავია გადამყვანია. ის მსოფლიოს დაახლოებით 25 ქალაქში აკეთებს რეისებს და ამასთან, "Star Alliance"-ის შემადგენლობაშიც შედის.

ამერიკული კომპანიები მეძავებისთვის ფეხსაცმელებს უშვებენ

ამერიკული კომპანიები პროექტ Aphrodite-ს ფარგლებში მეძავებისთვის სპეციალურ ფეხსაცმელს გამოუშვებენ. ახალი "სეც-ფეხსაცმელი" სატელიტური ნავიგაციის სისტემით, თხევადკრისტალური დისპლეითა და სიგნალიზაციით იქნება აღჭურვილი. პროექტ Aphrodite-ს ავტორები აცხადებენ, რომ "ღამის პეპლებისთვის" შექმნილი სპეციალური ფეხსაცმელები მათი მუშობის უსაფრთხოების გარანტი იქნება. ფეხსაცმელები პლატფორმის ძირზე შეიკერება და მასში GPS გადამცემი ჩამონტაჟდება. აღნიშნული მოწყობილობა, ღამის დაწესებულებებს, გაუთვალისწინებელ სიტუაციებში მეძავების ადგილმდებარეობის დადგენაში დაეხმარება. ფეხსაცმლის ძირზე დამონტაჟებული სპეციალური სიგნალიზაცია ბოროტმოქმედებს დააფრთხობს, ხოლო თხევადკრისტალური დისპლეი და ციფრული ვიდეო მეძავებს თავისუფალ დროის გაყვანაში დაეხმარება. ღამის პეპლების "სპეც-ფეხსაცმელებს" საზოგადოებას ნიუ-იორკის სალონებში, 2-13 მაისამდე იხილავს. ახალი ფეხსაცმელების ღირებულება ჯერ ცნობილი არ არის.

უმდიდრესი ოცნების მართვა

პირველი გვერდიდან

ფეიქროგიდან ავტომშენებლობამდე

იაპონური მენტალიტეტი ადაიმიანებს დიდებული მაგალითებისათვის მიბაძვისაკენ აქეზებს. ითვლება, რომ ყველაფერი კარგი და მშვენიერი გადმოსაღებია. ამიტომაც, კორპორაცია Toyota-ს არასოდეს სრცხვენოდა ამერიკელი და ევროპელი ავტომწარმოებლების გამოგონებების კოპირება. დღეს კი მთელი მსოფლიო იაპონელებისაგან ბიზნესის მართვის გამოცდილების გადმოღებას ცდილობს.

Toyota-ს პირველ ავტომობილს იაპონურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. დღემდე, Toyota-ს მუზეუმის მონახულებისას ამერიკელი ტურისტები გაოცებული უცქერენ ექსპოზიციის გამხსნელ ავტომობილს, რომელიც ძალიან გავს Crysler Airflow-ს, თუმცა, პირველ იაპონურ ავტომობილად კი ითვლება.

საქმე იმაშია, რომ კომპანიის დამაარსებელი კიიშირო ტოიოდა საკუთარი მოდელის შემუშავებაზე არც ფიქრობდა, რადგან ამისათვის საჭირო ფული და გამოცდილება არ გააჩნდა. 1933 წელს მან მამის, საკიჩი ტოიოდას გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო ქალაქ კომოტოში (მოგვიანებით ტოიოტა ეწოდა) მდებარე ტრიკოტაჟის ფაბრიკა და მისთვის საჭირო დანადგარების მწარმოებელი კომპანია და გადაწყვიტა ეს ბიზნესი არ გაეგრძელებინა. კიიშირომ სართავი მანქანების გამოშვების პატენტი ერთ-ერთ ინგლისურ კომპანიას 100 ათას ფუნტ სტერლინგად მიყიდა და 1935 წელს ავტომშენებელი განყოფილება Toyota Automatic Loom Works გახსნა, რომლისგანაც 3 წლის შემდეგ წარმოიშვა კომპანია Toyota Motor Corporation.

ცხადია, ჩნდება შეკითხვა, რატომ შეცვალა თავის გვარში ერთი ასო ტოიოდამ და თავის პირმშოს "ტოიოტა" უწოდა. საქმე იმაშია, რომ იაპონური იეროგლიფით ტოიოდას დასაწერად ფუნჯის ცხრაჯერ მოქნევაა საჭირო. ეს რიცხვი კი ამომავალი მზის ქვეყანაში უიღბლობის სიმბოლოდ ითვლება და ახალი წარმოება რომ წარმატებული ყოფილიყო, ტოიოდამ იგი რვამდე შეამცირა. აი, ეს რიცხვი კი იაპონიაში ბედნიერების, სიმდიდრის და აყვავების სიმბოლოა. როგორც ხედავთ, მართლაც ასე ყოფილა.

ფირმის ფესვების ხსოვნის უკვდავსაყოფად ტოიოდა უმცროსმა თავისი ავტომარკის ლოგოტიპად ასო T და გადახლართული ორი ტრიკოტაჟული ყულფი აირჩია. გარდა ამისა, მამის კომპანიის უმთავრესი საწარმოო პრინციპი შეინარჩუნა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ, ძაფის გაწყვეტისას, ქსოვილი რომ არ დაზიანებულიყო, საკიჩი ტოიოდას მიერ გამოგონებული სართავი დაზგა უმალ ავტომატურად წყვეტდა მუშაობას. დღემდე Toyota-ს ქარხნებში არსებობს წესი: როგორც კი კონვეიერზე ერთ მუშას პრობლემა შეექმნება, მან მთელი ხაზი უნდა გააჩეროს, რომ წუნი თავიდან აიცილოს. ამიტომაც არის, Toyota-ს ავტომობილები საიმედოობით განთქმული.

1936 წელს Toyota-მ თავისი პირველი, A1, მოგვიანებით AA-დ წოდებული მოდელის მსუბუქი ავტომობილი გამოუშვა, რომლის ამერიკულ წარმომავლობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იმავე წელს დამზადდა პირველი საექსპორტო პროდუქცია - G1 მარკის ოთხი სატვირთო ავტომობილი, რომლებიც ჩრდილოეთ ჩინეთში გაიგზავნა.

კიიშირო ტოიოდას იაპონური ავტომწარმოების ნათელი მომავლის იმდენად სჯეროდა, რომ მთელი თავისი ქონება Toyota Motor Co-ს ახალი ქარხნის მშენებლობას მოახმარა, რომელიც 1938 წელს ქალაქ ხოდოშეში გაიხსნა.

რესურსების ეკონომია

იმის ნაცვლად, რომ მნიშვნელოვანი კაპიტალი საკუთარ ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და ტექნოლოგიური ბაზების შექმნაში ჩაედო, Toyota-მ აქცენტი უახლესი ტექნოლოგიების იმპორტსა და მათ სრულყოფაზე გააკეთა. ამგვარმა სტრატეგიამ, გარკვეული დროის განმავლობაში, აშკარად გაამართლა.

საერთოდ, იმ დროს იაპონიაში მეწარმეობისათვის ხელის მოკიდება რთული საქმე იყო, რადგან ქვეყანაში ნედლეული თითქმის არ არსებობდა. რომ არა ძირითადი რესურსის - საოცრად შრომისმოყვარე იაპონური მუშახელის სიჭარბე, შეიძლება, Toyota-ს ისტორია მეტად ხანმოკლე გამოსულიყო. მის მეპატრონეს ეს

მშვენივრად ესმოდა, მან პრობლემა სწრაფად გაანალიზა და 1941-42 წლებში შექმნა მეტალურგიული და ჩარხმშენებელი შვილობილი კომპანიები. თანაც, ნედლეულის იმპორტზე ზრუნვასაც შეუდგა.

განსაკუთრებით ცნობილი, კომპანიის თანამშრომლის ტაიჩი ონოს მიერ შემუშავებული, იმ დროისათვის ბიზნესის წარმოების უნიკალური სისტემა "კაიძენი" გახლავთ. ახალი სისტემა თანდათანობით, ყოველდღიურ განვითარებასა და ყოველგვარი დანაკარგის აღმოფხვრას ეფუძნებოდა. Toyota-ს საწარმოებში მისი დანერგვა კომპანიის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად იქცა.

ასლიდან ორიგინალამდე

1947 წელს კომპანიამ გამოუშვა ახალი მოდელი Toyota SA, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სამი წლის შემდეგ კი კიიშირო ტოიოდას ინიციატივით რეალიზაციის განყოფილება დამოუკიდებელ კომპანიად Toyota Motor Sales Co-დ გადაკეთდა.

1952 წელს, როცა კიიშირო ტოიოდას ბიზნესს აყვავების ხანა დაუდგა, იგი გარდაიცვალა და კომპანიას სათავეში მისი უფროსი შვილი სოიშირო ჩაუდგა, რომელიც მამის საქმის მშვენიერი გამგრძელებელი აღმოჩნდა. ამ დროისათვის, სხვა იაპონელი ავტომწარმოებლებისაგან განსხვავებით, Toyota-მ დასავლური კომპანიებისაგან ლიცენზიების შესყიდვა შეწყვიტა და საკუთარი ორიგინალური კონსტრუქციების შემუშავებას შეუდგა. Toyota-მ ძახალი იდეების შემოთავაზების" რევოლუციური სისტემა დანერგა: საწარმოო ციკლისა და ტექნოლოგიების დახვეწისაკენ მიმართული საქმიანი იდეებისათვის კომპანია თავის პერსონალს გვარიან პრემიას უხდიდა.

ამ პერიოდში გაიზარდა წარმოებული ავტომობილების ასორტიმენტი, გამოუშვეს ჯიპის ტიპის მანქანა BJ, რომელსაც მოგვიანების Land Cruiser ეწოდა, და მშვენიერი Toyota Crown. კომპანია სულ უფრო გულმოდგინედ ცდილობდა მსოფლიო ბაზარზე გასვლას.

თუმცა, პირველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. 1955 წელს გამოშვებული მსუბუქი მანქანა Toyota Crown იაპონიაში ძალიან პოპულარული იყო როგორც ე.წ. საოჯახო ავტომობილი, მანევრირების, საიმედოობის, კომფორტისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით დასავლურ მოდელებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ამერიკული ჩქაროსნული ავტოსტრადებისათვის იგი უვარგისი აღმოჩნდა და 1957 წელს მისი აშშ-ში ექსპორტი კრახით დასრულდა. ამავე წელს შეიქმნა Toyota Motor Sales-ის ამერიკული განყოფილება.

Toyota-ს ინჟინრებმა პირველი წარუმატებლობიდან შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს და რეფორმების ექვსწლიანი პროგრამა შეიმუშავეს. ავტომობილის რეკონსტრუქცია სარეკორდოდ მოკლე დროში, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა. თანაც, ბაზრის გულმოდგინე შესწავლის შედეგად კომპანიამ საკუთარი ნიშა იპოვნა და მალე ეკონომიური და კომფორტული ავტომობილები Toyota Corona და მოდერნიზებული Toyota Crown შტატებში პოპულარული გახდა.

1959 წელს კომპანიამ ავტომობილების წარმოება ბრაზილიაში დაიწყო. გაიხსნა Toyota Motor Sales-ის ავსტრალიური განყოფილება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზრის ათვისებას ხელი შეუწყო პატარა ეკონომიური მანქანის Toyota Publica-ს გამოშვებამ.

ერთიდან ას მილიონამდე და შემდეგ

1962 წელს Toyota-ს მიერ გამოშვებული ავტომობილების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა. აგრეთვე, გაიხსნა ქარხნები სამხრეთ აფრიკასა და ტაილანდში. უცხოური ბაზრის ათვისებაში ძალიან დიდ წვლილი შეიტანა 1966 წელს გამოშვებულმა Toyota Corolla-მ. ერთი წლის შემდეგ კომპანიამ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა იაპონურ ავტომწარმოებელთან Hino-სთან და Daihatsu Motor-თან.

თანდათანობით იქმნებოდა წარმოების ოპტიმალური მასშტაბი, საჭირო სისტემა და იხვეწებოდა ტექნოლოგიები. 70-80-იან წლებში Toyota-მ ძრავებში უამრავი ტექნიკური სიახლე დანერგა. ამავე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ავტომობილების უცხოეთში ექსპორტი და კომპანიამ რამდენიმე ქარხანა სხვა ქვეყნებშიც გახსნა.

ყველაფერ ამას წინ უძღოდა 1973 წლის ე.წ. "ნავთობის შოკი". ბენზინზე ფასის მკვეთრად ზრდის გამო მყიდველები უპირატესობას მცირეგაბარიტიან, ეკონომიურ ავტომობილებს ანიჭებდნენ. Toyota-ს კონსტრუქტორები კი, შიდა ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით, სწორედ ამგვარ მოდელებზე მუშაობდნენ. ამერიკელები მზად იყვნენ იაფ და ეკონომიურ იაპონურ ავტომობილებს თვეობით დალოდებოდნენ. ასე რომ, კომპანიამ წარმოება გააფართოვა და პარალელურად ნედლეულის ეკონომია კიდევ უფრო გაამკაცრა. შეიძლება ითქვას, ნარჩენებისაგან შექმნეს მატერიალური რეზერვი, რომელიც ახალი მოდელების: Sprinter-ის, Carina-ს და Celica-ს გამოსაშვებად საკმარისი აღმოჩნდა. 1972 წელს კომპანიის მიერ გამოშვებულმა ავტომობილების რაოდენობამ 10 მილიონს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვაგვარი დაბრკოლებები, შეფერხების ნაცვლად, კომპანიის ტექნიკურ და ფინანსურ პროგრესს იწვევდა. 1970 წელს აშშ-ს კონგრესმა გამონაბოლქვი აირების წინააღმდეგ მიმართული კანონი მიიღო. ცოტა ხანში, იანკებს ამომავალი მზის ქვეყანაშიც მიბაძეს. ასე რომ, Toyota იძულებული გახდა ახალი, უფრო ეფექტური გამოსაბოლქვი სისტემის შესაქმნელად სერიოზული თანხა გამოეყო.

შედეგად, იაპონელებმა ისეთ პროგრესს მიაღწიეს, რომ 1974 წელს ავტომობილის ექსპორტის მხრივ გერმანელებს გადაუსწრეს და მას შემდეგ პირველობას არავის უთმობენ. 1978 წელს Toyota-მ გამოუშვა ახალი მოდელი Tercel, რომელიც კომპანიის პირველი წინახიდიანი ავტომობილი იყო.

საწარმოო ნარჩენების ეკონომიასთან ერთად, როგორითაც ვერც ერთი კომპანია ვერ დაიკვეხნის, Toyota-მ შეძლო მეტად მოქნილი საწარმოო სისტემის დანერგვა. სიახლის არსი, დასავლური კომპანიებისაგან განსხვავებით, ერთი კონვეიერით მოდელების მცირე სერიის გამოშვებასა და ამგვარად სხვადასხვა გემოვნების მქონე, ფართო კლიენტურის დაკმაყოფილებაში მდგომარეობდა.

შედეგად, უკვე 80-იანი წლების დასაწყისში იაპონია მეტ ავტომობილს უშვებდა, ვიდრე ამერიკა, ხოლო ამ თვალსაზრისით Toyota მხოლოდ "ჯენერალ მოტორსს" ჩამორჩებოდა. ამავე პერიოდში დაიწყო მოდელ Camry-ს გამოშვება.

1982 წელს განხორციელდა კომპანიების Toyota Motor Co-ს და Toyota Motor Sales Co-ს შერწყმა და შეიქმნა Toyota Motor Corporation. ერთი წლის შემდეგ კომპანიამ კონტრაქტი გააფორმა "ჯენერალ მოტორსთან", რომლის მიხედვითაც აშშ-ში მათ საერთო საწარმოში ავტომობილების გამოშვება დაიწყეს.

80-იანი წლების ბოლოს Toyota-მ გამოუშვა ახალი მოდელები: Corsa, Corolla2, 4runner, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 1988 წელს გამოშვებული Lexus გახლდათ, რომლითაც კომპანიამ ძვირფასი, მაღალი კლასის ავტომობილების სექტორი აითვისა.

90-იანი წლების დასაწყისში Toyota-მ დილერული ხელშეკრულება გააფორმა "აუდისთან" და "ფოლკსვაგენთან", დაიწყო ავტომობილების გამოშვება ბრიტანეთში, შეუდგა აღმოსავლეთევროპული ბაზრის ათვისებას და გახსნა საკუთარი დიზაინერული ცენტრი Tokyo Design Center. 1997 წელს წელს შეიქმნა მოდელები: Prius, Coaster და Rav4, ერთი წლის შემდეგ გამოვიდა საკულტო ჯიპი Land Cruiser 100 და Toyota-მ შეიძინა Daihatsu-ს საკონტროლო პაკეტი. 1999 წელს Toyota-ს მიერ გამოშვებული ავტომობილების რიცხვმა 100 მილიონს მიაღწია.

2002 წლიდან Toyota მონაწილეობას იღებს ფორმულა 1-ში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კომპანიას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჰიროში ოკუდა ხელმძღვანელობს, რომელსაც ეკუთვნის სწორედ Toyota-ს სარეკლამო სლოგანი "მართე ოცნება". კომპანიის მიერ გამოშვებული ავტომობილების რიცხვი გამუდმებით იზრდება და, როგორც აღვნიშნეთ, Toyota მსოფლიოს უმდიდრესი ავტომწარმოებელი გახლავთ.

აშშ-ს ბირჟაზე მატებაა



გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდესთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის დაცემამ და დამაიმედებებლმა კორპორაციულმა სიახლეებმა.

კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ 6,8 პროცენტით გაიზარდა ამერიკული სავაჭრო გიგანტის Wal-Mart stories-ის გაყიდვების რაოდენობა. მეორე უმსხვილესი ამერიკული სავაჭრო კომპანიის Costco-ს ინფორმაციით კი მისი გაყიდვების რაოდენობამ 7 პროცენტით მოიმატა. ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია უახლოეს

მომავალში Microsoft-ის მიერ ახალი ონლაინ-სერვისის AdCenter-ის წარმოდგენის შესახებ, რომელმაც კონკურენცია Google-ს უნდა გაუწიოს.

გასულ კვარტალში თავისი მოღვაწეობის ანგარიში გამოაქვეყნა საავტომობილო საბურავების მწარმოებელმა უმსხვილესმა ამერიკულმა კომპანიამ Goodyear Tire & Rubber Co-მ, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ პერიოდში, კომპანიის მოგებამ 74 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 8,8 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,41 პროცენტით, 11.446,94 პუნქტამდე მოიმატა, 0,56 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.316,81 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,37 პროცენტით, 1.312,64 პუნქტამდე გაიზარდა.

ნავთობი მოულოდნელად გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე ნავთობის ფასი საშუალოდ 2 დოლარით შემცირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 72,65 დოლარი შეადგინა, ბარელი Light-ის მარკის ნავთობი კი 72,28 დოლარამდე გაიაფდა.

ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში პირველად ამერიკაში ბენზინის მარაგის გაზრდის შესახებ ქვეყნის ადმინისტრაციის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა. ამასთან, სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები თავიანთი ჭეშმარიტი შესაძლებლობის 88,8 პროცენტით მუშაობენ, რაც წინა კვირის მაჩვენებელთან შედარებით 0,6 პროცენტით მეტია.

თუმცა, მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ნავთობის გაიაფების ტენდენცია დიდ ხანს არ შენარჩუნდება, რადგან კვლავ არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებით ბაზარზე ნეგარიურ გავლენას ახდენს. საუბარია ირანის ბირთვული პროგრამის, ერაყსა და ნიგერიაში არსებული დაძაბულობისა და ბოლივიასა და ვენესუელაში შექმნილი სიტუაციის შესახებ.

ოქროსა და სავალუტო რეზერვების მიხედვით რუსეთმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა

რუსეთის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზერვების რაოდენობა კიდევ 8,6 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 225,7 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამგვარად, რუსეთის ამჟამინდელმა ოქროსა და სავალუტო რეზერვების რაოდენობამ ყველა დროის მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია.

რუსეთმა უკან ჩამოიტოვა სამხრეთ კორეა, რომლის ოქროსა და სავალუტო რეზერვების რაოდენობა 218 მილიარდ დოლარს შეადგენს და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ამ მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოში პირველი ჩინეთია, რომელსაც იაპონია და ტაივანი მოჰყვება. ამ სამი ქვეყნის დაწევას, მიუხედავად ზრდის გრანდიოზული ტემპებისა, რუსეთი უახლოეს მომავალში ნამდვილად ვერ მოახერხებს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ოქროსა და სავალუტო რეზერვების ზრდა 2005 წლის 18 ნოემბრის შემდეგ გამუდმებით გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში რუსულმა რეზერვმა 62,5 მილიარდი დოლარით, ანუ, 38 პროცენტით მოიმატა, რისი მიზეზიც ქვეყნის შიდა ბაზარზე ცენტრობანკის მიერ ამერიკული ვალუტის აქტიური შეძენა გახლავთ.

512 მილიარდი პენტაგონს

აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვით 2007 წლის სამხედრო დანახარჯერი 512 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ამ თანხიდან 50 მილიარდი ერაყსა და ავღანეთში ჩასატარებელ ოპერაციებზე დაიხარჯება. ამასთან, პალატის კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვით მოქმედ არმიაში ჯარისკაცთა რიცხვი 30 ათასი ადამიანით, ანუ 6 პროცენტით გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი ყოველწლიურად სერიოზულად იზრდება. კერძოდ, 2005 წელს პენტაგონმა 447 მილიარდი დოლარი დახარჯა, მიმდინარე წელს 449,6 მილიარდი აქვს გამოყოფილი, ხოლო 2007 წელს, როგორც აღვნიშნეთ, 512 მილიარდს მოიხმარს.

არაბი შეიხი Roberto Cavalli-ის ბრენდს ყიდულობს

საუდის არაბეთის შეიხი სალახ ალ-ბალავი ცნობილი იტალიელი დიზაინერის, რობერტო კავალის ბიზნესში საკონტროლო წილს ყიდულობს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი უკვე ფინალურ ფაზაში შედის, შესყიდვის შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. არაბი შეიხი ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე მაღალტექნოლოგიური კომპანიის მფლობელია. როგორც ცნობილია, შეიხი რობერტო კავალის ოჯახთან დაახლოებული პირია. იგი აცხადებს, რომ 60-%-იან აქტივებში 600 მილიონ დოლარს გადაიხდის.

იტალიელმა დიზაინერმა თავისი სამოდელო ბიზნესი ერთ მილიარდ დოლარად შეაფასა. კავალი გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს. "ჩემი სამოდელო ბიზნესი მილიარდ დოლარად არის შეფასებული. 60%იან აქტივების გაყიდვის თაობაზე შემოთავაზება უკვე მივიღე, თუმცა ვფიქრობ, რომ აქციები რამდენიმე მყიდველზე გადავანაწილო"-აცხადებს იტალიელი დიზაინერი.

Roberto Cavalli-ის ბრენდი ქალისა დამამაკაცის, ტანსაცმელს, თეთრეულს, ფეხსაცმელსა და აქსესუარებს უშვებს. მან სამოდელო ბიზნესი 1972 წელს დაიწყო. 80-90-იან წლებში კავალის სამოდელო სახლი ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა. ბოლო წლებში, კი მარკა Roberto Cavalli სულ უფრო იზიდავს მსოფლიოში წამყვან მოდის სახლებსა და ჟურნალებს. დიზაინერთან მსოფლიოში ცნობილი მრავალი ადამიანი იმოსება, მათ შორის არის ვიქტორია ბეკჰემი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესმენ-დიზაინერის საქმიანობით, ცოტა ხნის წინ სასამართლო დაინტერესდა. გადასახადების გადახდისგან თავის არიდების გამო მას 14 თვიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. კავალი სასამართლოს ბრალდებას კავალი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ვიდეოთამაშების კონცერნი ახალ Nintendo Revolution-ს გამოუშვებს

ვიდეოთამაშების კონცერნი Nintendo Revolution-ის ახალ თაობას გამოუშვებს. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალ მოწყობილობას wii-ს დაარქმევენ.

"სახელწოდებამ Wii-მ მოთამაშე ადამიანებს შორის ერთიანობის გრძნობა უნდა გაზარდოს. ვიზუალურად ის, ერთმანეთის პირისპირ მდგარ ორ ადამიანს მოგვაგონებს. ჩვენ ძალიან პროგრესული კომპანია გვაქვს და გვსურს, რომ სახელწოდებამაც მიუთითოს ჩვენს უნიკალურობაზე,"-აცხადებს კომპანიის ხელმძღვანელი პერინ კალანი. Wii, რომელიც მიმდინარე წლის ბოლო მეოთხედში იხილავს დღის სინათლეს, microsoft Xbox 360-ზე და Sony PlayStation3-ზე იმუშავებს. მანამდე Nintendo სხვა მოწყობილობებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ რომ მას მომხმარებელი ისე მოიხმარდა, როგორც დისტანციური მართვის საშუალებას. კომპანიის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მომხმარებლებმა, შესაძლოა, სწორად ვერ გამოთქვან ახალი სახელწოდება, რისთვისაც ის დიდი სარეკლამო კამპანიის ჩატარებას აპირებს. კომპანიის სამომავლო გეგმები ვიდეოკლიპებისა და სატელევიზიო რეკლამების დემონსტრირებასაც ითვალისწინებს.

ამინდი

	5/05	6/05	7/05
კიევი	15	15	16
რიგა	20	20	20
ვილნიუსი	19	16	17
მოსკოვი	22	21	15
მინსკი	20	19	18
პარიზი	20	18	19
რომი	22	21	21
ლონდონი	20	17	16
მადრიდი	21	23	24
ბონი	22	21	18
ვარშავა	20	17	19
ათენა	20	21	25
ბერნი	18	16	20
ამსტერდამი	18	19	18
ოსლო	15	20	19
ანკარა	16	20	20
ვარნა	19	20	19
დელი	50	52	49
ტოკიო	22	22	17
ბაქო	21	23	25
ერევანი	27	26	28
ასტანა	2	0	11
ჰელსინკი	16	17	17
დუბლინი	8	9	8
ლისაბონი	21	19	19
პრაღა	18	17	15
სოფია	18	19	21
ბუდაპეშტი	21	17	17
ბუხარესტი	21	23	20

იმპორტირებული საიუველირო ნაწარმის დიდი ნაწილი განუბაჟებელია

პირველი გვერდიდან

შარშან დეპარტამენტის ყოფილი თავკაცი გიორგი გოდაბრელიძე თანამდებობის დატოვებამდე აღიარებდა, რომ ქვეყანაში შემოტანილი საიუველირო საქონლის თითქმის ნახევარი განუბაჟებელი იყო, რომლის აღრიცხვასაც მისი სამსახური უფრო ხშირად ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ახერხებდა. **"მაგალითად, ოქროულობა კაცმა შეიძლება ჯიბეში ჩაიდოს და აეროპორტით ისე შემოიტანოს, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს. ჩვენს დეპარტამენტს იმის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობაც კი არ გააჩნია, რომ ჩანთა დეტალურად დაათვალიეროს,"** - აცხადებდა გოდაბრელიძე გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე.

როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები აცხადებენ, დღეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა მხოლოდ სარფის, ფოთისა და წითელი ხიდის საბაჟო-გამშვებ პუნქტებს გააჩნიათ, სხვა დანარჩენ შემთხვევაში სარეალიზაციოდ შემოტანილი საიუველირო ნაწარმის სრული კონტროლი, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სხვათა შორის, ამ ფაქტს ქართველი იუველირებიც აღიარებენ და არსებული საბაჟო კანონმდებლობის ნაკლოვანებით ხსნიან. მათი თქმით, დღევანდელი საბაჟო კოდექსი ნებისმიერ იუველირს აიძულებს, ძვირფასი ლითონები ქვეყანაში ფარულად შემოიტანოს.

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კანონმდებლობა ნებისმიერ პირს აძლევს იმის უფლებას, რომ მის საკუთრებაში არსებული (განუსაზღვრელი რაოდენობის) საიუველირო ნაწარმი განუბაჟებლად შემოიტანოს. **"თუკი პირს ხელზე ან ყელზე უკეთია ოქროულობა ან სხვა საიუველირო პროდუქტი, რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს ის, ჩვენ მის განბაჟებას არ ვახდენთ. ეს მის საკუთრებად ითვლება და ის კანონით განბაჟებას არ ექვემდებარება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კახა ჭაბაშვილმა.

ცნობისათვის: სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში იმპორტირებული საიუველირო ნაწარმის რაოდენობამ 11 848 კილოგრამი შეადგინა. საიუველირო ნაწარმის თითქმის 80 პროცენტი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებზე მოდის. ინდოეთი, სომხეთი, გერმანია, თურქეთი, აშშ, უკრაინა, რუსეთი და შვეიცარია - ეს ის ქვეყნებია, საიდანაც საიუველირო ნაწარმის დიდი ნაწილი საქართველოში შემოდის.

დაზუსტებით იმის თქმა, თუ რამდენი ლარი აკლდება ყოველთვიურად ან, თუნდაც, ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტს, ძალიან რთულია, რადგან ამის არც ოფიციალური მონაცემები და არც მიახლოებითი ექსპერტული გათვლები არ არსებობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს მხოლოდ თბილისში დაახლოებით ათი ეგრეთ წოდებული "ოქროს ბირჟა" და კიდევ, ბევრად მეტი საიუველირო მაღაზია ფუნქციონირებს, რომლთა მიერ რეალიზებული პროდუქციის თითქმის 80 პროცენტი იმპორტირებულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე რამდენიმე ათეულ ან, იქნებ, ასეულ მილიონობით ლარის დანაკლისს ეხება.

ამ პრობლემის მოგვარება, იუველირების თქმით, მხოლოდ საბაჟო კოდექსის გამარტივებით, მასში შეტანილი სათანადო ცვლილებებითა და სახელმწიფოს მხარდაჭერით არის შესაძლებელი, როგორც ეს სამიოდე წლის წინათ თურქეთის ხელისუფლებამ გააკეთა. **"როცა ქართველ მეწარმეს ქვეყანაში საიუველირო ნაწარმის დასამზადებლად საჭირო მასალა შემოაქვს, საბაჟო გადასახდის გარდა, ის წინასწარ 20-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადითაც იბეგრება. ეს მაშინ, როცა მას ჯერ არა აქვს პროდუქცია დამზადებული. მართალია, მისი რეალიზაციის შემდეგ ამ 20 პროცენტს სახელმწიფო გვიქვითავს, მაგრამ წინასწარი გადახდის პრაქტიკა ძალიან ბევრ მეწარმეს წელში წყვეტს. რატომ არ შეიძლება, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა საიუველირო ნაწარმის მასალა ქვეყანაში შემოიტანონ საერთაშორისო ფასით და შემდეგ მოგებიდან გადაუხადონ სახელმწიფოს ყველა ის გადასახადი, რაც მათზეა დაკისრებული?"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საიუველირო სალონების დირექტორმა იულონ ბალაშვილმა.

ცნობისათვის - დღეს სახელმწიფო ოქროს არ ყიდის, როგორც ეს მეზობელ თურქეთში ან სხვა სახელმწიფოებში ხდება, ამიტომაც ადგილობრივი ბაზარი თითქმის მთლიანად იმპორტირებული ნაწარმით არის გაჯერებული.

ქართული ოქროს ყველაზე დიდ და თითქმის ერთადერთ ექსპორტიორად სს "მადნეული" და მისი შვილობილი "კვარციტი" რჩებიან. მათ მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი ოქროს მოცულობა წელიწადში 350-400 კილოგრამს აღწევს.

მოქმედი კანონმდებლობის კიდევ ერთი ხარვეზი, რაზეც იუველირები ხშირად მიუთითებენ და რაც მათ ბიზნესს ხელ-ფეხს უკრავს, ექსპორტირებულ პროდუქციას ეხება. **"აქ დამზადებული საიუველირო ნაწარმი, როდესაც რეალიზაციისთვის საზღვარგარეთ გადის, როგორც ეს ექსპორტის სხვა სახეობების შემთხვევაში, გათავისუფლებულია გადასახადისგან, მაგრამ თუკი მეწარმემ ვერ მოახერხა ამ პროდუქციის რეალიზაცია, უკან შემოტანის დროს მისი ნაწარმი, იმპორტის მსგავსად, 34 პროცენტით იბეგრება. ეს კი მეწარმეს ხშირად აიძულებს, რომ ექსპორტისგან თავი შეიკავოს,"** - ამბობენ ქართველი იუველირები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ამ სფეროში ქაოსი საბაჟო კოდექსის რადიკალურ ცვლილებამდე იარსებებს.

ახალი საბაჟო კოდექსის პროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაამტკიცა. მეორე მოსმენა მაისის ბოლოს არის დაგეგმილი და, როგორც მოსალოდნელია, დეპუტატთა უმრავლესობა კოდექსის არსებულ ვარიანტს მხარს დაუჭერს. პარლამენტში წარმოდგენილი კოდექსი, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ არსებით და რადიკალურ ცვლილებებს ითვალისწინებს, იუველირებთან და საიუველირო ნაწარმთან მიმრთებაში, პრაქტიკულად, არაფერი იცვლება.

P.S. ძნელი სათქმელია, როდის მოიცლის ქვეყნის ყველა შესაბამისი უწყება მეწარმეთა ამ კატეგორიის ინტერესების დასაცავად, თუმცა ერთი რამ აშკარაა, რომ პოსტრევოლუციური სახელმწიფო ასეთი "ფუფუნების" უფლებას საკუთარ თავს უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ვერ მისცემს.

ევროკავშირის ქვეყნები მხარს უჭერენ ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობას

ყაზახური გაზის თურქეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებად ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა განიხილება. ამის შესახებ აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, ყაზახეთის ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მინისტრმა ბაკტიკოჟა იზმუხაბეტოვმა ევროკომისიის ენერგეტიკულ საკითხთა კომისართან ანდრის პიებალგსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ყაზახი მინისტრის განმარტებით, ყახაზეთის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს, ევროკომისიას წარუდგინოს გაზსადენის მშენებლობის პროექტი მისი ფინანსური და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების გაგრძელების მიზნით. "ტრენდის" ინფორმაციით, ევროკომისარმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიოში მოხმარებული გაზის მთლიანი მოცულობის 19 პროცენტს მოიხმარენ.

მანვე აღნიშნა, რომ ევროპაში გაზის მოხმარების მაჩვენებელი კლიმატის შეცვლასთან და ენერგეტიკულ სფეროში ინვესტიციების მოცულობის ზრდასთან ერთად მატულობს. ევროკომისარის თქმით, ევროკავშირი გაზის მიწოდების ახალ დერეფნებს ეძებს და ამიტომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობაში, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ყაზახეთისთვის. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

ევროკავშირი აზერბაიჯანს 14 წელიწადში 419 მილიონით დაეხმარა

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS აზერბაიჯანში, რომელიც 2006 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, 2010 წლამდე გაგრძელდება, - ამის შესახებ აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდი" იუწყება. მისი ინფორმაციით, 1992 წლიდან დღემდე ევროკავშირმა აზერბაიჯანს 419 მლნ ევროს ღირებულების ტექნიკური დახმარება გაუწია, საიდანაც 127,5 მლნ ევრო TACIS-ის პროგრამაზე მოდის.

"ტრენდის" ინფორმაციით, აღნიშნული თანხები ინსტიტუციონალური, სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას და ეკონომიკურ განვითარებას მოხმარდა. ევროკომისიამ სასაქონლო უსაფრთხოების პროგრამისათვის 85 მლნ ევრო გამოყო, რაც ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა. 92 მლნ ევრო ევროკავშირმა აზერბაიჯანს ჰუმანიტარული დახმარებისათვის გამოუყო. **პრაიმ-ნიუს-ბიზნესი**

საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა შესაძლოა, შეჩერდეს

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, შესაძლოა, საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა შეაჩეროს. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოში ფონდი მორიგი მისიის დასრულების შემდეგ მიიღებს. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის ინიციატივით მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს იწუნებს, რომელიც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები მოამზადა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, ასევე მთავრობას გადაუგზავნა. კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ საკუთარ პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ფონდის სათაო ოფისსაც მიაწოდა.

სავალუტო ფონდი ეწინააღმდეგება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონპროექტის რამდენიმე პრინციპს, რომელიც საბანკო ტრანზაქციაში მონაწილე მხარის იდენტიფიკაციას, მონიტორინგს დაქვემდებარებულ ტრანზაქციებს, ერთი ნომინალის ბანკნოტების მეორე ნომინალზე გაცვლას, მონიტორინგს დაქვემდებარებულ პირებს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ინფორმაციის მიწოდების პრინციპებს, შესაფერისობის დადგენის პრინციპს, კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შესყიდვის მექანიზს, უცხოური ბანკების ბაზარზე შემოსვლის პრინციპის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირების საკითხს, ბანკში ანგარიშის გახსნისას წარსადგენი დოკუმენტაციის საკითხს, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გადასახდელებს, ფასიანი ქაღალდებით მეორადი ვაჭრობის პროცედურებს, კლიენტისათვის ანგარიშის გახსნის პროცედურებს ეხება.

აგრეთვე, სავალუტო ფონდს შენიშვნები გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ კანონთანაც.

სავალუტო ფონდს მიაჩნია, რომ ქვეყანაში ფულის გათეთრების ხელშეწყობას გამოიწვევს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირების გაუქმება.

როგორც სავალუტო ფონდის მიერ კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაშია აღნიშნული, FATF-ის რეკომენდაციებით უნდა მოხდეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება, რეგულირება და ზედამხედველობა. "ზედამხდველობა შეიძლება შემოიფარგლოს მინიმალური შესაფერისობის კრიტერიუმების დაწესებით და ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონთან შესაბამისობით. ლიცენზიების მოთხოვნების გაუქმება ეწინააღმდეგება საერთაშორისო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პრინციპებს. არაა საჭირო დაწესდეს მინიმალური მოთხოვნები აღჭურვილობისადმი," - ნათქვამია სავალუტო ფონდის მიერ გაკეთებულ დასკვნაში.

აგრეთვე, ფონდის ექსპერტები მიუღებლად მიიჩნევენ დაგეგმილ ცვლილებას კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შესყიდვასთან დაკავშირებით. დაგეგმილი ცვლილება ითვალისწინებს კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შესყიდვის განხორციელებას ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებლად. თუმცა, სავალუტო ფონდის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ცვლილება, შესაძლოა, გონივრული, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოსათვის არამიზანშეწონილი იყოს.

"წინასწარი თანხმობა საჭირო უნდა იყოს კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვანი წილის შეძენისას. ევროკავშირის დირექტივებით და ბაზელის ძირითადი პრინციპებით სწორედ წინასწარი თანხმობაა მოთხოვნილი," - ნათქვამია დასკვნაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი მისია საქართველოში მომავალ კვირას ჩამოვა და მისიის დასრულების შემდეგ გაირკვევა სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება მისი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

"ინტერპრესნიუსი" შეეცადა, სავალუტო ფონდის წარმომადგენლის რობერტ ქრისტიანსენისგან მიეღო პასუხი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა ქრისტიანსენმა შეკითხვა უკომენტაროდ დატოვა.

ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული დასკვნა არ შეიძლება ფონდის მისიის შეჩერების საფუძველი გახდეს. როგორც "ინტერპრესნიუსს" ალექსიშვილმა განუცხადა, "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული დასკვნა პროგრამის შეჩერების საფუძველი არ გახდება, რადგან ამ დასკვნაში მოტანილი რეკომენდაციების ნაწილი მთავრობამ კანონპროექტში უკვე გაითვალისწინა. "დარჩენილია რამდენიმე ტექნიკური საკითხი, რომელზე შეთანხმებაც სავალუტო ფონდთან მოხდება," - აღნიშნა მინისტრმა.

"ინტერპრესნიუსისთვის" დღეს ცნობილი გახდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით მოამზადა მთელი რიგი შენიშვნები, რომლის გაუთვალისწინებლობა, შესაძლოა, ფონდის პროგრამის შეჩერების საფუძველი გახდეს.

ინტერპრესნიუსი

ყაზმუნიგაზი ლიტვური ნავთობკომპანიის შეძენაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს

ყაზახეთის ნავთობისა და გაზის კომპანია "ყაზმუნაიგაზი" ლიტვური სანავთობო კონცერნის Mazeikiu nafta-ს აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს, - იუწყება რუსული მედია. "იუკოსის" შვილობილი კომპანიის მიერ კონტროლირებადი Mazeikiu nafta-ს აქციების ყიდვაზე ლიტვის მთავრობასთან მოლაპარაკებებში პოლონური კომპანია "PKN Orlen"-იც მონაწილეობს. რუსული გამოცემა gazeta.ru-ს ინფორმაციით, "ყაზმუნაიგაზი" Mazeikiu nafta-ს აქციათა 53,7 პროცენტში 1,2 მილიარდ აშშ დოლარის გადახდას აპირებდა, შემდგომ კი ფასი 100 მილიონი დოლარით გაზარდა.

პოლონურ კომპანიას ასევე მთავრობის მფლობელობაში არსებული აქციების ყიდვა სურს, და Mazeikiu nafta-ს აქციათა 94 პროცენტში ლიტვას 2,55 მილიარდ დოლარს სთავაზობს. როგორც ცნობილია, "ყაზმუნაიგაზი" თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის, "თბილგაზის" ყიდვითაა დაინტერესებული. "თბილგაზის" გაკოტრების პროცესი, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კვირის დასაწყისში განაცხადა, მაისის შუა რიცხვებში დასრულდება.

პრაიმ-ნიუს-ბიზნესი

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

კარლოს ალბერტო პარეირა: "რონალდინიო უკვე ისტორიაა"

C2

ჰოლ სქოულზი: "მე დავბრუნდები"

C3

"კლივლენდი" მეოთხედფინალში ითამაშებს

C4

ტყვიის მსროლელებმა მიზანი შეცვალეს

ტყვიის სროლის ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ნინო სალუქვაძემ ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

საქართველოს ტყვიის სროლის ეროვნულ ფედერაციას საქართველოს ფინანსური პოლიციის სამსახურის უფროსის მოადგილის, ოპერატიული დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან მხეიძის სახით ახალი "მსროლელი" ჰყავს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელმა, ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დაცვის სამსახურის ყოფილმა უფროსმა და მოგვიანებით საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ვახტანგ ქუთათელაძემ ტყვიის სროლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა.

გიგა გურასაშვილი

გუშინ ახალგაზრდობის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზმა ტყვიის სროლის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს უმასპინძლა. მიზეზი ფედერაციის პრეზიდენტის განცხადება გახლდათ, რომლის მიხედვითაც ქუთათელაძე თანამდებობას ტოვებდა. ყოველ შემთხვევაში, არჩევნებზე ქუთათელაძის განცხადება ასე გაგვაცნეს: დროის უკმარისობის გამო იძულებული ვარ, საკუთარი უფლებამოსილება შევწყვიტოო.

ტყვიის სროლის ფედერაციისთვის ახალი ხელმძღვანელის მოძიება გახდა საჭირო. ფედერაციამაც, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ფინანსური პოლიციის სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მხეიძეზე შეაჩერა არჩევანი. ტყვიის მსროლელებმა ღია კენჭისყრით მხეიძეს ერთხმად დაუჭირეს მხარი. არჩევნები არ შეხებია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივანს.

არჩევნების შემდეგ ფედერაციის გენერალურ მდივანს გივი ბოსტოღანაშვილს დავუკავშირდით.

- ლევან მხეიძის პრეზიდენტად არჩევის იდეა საიდან მოდიოდა?

- ეს ჩვენი, ახალგაზრდობის დეპარტამენტისა და ფედერაციის ერთობლივი ინიციატივა გახლდათ. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ. დელეგატთა ერთსულოვნებაც ამას ადასტურებს.

- ახალი სამოქმედო გეგმა თუ აქვს ახლად არჩეულ პრეზიდენტს...

- გეგმა ჩვენ დავახვედრეთ. ახლო მომავალში ეს გეგმა უფრო დაიხვეწება, მასში საკუთარ იდეებსა თუ შეხედულებებს ფედერაციის პრეზიდენტიც შეიტანს. პირველ რიგში ალბათ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

ჩვენი მთავარი საზრუნავი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და მისთვის მზადებაა. ასევე ახალგაზრდების დაოსტატება და მათთვის ხელშეწყობა, რათა სპორტის ამ სახეობაში ტრადიციები შევინარჩუნოთ.

- ნინო სალუქვაძემ პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის უკვე მოიპოვა ლიცენზია...

- კარგი იქნება, თუ ნინოსთან ერთად პეკინში კიდევ ერთი-ორი სპორტსმენი გვეყოლება.

თურქეთი გავძირეთ

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ორი დღის წინ სოფიაში ევროპის ჩემპიონატის საგზურის დასაუფლებლად გაემგზავრა, გუშინ საღამოს პირველი მატჩი გამართა თურქეთის ნაკრებთან.

სოფიის "დიანას საწყლოსნო სპორტკომპლექსში" საქართველოს ნაკრებს თურქეთის, კვიპროსის, რუსეთის, ბულგარეთისა და მოლდოვას ნაკრებები ჰყავს მეტოქებად. ფავორიტად რუსეთი ითვლება და ალბათ ევროპულ წყალში ბურთაობის უფლებასაც ის მოიპოვებს. მაგრამ არის კიდევ ერთი საგზური, რომლისთვისაც უშეღავათო ორთაბრძოლები გარდაუვალია. საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეჯგუფიდან კონტინენტის პირველობაზე გასასვლელად პირველი-მეორე ადგილების დაკავებაა საჭირო.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შეჯიბრების პირველ დღესვე შეძლო დაწინაურება და სადღეისოდ კარგი გუნება-განწყობაც შეიქმნა, მაგრამ იმის გამო, რაც გუშინ თურქეთთან მატჩში მოხდა, დღეს რაიმე პროგნოზის გაკეთება წარმოუდგენელია.

როდესაც სოფიაში ნაკრების მთავარ მწვრთნელს სოსო მაისურაძეს დავუკავშირდით და ანგარიში ვკითხეთ, გვიპასუხა, ვიცი, რომ მოვიგეთ, მაგრამ ანგარიში ზუსტად არ ვიციო. მერე ბიჭებს გასძახა, როგორ მოვიგეთო. ანგარიში 10:9 ყოფილა.

"ისე დაგვაწყდა ნერვები, იმას აღარ ვუყურებდი, ვინ რამდენი ბურთი შეაგდო. საშინელი მსაჯობა იყო. ოთხ პერიოდში ათ ქართველ წყალბურთელს დაატოვებინეს აუზი, თურქები კი მხოლოდ ორჯერ დასაჯეს ასე".

საქართველოს ნაკრებს დღეს უფრო მძიმე დღე აქვს. დილით კვიპროსის ნაკრებს ხვდება, საღამოს კი - რუსეთს.

"კვიპროსის ნაკრები თურქეთს ჩამოუვარდება, მაგრამ რუსეთი ძლიერია. მთავარი ბრძოლა სწორედ მათთან გვექნება".

"აზოტი" ფინალშია!

აზოტი - თსუ-ნიკორა 66:62
სერიის ანგარიში - 3:1

რუსთავში გაირკვა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ფინალისტის ვინაობა კალათბურთში. რუსთავის "აზოტმა" საკუთარ კედლებში, დაძაბულ ბრძოლაში - 66:62 დაამარცხა თსუ-ნიკორა და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ მატჩში რუსთაველთაგან ყველაზე შედეგიანი ზვიად ბაბიაშვილი იყო. მის ანგარიშზე 20 ქულა და 10 მოხსნაა. "სამწუხაროა, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ. უბრალოდ, გადამწყვეტ მომენტებში ბურთი ხელიდან გვივარდებოდა და უამრავ შეცდომას ვუშვებდით. ბოლო სამი შეტევა კი საერთოდ ვერ განვახორციელეთ, რადგან მოთამაშეები მოედანზე ეცემოდნენ", - განაცხადა თსუ-ნიკორას მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა.

რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმალაძემ კი თქვა, რომ გუნდებს ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდათ შესწავლილი მეტოქის თამაშის სტილი და ერთმანეთს საშუალებას არ აძლევდნენ კომბინაციები განეხორციელებინათ. სწორედ ეს არის დაბალი შედეგიანობის მიზეზი.

ფინალში "აზოტის" მეტოქე დღეს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში გაირკვევა, როცა გადამწყვეტ, მეხუთე მატჩში "თბილავიამშენი" და "სტუ-ჯეოსელი" წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ. მატჩი 16 საათზე დაიწყება.

ანრი ჟურნალისტთა რჩეულია

ლონდონის "არსენალისა" და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი ტეირი ანრი ბრიტანელ ჟურნალისტთა ასოციაციამ მესამედ დაასახელა წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ასეთი რამ პირველად მოხდა რეფერენდუმის თითქმის სამოცწლიან ისტორიაში.

მიმდინარე სეზონში ანრი "არსენალის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გაიყვანა. ფრანგ ფეხბურთელს ლონდონის ლანკასტერის სამეფო სასტუმროში 11 მაისს გადასცემენ ჯილდოს.

ტეირი ანრიმ წლევანდელ გამოკითხვაში უკან ჩამოიტოვა "ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი, "მანჩესტერის" ახალგაზრდა ფორვარდი უიენ რუნი და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის რჩეული, "ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი.

პოლიტიკური მხარდაჭერა

თანამედროვე ფეხბურთში ზოგიერთი კლუბი მსოფლიო ნაკრებს დაემსგავსა. მაგალითისთვის ლონდონის "არსენალიც" კმარა, რომლის შემადგენლობაში არათუ კლუბის აღზრდილები, არამედ ინგლისელი ფეხბურთელებიც კი ვერ ხვდებიან. უეფას მესვეურები უკვე დიდი ხანია ცდილობენ ვითარების გამოსწორებას. ამ მიზნით სპეციალური კანონიც შეიმუშავეს, რომლის დამტკიცების შემთხვევაში კლუბები ვალდებული იქნებიან შემადგენლობაში აუცილებლად იყოლიონ, სულ მცირე, 6-7 ადგილობრივი ფეხბურთელი. ჯერჯერობით ეს მხოლოდ პროექტია, თუმცა ალბათ მალე კანონის ძალას მიიღებს. საქმე ისაა, რომ უეფამ მთავარი ბარიერი გადალახა. ევროპული ფეხბურთის მამების მიერ დამუშავებული კანონი გუშინ ბრიუსელში, ევროკომისიაზე განიხილეს და პოლიტიკოსებმა უეფას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს.

კოშტინია რუსებმა "გადააგდეს"

პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელმა კოშტინიამ ცალმხრივად გაწყვიტა კონტრაქტი მოსკოვის "დინამოსთან". ფეხბურთელის თქმით, კლუბი მას კუთვნილ ხელფასს არ უხდიდა. ახლა კოშტინია ფიფაში აპირებს ჩივილს, რათა რუსული გუნდის ხელმძღვანელებს ვალი დააბრუნებინოს. ესპანური მედიის ინფორმაციით, კოშტინია მადრიდის "ატლეტიკოსთან" აპირებს კონტრაქტის გაფორმებას.

კივუს ხელფასს გაუზრდიან

იტალიური "რომას" ხელმძღვანელები მზად არიან ხელფასი გაუზარდონ რუმინელ მცველს კრისტიან კივუს, რათა მან ზაფხულში კლუბი არ დატოვოს.

კივუს შეძენის სურვილი უკვე არაერთმა გრანდმა გამოთქვა, თუმცა რომაელებს ფეხბურთელის შენარჩუნება სწადიათ და დღეს მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. იტალიურ მედიაში არაფერია ნათქვამი, თუ რა თანხაზეა საუბარი. აპენინელმა ჟურნალისტებმა მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ ფეხბურთელის ხელფასი თითქმის ორჯერ გაიზრდება. თუ კივუ ახალი კონტრაქტის გაფორმებას დათანხმდა, იგი 2011 წლამდე დარჩება "რომაში".

უკრაინელებს უცხოელები განსჯიან

მომავალ კვირას უკრაინის ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება. კიევში ჩემპიონობის ორი პრეტენდენტი "დინამო" და "შახტარი" დაუპირისპირდება ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მატჩში უნდა გადაწყდეს ჩემპიონის ბედი.

კლუბების თხოვნით, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ამ მატჩს უცხოელი არბიტრები მოემსახურებიან. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური პრეცედენტი უკვე მოხდა უკრაინის თასის ფინალურ მატჩში, რომელიც პორტუგალიელ მსაჯთა ბრიგადამ განსაჯა.

კრუიფმა "ბარსას" ლიგაც უწინასწარმეტყველა

ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა იოჰან კრუიფმა, რომლის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერა მეტწილად ესპანურ "ბარსელონას" უკავშირდება, განაცხადა, რომ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ "ბარსას" არც ჩემპიონთა ლიგის მოგება გაუჭირდება.

"დარწმუნებული ვარ, პარიზულ ფინალში "არსენალს" დავამარცხებთ. ახლა კი გუნდი ჩემპიონის ტიტულით უნდა დატკბეს. "ბარსელონას" ამის უფლება აქვს. ჩემპიონთა ლიგის ფინალში პრობლემები არ შეგვექმნება", - ამბობს კრუიფი, რომელიც საკუთარ თავს უკვე კარგა ხანია აიგივებს კატალონიურ გრანდთან.

ჯო კოულმა გამოსავალი იპოვა

ინგლისის ნაკრებს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მუნდიალზე ვერ ითამაშებს უეინ რუნი, ბრიტანელებს დიდი საფიქრალი გაუჩნდათ. ვინ შეცვლის ინგლისელთა მთავარ ბომბარდირს გერმანიაში? ამ კითხვაზე პასუხს მთელი ინგლისი უშედეგოდ ეძებს. "ჩელსის" ნახევარმცველმა ჯო კოულმა კი იოლად იპოვა გამოსავალი.

"მიმაჩნია, რომ ნაკრებში რუნის შეცვლა შემიძლია. მართალია, გამოკვეთილი ფორვარდი არ ვარ, მაგრამ ამ პოზიციაზეც მითამაშია", - განაცხადა კოულმა ჟურნალისტებთან საუბარში.

"ლიონი" ვილტორდის შენარჩუნებას ლამობს

ფრანგული პრესის ცნობით, საფრანგეთის "ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ გუნდის გოლეადორს სილვიენ ვილტორდს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ვილტორდი გუნდში კიდევ ორი წელი ითამაშებს.

გარდა ამისა, მხარეებმა ზეპირ შეთანხმებასაც მიაღწიეს იმის თაობაზე, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ევროპის 2000 წლის ჩემპიონს "ლიონში" საპატიო თანამდებობას შესთავაზებენ.

სილვიენ ვილტორდმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

კასანო "ინტერში"

მადრიდის "რეალის" იტალიელი ფორვარდის ანტონიო კასანოს აგენტი ბეპე ბოცო ოთხშაბათს "რომასა" და "ინტერის" სათასო ფინალს დაესწრო. სავარაუდოდ, ბოცო "ინტერის" აღმასრულებელ დირექტორს მარკო ბრანკას შეხვდა და კასანოს შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ კასანოს არაერთხელ უთქვამს, "რეალში" დარჩენა მსურსო, ალბათ ზაფხულის დადგომასთან ერთად იტალიელი "სამეფო კლუბს" მაინც დატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება.

კერიკი 10 მილიონად

"მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა ლონდონურ "ტოტენჰემს" ცენტრალურ ნახევარმცველ მაიკლ კერიკში 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს. მანკუნიანელები კვლავაც ეძებენ როი კინის შემცვლელს. როგორც ბრიტანული მედია იუწყება, ფერგიუსონს ირლანდიელი ნახევარმცველის მემკვიდრედ სწორედ კერიკი მიაჩნია.

"ბარსამ" ტიტული შეინარჩუნა

ზღაპარი თუ ფანტასტიკა

ესპანეთის "ბარსელონა" ზედიზედ მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. არსებობის ისტორიაში კი კლუბისთვის ეს მეცხრამეტე გამარჯვებაა.

კატალონიურმა გუნდმა ჯერ კიდევ "სელტასთან" მოგებული (1:0) მატჩის შესვენებისას იზეიმა ჩემპიონობა, როცა ცნობილი გახდა, რომ პრიმერადივიზიონის ცხრილში მეორე ადგილზე გასულმა "ვალენსიამ" "მალიორკასთან" შეხვედრა 1:2 დათმო.

"ეს არის ჯილდო, რომელიც დამსახურებულად მოვიპოვეთ ჩვენი შრომით და იმ სტაბილური და სანახაობრივი ფეხბურთისთვის გვეკუთვნოდა, რასაც მთელი სეზონის მანძილზე ვაჩვენებდით. ყველა უზომოდ ბედნიერი ვართ. მინდა ეს გამარჯვება მივულოცო გუნდში მოღვაწე თითოეულ ადამიანს - მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, რიგით თანამშრომლებს", - ამბობდა მატჩის შემდეგ თავისი გუნდის ჩემპიონობით გახარებული "ბარსას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა.

ერთი შეხედვით, "სელტასთან" მატჩში "ბარსელონას" თითქოს ნაკლები მოტივაცია უნდა ჰქონოდა, ჩემპიონობამდე ორი ტურით ადრე გუნდს ნულოვანი ფრეც ჰყოფნიდა. მაგრამ რაიკაარდის ბიჭებმა ნამდვილი პროფესიონალიზმი და ჩემპიონისთვის დამახასიათებელი ჟინი გამოავლინეს - კატეგორიულად ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს კიდეც. მატჩის ბედი კამერუნელი სამუელ ეტოოს ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. თავისი საგოლე მონაგარი კი ამ გოლის წყალობით ეტოომ 25-მდე გაზარდა და, სავარაუდოდ, ჩემპიონობის გარდა, იგი პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდება.

ფრანკ რაიკაარდის ხელში "ბარსა" ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის ფრანკ რაიკაარდის გაწვრთნილი "ბარსელონა" მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ბრაზილიელი რონალდინიოს შეძენის შემდეგ გახდა სტაბილური და შედეგიანი.

მიმდინარე სეზონში სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა 17 გოლი გაიტანა, აქედან ორი მოსისხლე მტრის - მადრიდის "რეალის" კარში შეაგდო.

"სელტასთან" მატჩში უკვე ჩემპიონმა მწვრთნელმა ფეხბურთელი 58-ე წუთზე შეცვალა. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ მოედნიდან გასულ რონალდინიოს სტადიონი ფეხზე წამოუდგა...

ერთი სიტყვით, "ბარსას" ზღაპრული ხანა გრძელდება. ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ ჩემპიონთა ლიგის ფინალს, სადაც კატალონიელებს ლონდონის "არსენალთან" მოუწევთ ევროპის საუკეთესო კლუბის ტიტულისთვის ბრძოლა.

მხოლოდ პარიზული ფინალის შემდეგ ვიტყვით დანამდვილებით, რა იყო წლევანდელი სეზონი "ბარსელონასთვის" - ზღაპარი, რომელიც ვერ აცხადდა, თუ ფანტასტიკა, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ჩაიწერება.

კარლოს ალბერტო პარეირა: "რონალდინიო უკვე ისტორიაა"

კარლოს ალბერტო პარეირა საფეხბურთო (და არა მხოლოდ საფეხბურთო) სამყაროში კარგად ცნობილი კაცი გახლავთ. მისი სამწვრთნელო კარიერა ბრაზილიის კლუბ "საო კრისტოვანში" დაიწყო და მერე თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა - იყო საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული საემიროების, კუვეიტისა და განის ეროვნული გუნდების თავკაცი.

წლეულს იგი შეეცდება ბრაზილიის ეროვნული გუნდი მეექვსედ გახადოს ჩემპიონი.

ინტერვიუს დროს, რომელიც პარეირამ ესპანურ "მარკას" მისცა, რედაქციაში ის არგენტინელ ვალტერ სამუელთან და "რეალის" ბრაზილიელ მცველ სისინიოსთან ერთად იყო.

- რა ხდება ბრაზილიის ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე თავს როგორ გრძნობთ?

- ერთი პრობლემა გვაქვს. ამხანაგური მატჩები გასული წლის ოქტომბრის შემდეგ არ გაგვიმართავს. მაგალითად, მექსიკელები გერმანიაში ორთვიანი წვრთნების შემდეგ ჩავლენ. საერთოდ, ეს გუნდი ანგარიშგასაწევ ძალად მიმაჩნია. ისინი ფიზიკურად კარგად მომზადებულ, ძლიერ ნაკრებს ქმნიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ფიფამ წესები შეცვალა და იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონები ვართ, მაინც მოგვთხოვა ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში. მაგრამ ამხანაგური მატჩების გამართვის შესაძლებლობა არ მოგვცა.

- ეთანხმებით იმ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ბრაზილია ჩემპიონატის უპირობო ფავორიტია?

- ვფიქრობ, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან ჩემპიონატის მოგება იოლი არ გახლავთ. გარდა ამისა, მუნდიალი ევროპაში იმართება. ეს, თავის მხრივ, კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია. მეეჭვება, ბევრს უნდოდეს ბრაზილიის ექვსგზის ჩემპიონობა.

- როგორ შეაფასებთ ესპანეთის ნაკრების შანსებს?

- ჩემი აზრით, არაგონესს კარგი გუნდი ჰყავს, ახალგაზრდებისა და ვეტერანების საინტერესო შერწყმაა. ამას წინათ პრესაში ესპანეთი ხუთ ფავორიტს - ბრაზილიას, არგენტინას, გერმანიას, ინგლისსა და ჰოლანდიას შორის დასახელდა. ესპანეთის ფავორიტობას მეც ვეთანხმები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატზე სიურპრიზები არ იქნება.

- რაული უწინდებურად გესიმპათიურებათ?

- რა თქმა უნდა. ის პატივისცემის ღირსია იმის გამო, რაც გააკეთა. მსოფლიო ჩემპიონობა თუ გინდა, გუნდში რაულის დონის მოთამაშეები უნდა გყავდეს.

- რონალდოს მდგომარეობა ხომ არ გაღელვებთ?

- რონალდოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მაქსიმალურად ვუფრთხილდებით. მასზე დიდ ფსონს ვაკეთებთ. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რონალდო არასტაბილური ცხოვრებით ცხოვრობდა - ხან ცოლს ირთავდა, ხან შორდებოდა, სუქდებოდა, ხდებოდა. ერთი სიტყვით, რაღაც აჭრილი იყო. მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარდა. ტრავმაც თითქმის მოუშუშდა. ახლა მთავარია, 22 მაისისთვის იყოს ფორმაში, როცა შვეიცარიაში წვრთნებს დავიწყებთ.

- თქვენი აზრით, "რეალის" გულშემატკივრებთან ცუდი დამოკიდებულების გამო რონალდო მადრიდიდან უნდა წამოვიდეს?

- ფანების აზრი ხშირად იცვლება. თუ რონალდო გოლებს გაიტანს, პრობლემებიც არ ექნება.

- რონალდინიო თქვენთვისაც მსოფლიოს N1 ფეხბურთელია?

- რა თქმა უნდა. ისევე როგორც რამდენიმე წლის წინ ზინედინ ზიდანი.

- როგორ ფიქრობთ, "ბარსას" ფორვარდს შეუძლია ფეხბურთის ისტორიაში მეხუთე გრანდის სახელით შევიდეს?

- შედარებები არ მიყვარს. არ შეიძლება ბეკენბაუერი კრუიფს შეადარო, პელე - მარადონას ან გარინჩას. ერთი რამ ცხადია: რონალდინიო უკვე ისტორიის კუთვნილებაა იმ ორი სასწაულებრივი სეზონის გამო, რომელიც მან გვიჩვენა. ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია დიდი ტურნირების მოგება.

- ამბობენ, თითქოს ადრიანოს "ინტერში" ყოფნაზე ნერვიულობთ...

- პრობლემა ადრიანოში კი არა, მის კლუბშია. "ინტერში" ძალიან დაძაბული სიტუაციაა. როცა ადრიანო ნაკრებში ჩამოდის, ძალიან ბედნიერი და ლაღია.

- როგორ ფიქრობთ, ადრიანო "რეალში" რონალდოს ხომ არ შეცვლის?

- ის ახალგაზრდაა და შეძლებს მოერგოს "რეალს". ადრიანო ნამდვილად წაადგება ამ კლუბს, მაგრამ რონალდო... რონალდო სულ სხვაა.

ინფოთეკა

ჯონ ტერი ათ დღეში დაბრუნდება

"ჩელსის" ექიმების თქმით, გუნდის კაპიტანს ჯონ ტერის "მანჩესტერ იუნაიტედთან" მიღებული მცირე ტრავმა ხელს არ შეუშლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშში.

დამატებითმა სამედიცინო გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ 25 წლის ფეხბურთელს ახლავე შეუძლია მცირე დატვირთვა, ათიოდე დღეში კი გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებულ მატჩში "არისტოკრატთა" კაპიტანმა მარჯვენა ფეხზე კოჭი დაიზიანა.

"სკუადრა აძურას" ფეხბურთელები დაჯილდოვდებიან

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, "სკუადრა აძურას" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში ჯილდოდ 178 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატთან შედარებით, წლეულს იტალიელთა საპრიზო ფონდი საგრძნობლად გაიზარდა. წინა მუნდიალზე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელებს ჩემპიონობისთვის 120 ათას ფუნტს შეჰპირდა.

აღსანიშნავია, რომ ნაკრების მოთამაშეები პრემიას მესამე ადგილისთვისაც მიიღებენ - ამ შემთხვევაში ჯილდო 75 ათასი ფუნტი იქნება.

ერიქსონი იტალიას არ გამორიცხავს

ინგლისის ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი არ გამორიცხავს, რომ სამწვრთნელო კარიერა იტალიაში გააგრძელოს.

"ჯერჯერობით არ ვიცი, რას ვიზამ ინგლისიდან წასვლის შემდეგ. ჩემთვის სულ ერთია, კლუბში ვიმუშავებ თუ ნაკრებში. სიამოვნებით გავაგრძელებდი კარიერას იტალიაში. კონკრეტული წინადადებით ჯერ არავის მოუმართავს, თუმცა მინდა, რომ ეს მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იტალიას, პორტუგალიასა და შვედეთს შორის მომიწევს არჩევანის გაკეთება", - განაცხადა "ლაციოს" ყოფილმა მწვრთნელმა, რომელიც ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვებს.

დაკურს "რომაში" დარჩენა უნდა

"რომას" ფეხბურთელის ოლივიე დაკურის აგენტის განცხადებით, მისი კლიენტი სეზონის დასრულების შემდეგ არც "იუვენტუსში" გადავა და არც "ინტერში".

მისივე თქმით, ინგლისური "ლიდსის" ყოფილ ფეხბურთელს დედაქალაქურ კლუბში უნდა დარჩენა.

"რომას" ხელმძღვანელობისგან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე წინადადებას ველოდებით. თუ რამდენიმე კვირაში არაფერს შემოგვთავაზებენ, მაშინ დაკურს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. რაც შეეხება "ინტერსა" და "იუვენტუსში" შესაძლო გადასვლას, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ არც ერთ მათგანთან არ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. ეს უბრალოდ მოარული ხმები იყო და მეტი არაფერი", - განაცხადა დაკურის აგენტმა.

ირანული საფრთხე

გუშინ გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში დაიწყო გერმანიის მიწების შინაგან საქმეთა მინისტრების მორიგი კონფერენცია, რომელიც უკანასკნელია მუნდიალის დაწყების წინ. დღის წესრიგშია მსოფლიოს ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარების საკითხი.

პრობლემები მოსალოდნელია გერმანიაში ირანის ნაკრები გუნდის ჩასვლასთან დაკავშირებით. მოსალოდნელია, რომ ჩემპიონატზე ირანის პრეზიდენტი მახმუდ ახმადინეჟადა ჩავა.

"ჩემთვის ირანის პრეზიდენტი არასასურველი სტუმარია. მან არაერთხელ უარყო ჰოლოკოსტი, რაც გერმანიის კანონმდებლობით ისჯება, - განაცხადა ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გიუნტერ ბეკშტაინმა, - თუ ის გერმანიაში ჩამოვა, უნდა დაემორჩილოს ჩვენს მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების ზომებს. რაც შეეხება ირანელ ფანებს, მათზე მხოლოდ საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ გაიცემა ვიზები."

ბეკშტაინის განცხადებით, გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი მისი ირანელი კოლეგის მიერ ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ ირანის ნაკრები შეშფოთებულია შესაძლო თავდასხმების გამო.

"არ გამოვრიცხავ ასეთ სცენარს. შესაძლოა, ირანის სპეცსამსახურებმა მოაწყონ ტერორისტული აქტი თავისივე ფეხბურთელებზე და შემდეგ ყველაფერი ტერორისტულ ორგანიზაცია "მოჯაჰედი ჰალკის" გადააბრალონ, რათა მოახდინონ მისი დისკრედიტაცია საერთაშორისო საზოგადოების თვალში", - აცხადებს ბეკშტაინი.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ისლამური ტერორი მიზნად ისახავს შთაბეჭდილება მოახდინოს საერთაშორისო საზოგადოებაზე. "ამისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კარგი საშუალება არც არსებობს. არ შეიძლება, რომ ეს საშიშროება უყურადღებოდ დავტოვოთ. ამიტომ მიმაჩნია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის პოლიციას ბუნდესვერის ჯარებიც უნდა დაეხმაროს".

ინფოთეკა

შეცვლა

ფორმულა 1-ის მორიგ ეტაპზე, რომელიც ნიურბურგრინგის ტრასაზე გაიმართება, Super Aguri-ს საჯინიბოში ერთი ცვლილება მოხდება. იაპონელი იუძი იდეს ნაცვლად გუნდის მეორე პილოტი ფრანკ მონტანი იქნება. ეს გადაწყვეტილება გუნდის ხელმძღვანელებმა FIA-ს რეკომენდაციის საფუძველზე მიიღეს.

BMW პოლიტიკას არ ცვლის

ფორმულა 1-ის გუნდ BMW-ს მიზნები ამ სეზონზე ოთხი ეტაპის შემდეგ არ შეცვლილა. გუნდის ხელმძღვანელობა შედეგებზე არ ფიქრობს და ნორმალური საჯინიბოს ჩამოყალიბებითაა დაკავებული. "უკვე ოთხი რბოლა გაიმართა. ჩემპიონატი ფაქტობრივად ახლა იწყება. ამ ოთხ რბოლაში გუნდს რაიმე რომ მოეგო, შესაძლოა, ახალი მიზნებიც დაგვესახა, მაგრამ ვხვდებით, რომ პოდიუმზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. უმჯობესი იქნება, თუ ამ სეზონში ნორმალურ გუნდს ჩამოვაყალიბებთ, ეტაპებზე გამარჯვებისთვის კი მომავალ სეზონში ვიბრძოლებთ", - აცხადებს BMW-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მარიო ტაისენი.

დიაო საუკეთესოა

NBA-ს 2005-06 წლების სეზონის ყველაზე პროგრესირებად კალათბურთელად ფენიქსელი ბორის დიაო დაასახელეს. ექსპერტების გამოკითხვის შედეგად დიაომ 126 შესაძლებლიდან 80 პირველი ადგილი მიიღო და დამაჯერებლად ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული "ნიუ ორლეანის" კალათბურთელი დევიდ უესტი. ამ სეზონში დიაოს საშუალო შედეგიანობა თამაშში 13,3 ქულა იყო.

კლიჩკო მეტოქეს ელის

კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (IBF) სანქცია გასცა სულტან იბრაჰიმოვისა და გრემ ოსტინის ბრძოლის გამართვაზე. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული მსოფლიოს ახალ ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს შეხვდება რინგზე. "ყოველთვის ვოცნებობდი მსოფლიოს ჩემპიონობაზე. ახლა მიზნის მისაღწევად ერთი ნაბიჯიღა მაქვს გადასადგმელი", - განაცხადა რუსმა მოკრივემ სულტან იბრაჰიმოვმა.

შიმიჩი "მილანში" დარჩა

უეფას ოფიციალური საიტის განცხადებით, იტალიური "მილანის" ნახევარმცველმა დარიო შიმიჩმა კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი სეზონით გაახანგრძლივა.

30 წლის ხორვატი ლეგიონერი 2006 წლის ზაფხულში მეორე მილანური კლუბიდან "ინტერიდან" გადავიდა "როსონერიში".

დარიო შიმიჩი მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებთან ერთად ითამაშებს.

"რეალი" "ლივერპულს" აურელიოს ართმევს

მადრიდის "რეალი" ინგლისური "ლივერპულისთვის" "ვალენსიას" მცველის ფაბიო აურელიოს წართმევას აპირებს. ბრაზილიელი ფეხბურთელი უკვე იყო ლივერპულში და ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ.

ფეხბურთელის აგენტის თქმით, აურელიოს თაობაზე მას უკვე მიმართეს "რეალიდან" და "ვილიარეალიდან".

"რეალის" წარმომადგენელთა განცხადებით, აურელიო, ეშლი კოულთან და ერიკ აბიდალთან ერთად, "რეალის" სატრანსფერო ნუსხაშია, როგორც მარცხენა მცველის პოზიციაზე საჭირო ფეხბურთელი.

"ლაციოს" ფეხბურთელები კაპიტანს იცავენ

რომის "ლაციოს" წამყვანი მოთამაშეები ანჯელო პერუცი და მასიმო ოდო კლუბის პრეზიდენტს კლაუდიო ლოტიტოს მოუწოდებენ, გუნდის კაპიტანს პაოლო დი კანიოს გაყიდვის ნაცვლად კონტრაქტი გაუხანგრძლივოს.

"დი კანიო "ლაციოსთვის" უდიდესი ფიგურაა. ის ჩვენი გუნდის სული და გულია. პაოლომ წელს დიდებული სეზონი ჩაატარა და კლუბის ხელმძღვანელობა უბრალოდ ვალდებულია, კაპიტანი შეინარჩუნოს და მასთან შეთანხმებას მიაღწიოს", - განაცხადა მასიმო ოდომ.

"დი კანიო ჩემი მეგობარია. უკვე ორი წელია მისი საკლუბო მომავალი გაურკვეველია. ჩვენ ჯერაც არ ვიცით, სად გააგრძელებს მომდევნო სეზონს პაოლო და ამიტომ მოუთმენლად ველით გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას", - დაამატა პერუციმ.

ოლიმპიური თამაშები ფეხბურთის გარეშე?

ბლატერი პოზიციებს არ თმობს.

სპორტული სამყარო მორიგი დიდი სკანადლის მოლოდინშია. 13 მაისს საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) აღმასრულებელმა კომიტეტმა, შესაძლოა, რეკომენდაცია გაუწიოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ), რათა ფეხბურთი ამოიღონ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან.

კონფლიქტი საერთაშორისა ანტიდოპინგურ სააგენტოსა და ფიფას შორის უკვე კარგა ხანია არსებობს. ეტყობა, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საქმე ისაა, რომ ვადა მოითხოვს: სპორტის ოლიმპიური სახეობების უკლებლივ ყველა ფედერაციამ დაიცვას ანტიდოპინგური კოდექსი, რომლის თანახმად, სპორტსმენს, რომელიც პირველად არის მხილებული დოპინგის გამოყენებაში, ავტომატურად ეძლევა ორწლიანი დისკვალიფიკაცია. ფიფა სწორედ ამ მოთხოვნას არ ეთანხმება. მსოფლიო ფეხბურთის მამებს მიაჩნიათ, რომ თითოეული კონკრეტული შემთხვევა ცალკე უნდა განიხილონ და სასჯელიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანონ.

შეთანხმების მიღწევის მიზნით ფიფამ და ვადამ გასული წლის ნოემბერში თხოვნით მიმართეს საერთაშორისო სპორტულ სასამართლოს, რათა მას მოეგვარებინა ის შეუსაბამობა, რაც ფიფას დისციპლინარულ კოდექსსა და ვადას კანონებს შორის არსებობს. სამმა შვეიცარიელმა ადვოკატმა პირნათლად მოიხადა ვალი - 68-გვერდიანი დოკუმენტი შეადგინეს, თუმცა არც ერთი მხარე ვალდებული არ არის შეასრულოს ამ დოკუმენტში მოყვანილი მითითებები. რაც მთავარია, ორივე მხარეს შეუძლია ამ მითითებებს თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს.

კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფიფა მართლაც არ იცავს ანდიდოპინგური კოდექსის წესებს, მაგრამ იქვეა ნათქვამი, რომ როგორც ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია შვეიცარიაში და მოქმედებს ამ ქვეყნის კანონების თანახმად, ფიფას აქვს უფლება, თავად განსაჯოს როგორ დასჯის დოპინგის მიღებაში მხილებულ სპორტსმენს.

საერთაშორისო სპორტული სამართლოს დასკვნები შენელებული მოქმედების ნაღმს ჰგავს, რომელიც, შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში ამოქმედდეს. საქმე ისაა, რომ ოლიმპიური სახეობების საერთაშორისო ფედერაციების უმეტესობას, ისევე როგორც ფიფას, შვეიცარიაში უდევთ ბინა და, ცხადია, შვეიცარიის კანონებს ექვემდებარებიან. გამოდის, რომ ნებისმიერ ფედერაციას აქვს უფლება გაიზიაროს ფიფას მოსაზრებები და შესაბამისადაც იმოქმედოს, რამაც, შესაძლოა, დიდი ქაოსი გამოიწვიოს.

თუმცა, აქ ერთი დეტალიც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენს მიერ ნახსენები ფედერაციები ფიფას ვერ შეედრებიან. ფიფა ხომ სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და არც დაფინანსებას იღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ფედერაციებზე, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა მეტწილად სწორედ ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებაზეა დამოკიდებული.

ახლა ვადას და ფიფას სურთ, რომ მოსამართლის როლი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეასრულოს და დავაც მან განსაჯოს. ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, სოკ-ს შეუძლია იმოქმედოს ფიფასა და ვადას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე და არ დაუშვას, რომ ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღონ. თავის მხრივ, ვადას თავმჯდომარე რიჩარდ პაუნდი ამბობს: "თუ ფიფას ხელმძღვანელებს არ სურთ ანდიტოპინგური კოდექსის აღიარება, კი ბატონო, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ოლიმპიურ ქარტიაში წერია: სპორტის ნებისმიერი სახეობა, რომელსაც სურს იყოს ოლიმპიური თამაშების ნაწილი, ვალდებულია შეუერთდეს ანდიდოპინგურ კოდექსს".

საინტერესოა, რომ კონფლიქტი ვადასა და ფიფას შორის ყოველთვის მწვავდება მუნდიალის მოახლოებასთან ერთად. ასე იყო ოთხი წლის წინ, როდესაც ფინალურ ეტაპს კორეა-იაპონია მასპინძლობდა. ასეა ახლაც. ამას კი მეტად მარტივი ახსნა აქვს: მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ფიფა საკუთარი ძალებით და საკუთარი კანონებით აწარმოებს ანტიდოპინგურ კონტროლს და დასახმარებლად არავის მიმართავს, რაც ვადას ხელმძღვანელთა აგრესიას იწვევს.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ სოკი ამოიღებს ფეხბურთს 2012 წლის ოლიმპიური თამაშებიდან, მიუხედავად იმისა, რომ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესი ფეხბურთელები არასდროს მიემგზავრებიან.

ამავდრულად, უნდა აღინიშნოს, რომ ბლატერიც და პაუნდიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები არიან და, ცხადია, კოლეგების დახმარებით უკვე დიდი ხნის წინ შეეძლოთ შეთანხმება. ასე რომ, კონფლიქტის მიზეზი ანდიტოპინგურ კოდექსთან შეერთება მაინც არ უნდა იყოს. აშკარაა, რომ ორი ორგანიზაცია ძალაუფლების მოპოვებაზე ფიქრობს. ვადას სურს, თავისი გავლენა ფეხბურთზე განავრცოს, ფიფა კი ავტონომიას იცავს. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ფიფა უფრო მდიდარი და გავლენიანი ორგანიზაციაა, ვიდრე ვადა, კონფლიქტის შედეგის პროგნოზირება ძნელი არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ფეხბურთს არავინ ამოიღებს, თუმცა...

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ საერთაშორისო ოლიპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს და დაპირისპირებული მხარეების შერიგებას არ ცდილობს.

ჰოლ სქოულზი: "მე დავბრუნდები"

ჰოლ სქოულზი ახალი სეზონისთვის მოემზადება.

"სიტუაცია რომ არ შეცვლილიყო, თამაშს მაინც შევძლებდი. მეორე თვალი კარგად ხედავს. ასე რომ, ეს მამხნევებს. რა თქმა უნდა, ცუდია, როცა ცალი თვალი 100 პროცენტით ჯანმრთელი არ გაქვს, მაგრამ ვარჯიშზე ფეხბურთი ვითამაშე და ყველაფერი რიგზე იყო. ყოველთვის არსებობს ისეთი რამ, რასაც სავარჯიშოები ჰქვია - იმ შემთხვევაში, თუ თვალი წესრიგში არ არის, მარცხენა თვალს საშუალებას აძლევს დიდი სამუშაო შეასრულოს. სათვალის ტარება არ დამჭირდება. მე ედგარ დავიდსი არ ვიქნები. გუნდში ოკულისტი გვყავს. მას გეილა სტივენსონი ჰქვია. არსებობს მრავალნაირი ვარჯიში და ის დამეხმარება სიტუაციის გამოსწორებაში. გეილა მარწმუნებს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. ვიცი, რომ ფიზიკური კონდიციების აღსადგენად წინ დიდი სამუშაო მელის, რადგან სამი თვის განმავლობაში არაფერი გამიკეთებია. დაკარგული კონდიციების აღდგენა მომიწევს და ამას მოუთმენლად ველი".

"დარწმუნებული რომ არ ვიყო ჩემს სრულფასოვან რეაბილიტაციაში, მაშინ უაზრობა იქნებოდა თამაშში ჩართვა. მე მინდა ვითამაშო, გოლები გავიტანო და გუნდისთვის რაღაც გავაკეთო. ბოლო წლებში მაინცდამაინც კარგ ფორმაში არ ვიყავი. ახლა ვცდილობ ყველაფერი დავივიწყო. მოუთმენლად ველი მინდორზე გასვლას და კარგი თამაშის დემონსტრირებას. იმედი მაქვს დასვენება ამ საქმეში დამეხმარება. არ შემიძლია ვინმეს იმის გარანტია მივცე, რომ ყველაფერი მართლაც ისე მოხდება, როგორც ვამბობ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს. წინა წლებისგან განსხვავებით, როცა ხშირი მგზავრობა მიხდებოდა და სახლიდან შორს ვიყავი, ეს ოთხი თვე ოჯახურ წრეში გავატარე. მე მყავს შვილები, რომლებსაც მზრუნველობა სჭირდებათ და, სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან კარგი იყო. თუმცა საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ. მინდა კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშო. აგვისტოში ჩემი კონტრაქტი კიდევ ორი წლით გავახანგრძლივე, რომლის ძალითაც 2009 წლამდე კლუბში უნდა ვითამაშო. ვიცი, რომ ეს უბრალოდ არ მომხდარა. გაზეთებში ბევრი სისულელე დაიწერა. ზოგიერთი ჟურნალისტი მამაჩემის სახლშიც ცდილობდა შეღწევას, რათა რაიმე ახალი გაეგო ჩემს შესახებ. ისინი ფაქტებით არ უზრუნველყვეს, ამიტომ მხოლოდ ვარაუდებით მსჯელობდნენ. ვიცოდი, რომ ცდებოდნენ და ჩემთვის მხოლოდ ამას ჰქონდა მნიშვნელობა. როცა თვალთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, თამაში არ შემეძლო. მარჯვენა თვალის ქსოვილი გახეული მქონდა. რომ მეთამაშა, შესაძლოა, არტერიული წნევა ამწეოდა, ამას კი შემდგომი გართულებები მოჰყოლოდა. დრო გვიჩვენებს, რამდენად გამოსწორდება მდგომარეობა და ბოლომდე აღმიდგება თუ არა მხედველობა. ყოველდღე ვაკვირდები, ვამოწმებ, უკეთ ვხედავ თუ არა. თქმა მიძნელდება, მაგრამ კარგად ვერ ვკითხულობ. პრაქტიკულად ბრმა ვარ, როგორც ღამურა!".

"სპეციალისტები ასეთ მდგომარეობაში თამაშის უფლებას არ მომცემდნენ, მაგრამ ახლა მდგომარეობა სწორდება და ვგრძნობ, რომ მომავალი სეზონისთვის მწყობრში ვიქნები. ისინი მარწმუნებდნენ, რომ სიტუაცია გამოსწორდება, მაგრამ ზუსტად ვერ მეუბნებოდნენ, ამას სამი თვე დასჭირდებოდა, ექვსი თუ უფრო მეტი. უბრალოდ, დასვენება გამომინერეს. სამი თვის განმავლობაში არ მივარჯიშია, მაგრამ გასულ თვეში კვირაში სამჯერ ვვარჯიშობდი. ოთხშაბათს ფეხბურთი ვითამაშე. ძალიან მაგარი იყო... ბუნებრივია, როცა გეუბნებიან, რომ ეს სერიოზულია და უნდა დაისვენო, ნერვიულობ... თუმცა, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ კიდევ ვითამაშებ. მე ჯერ კიდევ ვერ ვხედავ, მაგრამ ვვარჯიშობ და მინდა მომავალი სეზონისთვის მზად ვიყო".

მომავლის შესახებ

"მწვრთნელმა იფიქრა, რომ მოვიწყინე. ამიტომ მთხოვა რამდენიმე მატჩს დავსწრებოდი. მე მიყვარს ფეხბურთი. ასე რომ, თამაშის ყურება ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. თუმცა არ მინდა სკაუტი გავხდე. არადა, რაკი ბოლო თვეების განმავლობაში უსაქმოდ ვიყავი, ჩემს მომავალზე დავფიქრდი. შეიძლება გარკვეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღება მომიხდეს, მაგრამ რა საქმიანობას მოვკიდებ ხელს, ჯერ არ ვიცი. მწვრთნელობას? არ ვიცი. ჯერჯერობით მხოლოდ დაბრუნებაზე ვფიქრობ, როგორ წავა საქმე მომავალში, ამას ვნახავთ".

"ჩელსიზე"

"იმის გათვალისწინებით, თუ რომელ პოზიციაზე ვიყავით საშობაოდ და ამის შემდეგ რა ზეწოლა განვახორციელეთ "ჩელსიზე" - ეს ბრწყინვალე მიღწევაა. ვფიქრობ, მომავალ სეზონში კიდევ უფრო ახლოს ვიქნებით. წელს დავადასტურეთ, რომ სეზონს ძალიან ძლიერად ვამთავრებთ. თუ მომავალში თავიდანვე ახლოს ვიქნებით "ჩელსისთან", მაშინ ჩემპიონობის კარგი შანსიც გვექნება".

ინგლისის ნაკრებზე

"ნაკრებიდან წასვლის გამო საერთოდ არ მინანია. თამაშისგან სიამოვნებას ვერ ვიღებდი და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. მსოფლიო ჩემპიონატი პირველი დიდი ტურნირი იქნება, რომელსაც ნაკრებიდან წასვლის შემდეგ გამოვტოვებ, მაგრამ დიდი ხნის წინათ ვიცოდი, რომ იქ აღარ ვითამაშებდი. ასე რომ, ჩემთვის არაფერი შეცვლილა. ვფიქრობ, თუ ისინი ითამაშებენ პრინციპით "ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის", მაშინ წარმატებას მიაღწევენ. წარსულში ბევრი ფეხბურთელი პირად დიდებაზე ფიქრობდა, მაგრამ ეს გუნდი უფრო შეკრული ჩანს. თუ კიდევ უფრო შეიკრებიან, მათ შანსი აქვთ. თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება. ბევრი ინგლისელი ელოდება, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებენ, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე არაერთი კარგი გუნდია. მაგალითად ბრაზილია, არგენტინა, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია. თუ ინგლისელები გაიმარჯვებენ, ეს უდიდესი მიღწევა იქნება. ასე რომ, დავიცადოთ და ვნახოთ".

საუტგეიტი მაკლარენის ნაცვლად

"მიდლსბროს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შესაძლოა დაინიშნოს ამ გუნდის ვეტერანი ფეხბურთელი გარეტ საუტგეიტი. 35 წლის ფეხბურთელმა უკვე დაამთავრა სპეციალური სამწვრთნლო კურსები და პრემიერლიგაში სამუშაოდ საჭირო ლიცენზიაც მიიღო. რაც შეეხება სტივ მაკლარენს, რომელმაც "მიდლსბრო" უეფას თასის ფინალში გაიყვანა, ის ინგლისის ნაკრებს იბარებს.

ჯორკაეფი კარიერას ამთავრებს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი იური ჯორკაეფი საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს. უკანასკნელი სეზონი ფრანგმა ოკეანისმიღმა გაატარა და ამერიკის მეიჯორ ლიგის კლუბ "ნიუ იორკ რედ ბულსში" ასპარეზობდა. აშშ-ს ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად იური ჯორკაეფი კარიერასაც დაასრულებს.

მანიშე არ ცხრება

პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი მანიშე "პორტოს" დატოვების შემდეგ ვერა და ვერ ახერხებს თავისთვის მისაღები კლუბის პოვნას. ჯერ იყო და, მანიშე მოსკოვის "დინამოში" გადავიდა, მაგრამ რუსეთში თავი ცუდად იგრძნო და ახალი კლუბის ძიება დაიწყო. ზამთარში პორტუგალიელი ლონდონის "ჩელსიმ" შეიკედლა, მაგრამ მანიშე ვერც "არისტოკრატიულ" კლუბს შეეგუა და ახალა მადრიდის "ატლეტიკოში" გადასვლაზე ფიქრობს.

"ბრაგა" მწვრთნელს არ სწყალობს

პორტუგალიურ კლუბ "ბრაგას" მესვეურები არ აპირებენ გააგრძელონ კონტრაქტი გუნდის მთავარ მწვრთნელ ჟეზუალდუ ფერეირასთან. არადა, ამ სპეციალისტმა "ბრაგა" სამჯერ ზედიზედ გაიყვანა უეფას თასის გათამაშებაში.

"კლუბის ხელმძღვანელობა არ აპირებს ფერეირასთან კონტრაქტის გაგრძელებას. მან საკმაოდ კარგად იმუშავა ჩვენს კლუბში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ახალი მშვრთნელის დანიშვნა ამ ეტაპზე უკეთესი იქნება", - აღნიშნა კლუბის წარმომადგენელმა.

კარი ნაკრებს უბრუნდება

"ნიუკასლის" ირლანდიელი მცველი სტივენ კარი, რომელმაც დაახლოებით ექვსი თვის წინ განაცხადა, სანაკრებო კარიერა დავამთავრეო, აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მზადაა დაეხმაროს ირლანდიის მთავარ გუნდს.

"მე ვესაუბრე სტივენს და მან მითხრა, რომ მზადაა დაგვეხმაროს", - განაცხადა ირლანდიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სტივ სტონტონმა.

"ზენიტს" უცხოელი გაწვრთნის

სანქტ-პეტერბურგის "ზენიტის" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ პეტრუჟალას ნაცვლად გუნდში აუცილებლად მოვა უცხოელი მწვრთნელი. "ზენიტს ადგილობრივი მწვრთნელი არ უხელმძღვანელებს. 99-პროცენტიანი სიზუსტით შემიძლია ვთქვა, რომ კლუბს უცხოელი სპეციალისტი ეყოლება", - განაცხადა ნევისპირული გუნდის პრესატაშემ.

კუმანი პსვ-ს ჩაიბარებს

კვირას, ჰოლანდიის თასის ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც ამსტერდამის "აიაქსი" და პსვ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ფილიპსელები თავისი გუნდის ახალ მწვრთნელს დაასახელებენ. ცნობილი გახდა, რომ გუუს ჰიდინკის წასვლის შემდეგ პსვ-ს რონალდ კუმანი ჩაიბარებს, რომელიც ამჟამად პორტუგალიური "ბენფიკას" მთავარი მწვრთნელია.

"ნიუკასლს" არალიცენზირებული მწვრთნელი გაწვრთნის

ინგლისურმა "ნიუკასლმა" ოფიციალური თხოვნით მიმართა პრემიერლიგის ხელმძღვანელობას, რათა მათ ნება დართონ გლენ როიდერს მომავალ სეზონშიც იმუშაოს "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

საქმე ისაა, რომ 50 წლის სპეციალისტს მწვრთნელის ლიცენზია არა აქვს, ამიტომ მას ეკრძალება პრემიერლიგის გუნდის ხელმძღვანელობა. შეგახსენებთ, რომ როიდერმა გრემ სუნესის შემდეგ ჩაიბარა "ნიუკასლი" და აქამდე დროებით მწვრთნელის სტატუსით იყო გუნდში. როიდერის თავკაცობით "ნიუკასლმა" 16 მატჩში 10 გამარჯვება მოიპოვა.

ჰიუზი "ბლექბერნში" რჩება

"ბლექბერნის" მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა კიდევ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. უელსელმა სპეციალისტმა სოლიდური წარმატება მოუტანა კლუბს, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ძირითადად გადარჩენისთვის იბრძოდა. ჰიუზის დახმარებით კი უეფას თასის საგზური მოიპოვა.

კლინსმანი ბოლო დღეს ელოდება

მუნდიალის მონაწილე 32 გუნდის მწვრთნელებმა უკვე დაიწყეს შემადგენლობების დასახელება. შეგახსენებთ, რომ საბოლოო სიები ფიფაში 15 მაისისთვის უნდა წარადგინონ. ფიფა ერთადერთ გამონაკლისს უშვებდა ინგლისის ნაკრებისთვის უეინ რუნის ტრავმის გამო, თუმცა, ერიქსონის განცხადებით, იგი ნაკრების 23-კაციან სიას ორშაბათს დაასახელებს. გერმანიის ნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი კი ჯერაც ვერ გაერკვა ვის ათამაშებს ბუნდესნაკრებში. გუშინ ცნობილი გახდა, რომ კლინსმანი 23-კაციან სიას მხოლოდ 15 მაისს დაასახელებს.

"ნაიკმა" თავი იმართლა

"ჩელსისა" და "მანჩესტერის" მატჩში მძიმედ დაშავდა უეინ რუნი, რის გამოც ახალგაზრდა ფეხბურთელი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში ტრავმის მიზეზად რუნის ბუცებს ასახელებდნენ. ფეხბურთელს კონტრაქტი აქვს გაფორმებული ფირმა "ნაიკთან" და ზოგიერთს ჰგონია, რომ რუნის ტრავმა სწორედ ბუცების ბრალია. თავად რუნი, ცხადია, ამას უარყოფს, გუშინ კი მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება "ნაიკის" წარმომადგენლებმაც გააკეთეს: "ტრავმის მიზეზი ბუცები ვერ იქნებოდა. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ბუცებს ფეხის მოტეხვასთან?"

კაბაევამ შვებულება აიღო

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ალინა კაბაევამ მცირე ხნით შესვენება გადაწყვიტა. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე უახლოეს მომავალში ტურნირებში მონაწილეობას არ მიიღებს. კაბაევა გამოტოვებს მინსკში, ბურგასესა და კორბეი-ესონეში გრან-პრის ტურნირებს.

ნოვიცკი დასაჯეს

"დალასის" გერმანელი კალათბურთელი დირკ ნოვიცკი NBA-ს ხელმძღვანელებმა 15 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი ფლეიოფების მატჩში საკმაოდ უხეშად ეთამაშა პოუ გაზოლს, რისთვისაც დაისაჯა კიდეც, თუმცა ამაში განსაკუთრებული არაფერია. ფლეიოფების დაწყებიდან უკვე რამდენიმე კალათბურთელმა გადაიხადა დაახლოებით ანალოგიური ჯარიმა უხეშობის ან მსაჯებთან კამათის გამო.

ფორსბერგი სერიოზულად დაშავდა

გარდა იმისა, რომ "ფილადელფია" ფლეიოფების პირველივე წრეში ჩამოშორდა სტენლის თასისთვის ბროლას, ამ გუნდმა კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა. დაშავდა "ფილადელფიას" ლიდერი პეტერ ფორსბერგი, რომელსაც ზაფხულში ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ტრავმა იმდენად მძიმეა, რომ შესაძლოა ფორსბერგმა მომავალი სეზონის დასაწყისშიც ვერ შეძლოს ყინულზე გასვლა.

რაჯა ბელის გარეშე

"ფენიქსის" მცველი რაჯა ბელი გამოტოვებს NBA-ს ფლეიოფის მეექვსე მატჩს "ფენიქსსა" და "ლეიკერსს" შორის. ამ გუნდების მეხუთე დაპირისპირებაში რაჯა ბელმა უხეშად ითამაშა კობი ბრაიანტის წინააღმდეგ, რის გამოც ახლა მეექვსე და ალბათ გადამწყვეტ მატჩს გამოტოვებს.

განიავებული 10 მილიონი

NBA-ს ყოფილი ვარსკვლავი ჩარლზ ბარკლი სააგენტო ESPN-ის ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოტყდა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი წააგო აზარტულ თამაშებში.

"რას არ აკეთებდა ჩემი აგენტი, რომ ჩემთვის კაზინოში შესვლის საშუალება არ მოეცა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მაქვს თუ არა პრობლემები აზარტულ თამაშებთან? რა თმა უნდა. უკვე იმდენი წავაგე, რომ წარმოდგენაც კი ძნელია. მაგრამ ნამდვილად არ მეშინია, ნებისმიერ დროს შემიძლია შევწყვიტო თამაში. ახლა კი კაზინოში შესვლა სიამოვნებას მანიჭებს", - აცხადებს ბარკლი.

პარიზი და უიმბლდონი სერენას გარეშე?

შესაძლოა სერენა უილიამსმა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი და უიმბლდონის ტურნირი გამოტოვოს. ამის მიზეზი მარცხენა მუხლის ქრონიკული ტრავმაა. "რა უნდა გითხრათ. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ ვერც პარიზში ვითამაშებ და ვერც უიმბლდონზე. ექიმები მეუბნებიან, რომ ტრავმას მხოლოდ ზაფხულის ბოლოსთვის მოვიშუშებ", - ამბობს სერენა უილიამსი.

მაკლარენი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა

სტივ მაკლარენი ერიქსონის ადგილს დაიკავებს.

"მიდლბსროს" მთავარი მწვრთნელი სტივ მაკლარენი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე სვენ გორან ერიქსონს შეცვლის. ეს მოხდება მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე.

გუშინ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს და საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ერიქსონის მემკვიდრედ სტივ მაკლარენი დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ მაკლარენი ამჟამადაც მუშაობს ინგლისის ნაკრებში - იგი ერიქსონის ასისტენტია. ახალმა მწვრთნელმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევრო 2008-სა და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატებისთვის ინგლისის ნაკრებს სწორედ სტივ მაკლარენი მოამზადებს.

"ეს ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი პატივი იქნებოდა. ცხადია, ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა ჩემი კარიერის მწვერვალია. ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. "მიდლსბროში" მუშაობით ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ასეთ შემოთავაზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ჯერჯერობით ინგლისის ნაკრებზე ფიქრი ნაადრევია. ამით სვენ გორან ერიქსონია დაკავებული და მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც ის მოამზადებს გუნდს, მე კი კვლავ კლუბზე უნდა ვიზრუნო. "მიდლსბრო" ხომ უეფას თასის ფინალს ითამაშებს", - განუცხადა სტივ მაკლარენმა ჟურნალისტებს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ.

მაკლარენის დანიშვნით ინგლისური ფეხბურთის მამებმა ბოლო მოუღეს გაუთავებელ ჭორებს, რომლებიც ერიქსონის სავარაუდო შემცვლელების შესახებ არსებობდა.

შეგახსენებთ: შვედმა სპეციალისტმა 23 იანვარს განაცხადა, რომ მუნდიალის დასრულებისთანავე დატოვებდა გუნდს. მიზეზი ყველასთვის ცნობლია. გაზეთ "სანის" ჟურნალისტებმა შეევედს მახე დაუგეს და შემდეგ იგი საქვეყნოდ გამოაჭენეს. ალბათ გახსოვთ, რომ ერიქსონს არაბი მილიარდერების რანგში ჟურნალისტები გამოეცხადნენ და შეიპირეს, რომ იგი სათავეში ჩაუდგებოდა გუნდს, რომელსაც ისინი იყიდიდნენ. შემდეგ ეს საუბარი მედიაში გამოქვეყნდა და ერიქსონი იძულებული გახდა ვადაზე ადრე გაეწყვიტა კონტრაქტი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან.

შვედის განცხადების შემდეგ ვის არ მოიაზრებდნენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელად. თავიდან გუუს ჰიდინკზე საუბრობდნენ. სავარაუდო კანდიდატთა სიაში მუდმივად ფიგურირებდა მაკლარენისა და ელერდაისის გვარებიც, თუმცა ინგლისელები თითქმის ისევ უცხოელი სპეციალისტის მოწვევას გეგმავდნენ. ბოლო ვერსიით ნაკრები ლუიშ ფელიპე სკოლარის უნდა ჩაებარებინა, მაგრამ პორტუგალიელთა ბრაზილიელმა თავკაცმა ინგლისელები უარით გაისტუმრა.

და აი, როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა. ინგლისის ნაკრებს ერიქსონის შემდეგ სტივ მაკლარენი უხელმძღვანელებს.

სტივ მაკლარენი

დაიბადა 1961 წლის 3 მაისს ფულფორდში
1978 წელს დაიწყო თამაში კლუბ "ჰალში"
1985 წელს გადავიდა "დერბიში"
1988 წელს კარიერას აგრძელებს "ბრისტოლში"
1990 წელს ჩაირიცხა "ოქსფორდში"
1995 წელს დაინიშნა დერბის მთავარი მწვრთნელის ჯიმ სმიტის თანაშემწედ
1999 წელს გადადის "მანჩესტერ იუნაიტედში", სადაც ალექს ფერგიუსონის ასისტენტის მოვალეობას ასრულებს
2000 წელს, მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრები დამარცხდა იტალიელებთან გამართულ ამხანაგურ მატჩში და თანამდებობა დატოვა კევინ კიგანმა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თხოვნით პეტერ ტეილორთან ერთად დროებით ხელმძღვანელობდა ნაკრებს, სანამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ერიქსონთან არ გააფორმა კონტრაქტი
2001 წელს ერიქსონის თანაშემწეა. ამავე წლის მარტში ფერგიუსონმა მოსთხოვა მას, რომ დაეტოვებინა ნაკრები და მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედზე" ეფიქრა
2001 წლის ივნისში დაინიშნა "მიდლსბროს" მთავარ მწვრთნელად და დღემდე ამ თანამდებობაზე მუშაობს. ამავდროულად ინგლისის ნაკრებში ერიქსონის თანაშემწეა
2006 წლის 4 მაისი. დაინიშნა ინგლისის ნაკრების მწვრთნელად. გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარებს.

"კლივლენდი" მეოთხედფინალში ითამაშებს

ვაშინგტონი - კლივლენდი 120:121 (27:25, 24:27, 30:33, 26:22, 13:14)
სერიის ანგარიში 3:2
მილუოკი - დეტროიტი 93:122 (23:39, 26:23, 17:35, 27:25)
სერიის ანგარიში 1:4.

NBA-ს მერვედფინალის საფლეიოფო შეხვედრაში ლებრონ ჯეიმსის ბრწყინვალე თამაშმა მატჩის დასრულებამდე 0,9 წამით ადრე "კლივლენდ კავალიერსს" "ვაშინგტონ ვიზარდთან" გამარჯვება მოუტანა.

"კლივლენდმა" დამატებით ტაიმში შეძლო საჭირო ქულის აღება და მომდევნო რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ სასწაულის მთავარი შემოქმედი "კავალიერსის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი გახდა.

არანესის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ, დამატებითი ტაიმის დასრულებამდე სამი წამით ადრე კლივლენდელი ლებრონის ბოლო ჩაგდებას საბოლოო გამარჯვება მოჰყვა - 121:120.

თუმცა, ჯეიმს ლებრონმა თითქმის საფინალო სასტვენთან ერთად შეძლო ბურთის კალათში ჩაგდება და მნიშვნელოვანი ქულის აღება. საერთო ჯამში, ახალგაზრდა კალათბურთელის ანგარიშზე ამ მატჩში 45 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასია.

"18 ან 19 ზომის ფეხსაცმელს რომ ვატარებდე, ასე ვერ ვითამაშებდი. მე 16 ზომას ვხმარობ და ნებისმიერ ბაგირზე თავისუფლად შემიძლია გავლა", - განაცხადა მატჩის გმირმა.

"ვაშინგტონ ვიზარდის" მწვრთნელის ედი ჯორდანის განცხადებით, მისი ტაქტიკა ჯეიმსის განეიტრალებაში მდგომარეობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ლებრონს ვერაფერი მოუხერხეს.

"მან ისეთი ბურთები ჩააგდო, როგორსაც დიდი კალათბურთელები აგდებენ ხოლმე. ამას ბევრი კარგი კალათბურთელიც ვერ ახერხებს", - განაცხადა ჯორდანმა.

პროგნოზები აზარტული გუშმატკივრებისთვის

გთავაზობთ საფეხბურთო მატჩების პროგნოზებს და კოეფიციენტებს. ვფიქრობთ, რომ ამით დახმარებას გაუწევთ ტოტალიზატორში მოთამაშე ადამიანებს. ჩვენი პროგნოზების საიმედოობა მერყეობს 60-70 პროცენტის ფარგლებში.

5 აპრილი , 2006

ბელგია 1		k1	kx	k2	პროგნოზი
ანდერლეხტი	ვარეგემი	1.1	5.8	11	1
შარლერუა	სერკლი	1.7	3.4	4.4	X2
ბრიუგე	გენკი	1.6	3.3	5.1	1
სტანდარდი	გენტი	1.4	3.9	5.5	1
ვესტერლო	ლუვეე	1.7	3.4	4.4	1
ბევერენი	მუსკრონი	1.3	4.2	6.7	1
სტ. ტრიუდენი	ბრიუსელი	2.2	3.1	2.9	X2
ლიერსი	როზელარე	1.4	4.1	6.7	X2
ლოკერენი	ბეერსხოტი	1.9	3.2	3.6	1

საფრანგეთი 2	k1	kX	k2		პროგნოზი
მონპელიე	ბასტია	2.3	2.8	3	X
გინგამი	სეტე	1.5	3.3	6.1	1
შატორუ	გენიონი	1.9	2.8	4.3	1X
ბრესტი	კაენი	3.2	2.9	2.1	X
ლე ჰავრე	ისტრი	1.8	2.9	4.3	1
ემიენი	დიჟონი	2.2	2.7	3.3	1X
კრეტეი	გრენობლე	1.9	2.8	4	X2
ლავალი	კლერმონი	2.2	2.9	3	1
რეიმსი	სედანი	3.9	2.9	1.9	X2
ვალანსიენი	ლორიენი	2.4	2.9	2.8	X2

ირლანდია	k1	kX	k2		პროგნოზი
დერი	ბრეი	1.4	3.7	6.2	1
კორკი	უოტერფორდი	1.4	3.7	6.6	1
დუბლინი	საინტ ფარტიკი	2.5	3	2.5	1

პოლონეთი		k1	kX	k2	პროგნოზი
ლეგია ვარშავა	ამიკა	1.4	3.7	6.1	X

თურქეთი		k1	kX	k2	პროგნოზი
კაიზერსპორი	მანისპორი	1.5	3.7	6.1	X2

6 აპრილი , 2006

აუსტრია 1	k1	kX	k2		პროგნოზი
ზალცბურგი	პაშინგი	1.6	3.6	5.1	1
რეიდი	ადმირა	1.5	3.7	5.5	1
აუსტრია ვენა	ტიროლი	1.2	4.9	9	1
გრაცერი	შტურმი გრაც.	2.3	2.9	2.9	1X
მატერსბურგი	რაპიდი	2.5	3.1	2.5	X

ხორვატია	k1	kX	k2		პროგნოზი
დინამო ზაგრ.	ოსიეკი	1.3	4.4	8.3	1
ჰაიდუკი	ვარტეკსი	2	3.1	3.2	1
ინტერ ზაპ.	სლავენი	2.2	3.1	2.9	1

ჩეხეთი 1	k1	kX	k2		პროგნოზი
სლავია	ბრნო	1.4	3.9	6.3	1

ინგლისი 1	k1	kX	k2		პროგნოზი
როტერჰემი	მილტონი	2.2	3.2	2.8	X
ბლეკპული	ჯილინგემი	2.1	3.1	3.1	1X
ოლდჰემი	სკონთორპი	1.9	3.2	3.4	1
ტრანმერი	დონკასტერი	2.8	3.2	2.2	X2
უოლსოლი	ბარნსლი	3.9	3.4	1.7	1
ბრედფორდი	ნოტინგემი	3.6	3.3	1.8	X2
ჩესტერფილდი	სვინდონი	3.7	3.3	1.8	2
ჰარლტპული	პორტ ვეილი	1.6	3.6	4.3	X2
საუთენდი	ბრისტოლ სიტი	1.6	3.4	4.4	1
ბორნმუთი	ბრენტფორდი	3.6	3.2	1.8	1X
სუინდონი	ჰადერსფილდი	2.5	3.2	2.4	1X
იოვილი	კოლჩესტერი	3.9	3.2	1.8	X2

საფრანგეთი 1	k1	kX	k2		პროგნოზი
ასუ	აიაჩო	1.4	3.9	7.5	1
მარსელი	სტრასბური	1.3	4.6	9.6	1
ნიცა	მეცი	1.5	3.5	6.6	1
ლილი	ლიონი	2.4	2.9	2.8	1
ტულუზა	მონაკო	2.5	2.8	2.8	X2
ლემანსი	ლანსი	2.8	2.9	2.4	X
ნანსი	ოსერი	2.7	2.9	2.5	1
სოშო	ტრუა	2	2.9	3.7	1
ნანტი	ბორდო	2.6	2.8	2.7	1X
სტ. ენტიენი	რენე	3	3	2.2	X

გერმანია ბუნდესლიგა	k1	kX	k2		პროგნოზი
არმინია	დუისბურგი	1.6	3.5	5	X2
შტუგარდი	ვოლსბურგი	2.1	3.2	3	1
ვერდერი	კიოლნი	1.3	4.6	8.4	X2
კაიზერი	ბაიერნი	4.3	3.3	1.8	1
ლევერკუზენი	ნურნბერგი	1.5	3.6	5.6	1
ბორუსია მ.	ჰანოვერი	2.1	3.1	3.3	1X
ჰერტა	ჰანზაურგი	2.7	3.2	2.4	1
ბორუსია დ.	აინტრახტი	1.8	3.3	4.1	1
მაინცი	შალკე 04	2.5	3.2	2.6	X2

შვეიცარია1	k1	kX	k2		პროგნოზი
ციურიხი	ივერდონი	1.3	4.3	7.5	1
ბაფჰაუზენი	ბაზელი	5	3.5	1.6	X2
ქსამაქსი	გრასხაპი	3	3.2	2.1	2
აარუ	სტ. გალენი	2	3.2	3.3	1

პოლონეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
უნივერსრიადა	სლიგო როვერსი	2.2	3	2.9	2
ლოგფორდი	ბოჰემიანი	2.6	3	2.4	1

იტალია 2	k1	kX	k2		პროგნოზი
ბრეშა	ვიჩენცა	1.4	3.4	6.9	1
არეცო	ბარი	1.5	3.3	7	1
რიმინი	ტერნანა	2	2.5	4	1X
ალბიონლეფე	მანტოვა	2.5	2.4	3.1	X2
აველინო	კროტონე	2.2	2.7	3.3	X
კრემონეზე	ბლონია	6.1	3.6	1.4	1
კატანძარო	ატალანტა	7.2	2.6	1.6	X2
მოდენა	კატანია	2.2	2.7	3.3	1
ტრიესტინა	ტორინო	4.4	2.8	1.8	X
პესკარა	ჩეზენა	3.4	2.6	2.2	1
ვერონა	პიაჩენცა	2.1	2.6	3.8	X2

რუსეთი პრ.	k1	kX	k2		პროგნოზი
ცსკა	ამკარი	1.3	4.3	8.7	1
როსტოვი	სატურნი	2.3	2.8	2.9	2
ლოკომოტივი	ზენიტი	2.1	3	3.2	X2
კრილია	ტომი	1.9	3	3.8	X

შოტლანდია	k1	kX	k2		პროგნოზი
დამფერმლაინი	ინვერნესი	2.8	3.1	2.3	1
მოზერველიუ	დანდი იუნ.	1.7	3.3	4.2	X
ლაკირკი	ლივინგსტონი	1.7	3.3	4.2	2

ესპანეთი 1	k1	kX	k2		პროგნოზი
ბარსელონა	ესპანიოლი	1.5	3.7	5.8	X
ვალენსია	ატლეტიკო მადრ.	1.6	3.5	5.2	1
მალაგა	სევილია	4.4	3.4	1.7	2

ესპანეთი 2		k1	KX	k2	პროგნოზი
ალმერია	ალბასეტე	1.7	3	5	X2
ხიხონი	ეიბარი	1.7	3	4.6	1
კასტელონი	მურსია	2.2	2.7	3.3	1
ნუმანსია	ელცე	1.8	2.9	4.2	1
ტენერიფე	ლორკა	2.4	2.7	2.9	1

თურქეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
რიზე	დენიზლი	3.1	3.4	2	X
მალათია	სამსუნი	2.1	3.2	3.1	1
დიარბაქირი	გენჩლერი	2.4	3.4	2.4	X2
ანკარა	ტრაპზონი	3.3	3.2	2	2

7 აპრილი , 2006

ინგლისი პრ.	k1	kX	k2		პროგნოზი
მანჩესტერი იუნ.	ჩარლტონი	1.2	5.3	11	1
ბოლტონი	ბირმინგემი	1.5	3.5	5.6	X2
ასტონ ვილა	სანდერლენდი	1.5	3.7	6	1
პორტსმუთი	ლივერპული	5	3.6	1.6	2
არსენალი	უიგანი	1.2	5.1	9.6	X
ბლეკბერნი	მანჩესტერ სიტი	1.6	3.5	4.9	1
ევერტონი	ვეს ბრომიჩი	1.6	3.5	5.2	1
ფულემი	მიდლსბრო	1.7	3.4	4.5	1
ნიუკასლი	ჩელსი	2.9	3.1	2.3	2
ვესტ ჰემი	ტოტენჰემი	3.8	3.3	1.8	X

გერმანია 2	k1	kX	k2		პროგნოზი
ბოხუმი	კარლსრუე	1.9	3.3	3.5	1
მიუნხენ 1860	ზაარბიუკენი	1.7	3.4	4.5	X
ბრაუნშვაიგი	უნტერჰაძინგი	1.9	3	3.9	X
აეჰენი	ფრაიბურგი	2	3.4	3.3	1
ოფენბახი	კოტბუსი	2.7	3	2.4	X2
ფურტი	ჰანზა როსტოკი	1.6	3.6	5	X2
ზიგენი	ბურჰაუზენი	2.6	3.1	2.5	1X
პადერბორი	ერზგებირგე	2.1	3.1	3	1
დრეზდენი	ალენი	1.4	4.4	6.5	X

შვეიცარია	k1	kX	k2		პროგნოზი
იანგ ბოიზი	თუნი	1.7	3.4	4.5	X2

იტალია "სერია ა"	k1	kX	k2		პროგნოზი
ინტერი	სიენა	1.3	3.7	8.9	X
რომა	ტრევიზო	1.1	6.7	15	1
ფიორენტინა	რეგინა	1.1	6.7	16	1
ლივორნო	სამპდორია	2.2	2.4	4.1	X
იუვენტუსი	პალერმო	1.1	5.9	13	1
პარმა	მილანი	9.2	4.4	1.3	X
ასკოლი	ლაზიო	3	2.5	2.7	1
მესინა	ემპოლი	2.2	2.7	3.4	X
ლეჩე	კიევო	5.1	3.1	1.7	X
უდინეზე	კალიარი	1.8	2.7	5.5	2

ნორვეგია 1	k1	kX	k2		პროგნოზი
ლინი	ტრომსო	1.6	3.5	5	1
ლილესტრომი	სტარტი	1.8	3.3	3.8	X
ფრენდრიკარდი	ვალერენგა	2.9	3.2	2.2	2
როსენბორგი	სანდეფიორდი	1.3	4.7	8	X2
ბრანი	სტაბეკი	1.8	3.3	3.8	1
ოდ გრელანდი	ჰამ კამი	2.1	3.2	3	X2

პოლონეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
ოდრა	პოლონია	1.6	3.4	4.5	1
ლეჩნა	ლკორონა	2.6	3.1	2.4	X2
გროკლინი	ვისლა	1.8	3.2	3.9	1
ბელჩატოვი	ზაგლებიე	2.6	3	2.4	X2
კრაკოვია	ლეჩნ პოზნანი	2.1	3.1	2.9	X2
არკა	პოგონი	2	3	3.3	X2

პორტუგალია	k1	kX	k2		პროგნოზი
გიუმარეში	ამადორა	1.5	3.6	5	1
პენეფილი	ნავალი	5.5	3.7	1.5	2
ბოავიშტა	პორტო	2.6	3.3	2.3	1
ფერეირა	ბენფიკა	4.2	3.1	1.8	X
ლეირია	რიო ავე	1.9	3.3	3.3	1
ჟილ ვისენტე	ბელენენსესი	1.8	3	4	X2
აკადემიკა	მარიტიმო	1.8	2.9	4.2	1
სპორტინგი	ბრაგა	1.5	3.3	6.5	X
სეტუბალი	ნასიონალი	2.6	2.8	2.6	X

რუსეთი პრ.	k1	kX	k2		პროგნოზი
ლუჩი	შინიკი	2	3	3.7	1
რუბინი	მოსკოვი	1.8	3.1	4.1	1
სპარტაკ ნალ.	დინამო მოსკ	2.6	2.9	2.6	X2
სპარტაკ მოსკ.	ტორპედო მოს.	1.5	3.4	5.7	X

შოტლანდია პრემ.	k1	kX	k2		პროგნოზი
კილმარნოკი	ჰიბერნიანი	2.4	3.2	2.6	1
აბერდინი	სელტიკი	4.9	3.5	1.6	2
რეინჯერსი	ჰართსი	1.7	3.3	4.3	X

ესპანეთი 1	k1	kX	k2		პროგნოზი
ხეტაფე	კადისი	1.8	3.4	3.8	X2
რეალი	ვილიარეალი	1.5	3.7	5.9	X2
დეპორტივო	ატლეტიკო ბილ.	1.8	3.2	4.1	1
სარაგოსა	ალავესი	2.2	3.3	2.8	1
სოსიედადი	ცელტა	2.6	3	2.6	X2
რასინგი	ოსასუნა	2.8	3.1	2.3	1
ბეტისი	მალიორკა	1.9	3.2	3.8	1

ესპანეთი 2	k1	kX	k2		პროგნოზი
მალაგა ბ.	რეკრეატივო	3.9	3	1.9	2
ხერესი	ფეროლი	1.7	3	4.7	1
ვალიადოლიდი	ლეიდა	1.9	2.8	3.8	1X
სიუდადი	ლევანტე	2.4	2.7	3	1X
ჰერკულესი	პოლ ეჟიდო	2.2	2.8	3.2	1X
რეალ მადრიდ ბ.	ხიმნასტიკი	2.6	2.7	2.7	1

შვედეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
კალმარი	ჰამარბი	2.8	3.2	2.3	X2
გეფლე	ოსტერი	1.8	3.3	4.2	1
ჰალმსტადი	ორგრიოტე	1.7	3.4	4.7	X2
გოტებრო	დურგარდენი	3.8	3.2	1.9	1

თურქეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
ფენერბახჩე	სერკიესპორი	1.1	7.4	15	1
კონია	სივასპორი	1.9	3.2	3.5	1
ანკარაგუჯუ	გაზიანთეფი	2.2	2.8	3.2	X2
ბეშიქთაში	გალათასარაი	4	3.4	1.8	2

8 აპრილი , 2006

ნორვეგია	k1	kX	k2		პროგნოზი
ვიკინგი	მოლდე	2	3.2	3.2	X2

პოლონეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
სპარტაკ ტრნავა	რუზენბეროკი	2.7	2.9	2.5	1

შვედეთი	k1	kX	k2		პროგნოზი
აიკი	ელსბორგი	2.2	3.2	3	1X
მალმო	ჰელსინბორგი	1.9	3.2	3.5	X2

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

სარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

I ობიექტი - მცხეთის რაიონში, სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	6 259 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 252 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	100 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	I-დან VIII ობიექტის ჩათვლით შეადგენს 900 ლარს
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022

II ობიექტი – ახალციხის რაიონში, მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	3 352 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 670 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	25 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი

III ობიექტი – ადიგენის რაიონში, სოფ. ლელოვანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაზალტების ცალკეული ბლოკების ზედაპირული მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	3 043 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 609 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა	5 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი

IV ობიექტი – ზესტაფონის რაიონში, სოფ. **I** სვირის ტერიტორიაზე მდ. ყვირილას სანაპიროზე არგვეთას ქვიშა-ხრეშის მოპოვება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	2 629 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 526 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	42 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი

V ობიექტი – ქ. რუსთავში, მდ. მტკვრის ნაპირზე არიში–**I** -ს ქვიშა-ხრეშის მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	10 891 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2 178 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	174 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი

VI ობიექტი – თერჯოლის რაიონში, სოფ. ჭოგნარის ტერიტორიაზე კოხის (ჭოგნარის) კირქვის საბადოზე მოსაპირკეთებელი კირქვის მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	1676 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 335 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მოსაპირკეთებელი კირქვების ჯამური მოცულობა	2500 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი

VII ობიექტი – ჩხოროწყუს რაიონში, დაბა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	5 018 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 004 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	50 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი

VIII ობიექტი – წალენჯიხის რაიონში, ქ. ჯვარის ტერიტორიაზე მდ. ენგურის სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	7 026 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 405 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა	70 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022

წ ყ ა ლ ი

IX ობიექტი – სუფსის ნავთობგადასატვირთი ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო დანიშნულებით მოპოვება

აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	166 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 33 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჯამური მოცულობა	93 075 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	17 წელი
სალიცენზიო მოსაკრებელი **IX** ობიექტისათვის შეადგენს 400 ლარს	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022
აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 5 ივნისს 11 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ ბე"-ს შემოტანის ქვითარი	„ ბე"-ს გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე),,ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
სალიცენზიო პირობები	წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები.
აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს	
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ. თბილისის მერიის საწარმო შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"-ს 2006 წლის 28 აპრილის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ **ელექტრო ძრავების შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადების მეორე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ჩამონათვალში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2 შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი

ლოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ვაგონის დკ-117 ტიპის ძრავის რემონტი	28
	ვაგონის დკ-410 ტიპის მოტოკომპრესორის ძრ.რემონტი	40
2	ასინქრონული ელ. ძრავების დანადგარების რემონტი	63
3	N5-1 ობიექტის N41 დიზელ გენერატორის ძრავის რემონტი	1

სატენდერო კომისია
5 მაისი 2006 წ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **მაღალი გამავლობის (4X4), პიკაპის ტიპის მსუბუქი ავტომანქანების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

მაღალი გამავლობის (4X4), პიკაპის ტიპის მსუბუქი ავტომანქანები (10 ერთეული):

- გამოშვების წელი: **2006**
- კომპლექტაცია: **დ.ს.თ-ს სპეციფიკაციით**
- ძარის ტიპი: **პიკაპი, 2 კაბინიანი, ოთხკარიანი**
- ადგილების რაოდენობა: **5 ან 6**
- საწვავის ტიპი: **დიზელი**
- საწვავის ავზის ტევადობა: **არა ნაკლებ 60 ლიტრი**
- საწვავის ხარჯი 100 კილომეტრზე: **მაქსიმუმ 9.0 ლიტრი 90კმ სიჩქარეზე.**
- ძრავის მოცულობა: **არა ნაკლებ - 2.500 სმ? და არა უმეტეს 3.200 სმ?**
- სიმძლავრე: **არა ნაკლებ 80 ცხენის ძალა.**
- სიჩქარე: **არა ნაკლებ 120კმ/სთ**
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი: **მექანიკური (5 წინა, 1 უკანა)**
- საბურავები: **205 ღ 16.**
- საჭე: **ჰიდროგამაძლიერებლით და ლიფტით**
- სამუხრუჭე სისტემა: **წინა და უკანა დისკური მუხრუჭები LȻPV**
- ფერი: **თეთრი, შეღებილი ბამპერებით**
- **უსაფრთხოების ღვედები**
- **რადიო, მაგნიტოფონი, 2 დინამიკი**
- **კონდიციონერი, გათბობა**

მანქანებს უნდა გააჩნდეს მწარმოებლის გარანტია 2 წელი ან 50 000 კმ, რომელიც უფრო ადრე შესრულდება.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 5 კვირა. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. დასაშვებია, აგრეთვე ეტაპობრივი მოწოდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 25 მაისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: შპს "თბილწყალკანალი"
ს/კ: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 220101502.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **29 მაისის 10 სთ-დან - 1500 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.
6.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:
ზურაბ ღონღაძე, ტელ: 487140, ფაქსი; 932825 ელ.ფოსტა: z, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო დარბაზებისათვის საჭირო ავეჯის შესყიდვაზე.

სასამართლოს დარბაზების,
ავეჯის სპეციპიკაცია

ქ. თბილისის საოლქო სასამართლო
ავეჯის ჩამონათვალი:

1. **მოსამართლის მაგიდა - 1 ც. მხარეების მაგიდა - 2 ც. მოწმის კათედრა - 1 ც. ბარიერი - 1 ც.**
2. **მოსამართლის მაგიდა - 3 ც. მხარეების მაგიდა - 6 ც. მოწმის კათედრა - 3 ც. ბარიერი - 2 ც. ბარიერი ბრონირებული მინით - 1 ც.**
3. **მოსამართლის მაგიდა - 6 ც. მხარეების მაგიდა - 12 ც. მოწმის კათედრა - 6 ც. ბარიერი - 5 ც. ბარიერი ბრონირებული მინით - 1 ც.**
4. **მოსამართლის მაგიდა - 7 ც. მხარეების მაგიდა - 14 ც. მოწმის კათედრა - 7 ც.**
5. **ტუსაღის გალია - 10 ც. ბრონირებული მინით.**
6. **TV - დასადგამი მაგიდა - 2 ც.**

ქ. ბათუმის სასამართლო დარბაზები
ავეჯის ჩამონათვალი:

1. **მოსამართლის მაგიდა - 1 ც. მხარეების მაგიდა - 2 ც. მოწმის კათედრა - 1 ც. ბარიერები - 1 ც.**
2. **მოსამართლის მაგიდა - 1 ც. მხარეების მაგიდა - 2 ც. მოწმის კათედრა - 1 ც. ბარიერი ბრონირებული მინით - 1 ც.**
3. **მოსამართლის მაგიდა - 3 ც. მხარეების მაგიდა - 6 ც. მოწმის კათედრა - 3 ც. ბარიერი - 3 ც.**
4. **ტუსაღის გალია - 2 ც. ბრონირებული მინით.**
5. **TV - დასადგამი მაგიდა - 1 ც.**

ქ. მცხეთის სასამართლო დარბაზები
ავეჯის ჩამონათვალი:

1. **მოსამართლის მაგიდა - 1 ც. მხარეების მაგიდა - 2 ც. მოწმის კათედრა - 1 ც. ბარიერები - 1 ც.**
2. **მოსამართლის მაგიდა - 1 ც. მხარეების მაგიდა - 2 ც. მოწმის კათედრა - 1 ც. ბარიერები - 1 ც.**
3. **მოსამართლის მაგიდა - 2 ც. მხარეების მაგიდა - 4 ც. მოწმის კათედრა - 2 ც. ბარიერი - 2 ც.**
4. **ტუსაღის გალია - 2 ც. ბრონირებული მინით.**

მოსამართლის მაგიდასთან მოეწყოს პოდიუმი. (H-30 სმ. ზომები მითითებულია პროექტში)
შენიშვნა: ავეჯი უნდა დამზადდეს - MDF-ით
და დაიფაროს ხის ფაქტურიანი მუქი და ღია ლამინირებით.

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 29 მაისიდან 30 მაისის 17:30 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

2.2 ფიზიკური პირისათვის:

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 25 მაისის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 8 99 20 31 32

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს, მდებარე რევაზ ლაღიძის N12, შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

1. შენობის საერთო ფართი - 1573 მ2
2. საამშენებლო მოცულობა - 5190 მ3

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 29 მაისიდან 30 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2005) შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ მილიონ ლარს;

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).
მატერიალურ - თექნიკური ბაზა;
ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ მილიონ ლარს;

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 25 მაისის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32. ტ. 8 99 20 31 32

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

